

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

კვლევის დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

კორუფციის აღქმები საქართველოს საჯარო სექტორსა და საზოგადოებაში

ავტორი: ნინო ღონღაძე

სპეციალობა: საჯარო მმართველობა

ხელმძღვანელი: ნინო დოლიძე

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, შესწავლოს საჯარო მოხელეთა და საზოგადოების აღქმები კორუფციასთან მიმართებაში. კერძოდ, ნაშრომი მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ რა ტიპის ქმედებებს მიიჩნევენ რესპონდენტები კორუფციად და რომელი ქმედებებია მათი აზრით საზოგადოებისათვის მეტად ან ნაკლებად მისაღები. გარდა ამისა, ნაშრომში გამოკვლეული იქნება, თამაშობს თუ არა რაიმე როლს კორუფციის აღქმების ჩამოყალიბებაში ისეთი ცვლადები, როგორებიცაა სქესი, ასაკი, განათლება, საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობა, კარიერული მიღწევები და რეგიონი. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მიდგომა. რესპონდენტთა რაოდენობაა 414. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო კითხვარი. შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებული ძირითადი სტატისტიკური ტესტებია მენ-ვიტნის ტესტი, კრუსკალ-ვოლისის ტესტი და ვილკოქსონის ტესტი. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ რესპონდენტების შეფასებები მთლიანობაში ჰომოგენური და არატოლერანტულია კორუფციის მიმართ. მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ კორუფციულ ქმედებები და კორუფციული ქმედების შედეგად მისაღები სარგებლის მაღალი რაოდენობის შემცველი სიტუაციები უფრო მკაცრად ფასდება. კორუფციული ქმედებების შეფასებებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორია კარიერული მიღწევები.

სარჩევი

თავი I. შესავალი.....	3
თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა	6
კორუფციის განმარტება.....	6
კორუფციის გაზომვა	13
კორუფცია - პოზიტიური თუ ნეგატიური მოვლენა?.....	18
კორუფცია და პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია.....	20
კორუფცია და ეკონომიკა.....	21
ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების მახასიათებლები	23
ანტიკორუფციული რეფორმები.....	25
კორუფცია საქართველოში	28
კორუფცია საქართველოში ვარდების რევოლუციამდე.....	28
საქართველოს ანტი-კორუფციული რეფორმები და მათი შედეგები.....	31
საქართველოს ანტი-კორუფციული რეფორმის წარმატების შესაძლო მიზეზები..	45
საქართველოში ეთიკური საჯარო სამსახურის განვითარების წინაპირობები	48
ეთიკური საჯარო სამსახურის სოციალური და კულტურული კონტექსტი	49
ეთიკური საჯარო სამსახურის პოლიტიკური კონტექსტი	52
ეთიკური საჯარო სამსახურის ეკონომიკური კონტექსტი.....	57
ეთიკური საჯარო სამსახურის სამართლებრივი კონტექსტი.....	59
პროფესიონალიზმი და პროფესიული ეთიკა	61
ეთიკის დილემის გადაწყვეტა საქართველოში.....	63
თავი III. კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო	66
თავი IV. კვლევის შეკითხვები და ჰიპოთეზები.....	73
თავი V. კვლევის მეთოდოლოგია	82
კვლევის დიზაინი	82
ცვლადების ოპერაციონალიზაცია	82
პოპულაცია და შერჩევა	89
კვლევის ინსტრუმენტი	93
მონაცემების დამუშავება	95
ჩატარებული ტესტები.....	95

თავი VI. კვლევის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია	100
შერჩევის მიმოხილვა	100
კორუფციის აღქმები	106
კორუფციის აღქმები, საჯარო მოხელეები	107
კორუფციის აღქმები, მოქალაქეები.....	119
კორუფციის მისაღებობა, საჯარო მოხელეები	129
კორუფციის მისაღებობა, მოქალაქეები	131
კორუფციის შეფასების განმსაზღვრელი ფაქტორები.....	133
თავი VII. დასკვნა	143
ბიბლიოგრაფია	148
დანართი N1	158
დანართი N2	172
დანართი N3	174
დანართი N4	175
დანართი N5	179
დანართი N6	183

კორუფციის აღქმები საქართველოს საჯარო სექტორსა და საზოგადოებაში

თავი I. შესავალი

მრავალი წლის განმავლობაში კორუფციის თემა უმთავრესად აკადემიური ანალიტიკოსების ინტერესის საგანს წარმოადგენდა. 1990-იანი წლებიდან კი კორუფცია საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა. მსოფლიო ეკონომიკის მზარდი კონკურენციისა და გლობალიზაციის ფონზე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, ისევე როგორც კერძო ბიზნესების გათვითცნობიერებულობის დონე კორუფციის დიდი დანახარჯების შესახებ გაიზარდა (Johnston, 2000, გვ. 1).

საქართველოში კორუფციის მეცნიერული კვლევა ხშირი არ არის. ყველაზე მასშტაბური გამოკითხვები ტარდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომელთა მიზანია ქვეყანაში კორუფციის დონის დადგენა. აქამდე არ ყოფილა მცდელობა, მეცნიერული მიდგომის მეშვეობით შესწავლილი ყოფილიყო, თუ როგორია აღქმები კორუფციასთან მიმართებაში საჯარო სექტორში ან მოსახლეობაში: რა ტიპის ქმედებებს მიიჩნევენ ადამიანები კორუფციად. იმდენად, რამდენადაც თეორიულად აღქმები კორუფციის შესახებ პირდაპირ უკავშირდება კორუფციის დონეს, ამ საკითხების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია. მოცემული კვლევა კი ამგვარი მიდგომის მცდელობას წარმოადგენს.

კვლევის მიზანია, შესწავლოს საჯარო მოხელეთა და საზოგადოების აღქმები კორუფციასთან მიმართებაში. ნაშრომი მიზნად ისახავს არა აღქმების საშუალებით კორუფციის დონის გაზომვას, არამედ იმის დადგენას, თუ რა ტიპის ქმედებებს მიიჩნევენ რესპონდენტები კორუფციად და რომელი ქმედებებია მათი აზრით საზოგადოებისათვის მეტად ან ნაკლებად მისაღები. ნაშრომი დაადგენს, თუ კორუფციულობის მიხედვით როგორ რანჟირებას უკეთებენ რესპონდენტები ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა ნეპოტიზმი,

ზეგავლენის გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით, არამართლზომიერი პოლიტიკური კონტრიბუციები და სხვა. გარდა ამისა, ნაშრომში გამოკვლეული იქნება, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს კორუფციის აღქმებს: თამაშობს თუ არა რაიმე როლს კორუფციის აღქმების ჩამოყალიბებაში ისეთი ცვლადები, როგორებიცაა სქესი, ასაკი, განათლება, საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობა, კარიერული მიღწევები და რეგიონი.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მიდგომა. შერჩევაში მოხვდნენ საჯარო მოხელეები საქართველოს ექვსი სამინისტროდან და სხვა მოქალაქეები, რომლებიც საჯარო მოხელეები არ არიან. ჯამში რესპონდენტთა რაოდენობაა 414. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო კითხვარი, რომელშიც წარმოდგენილი იყო პოტენციურად კორუფციული ქმედებების შემცველი სიტუაციები. რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ მოცემული სიტუაციები მათი კორუფციულობის დონისა და მისაღებობიდან გამომდინარე. კითხვარი ასევე შეიცავდა დემოგრაფიულ შეკითხვებს, რომელთა საშუალებით მიღებული პასუხების გამოყენებით დადგინდა რესპონდენტთა აღქმების განმაპირობებელი ფაქტორები. კვლევაში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებული ძირითადი სტატისტიკური ტესტებია მენ-ვიტნის ტესტი, კრუსკალ-ვოლისის ტესტი და ვილკოქსონის ტესტი.

მსგავსი მიდგომა - კორუფციის აღქმების შესწავლა ჰიპოთეტური სიტუაციების შეფასების გზით - გამოყენებული იყო აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, კანადისა და ავსტრალიის (Peters & Welch, 1977, 1978; Johnston, 1986, 1991; Atkinson & Mancuso, 1985; Jackson & Smith, 1995) საკანონმდებლო ხელისუფლებისა თუ მოსახლეობის აღქმების შესასწავლად. მოცემული ნაშრომი შეიტანს წვლილს კორუფციის აღქმებისა და მათი განმაპირობებელი ფაქტორების კვლევაში და გაზრდის არსებულ ცოდნას მოცემულ საკითხზე.

კვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო კორუფციის ცნების უკეთ გააზრებისათვის, არამედ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც ანტი-კორუფციული პოლიტიკის შემუშავებისას. 2003 წლის შემდეგ განხორციელებული ანტი-კორუფციული რეფორმების შედეგად, საქართველოში კორუფციის დონე მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა საქართველო ჯერ კიდევ არ იმყოფება ყველაზე ნაკლებად კორუფციულ ქვეყანათა შორის. საზოგადოების და საჯარო მოხელეების აღქმების შესწავლა და გათვალისწინება კორუფციასთან მიმართებაში ანტი-კორუფციული რეფორმებისა თუ კანონმდებლობის შემუშავებისას საინტერესო და აუცილებელიც კია ყოველი გონიერი ხელისუფლებისათვის.

ნაშრომი იწყება ლიტერატურის მიმოხილვით, სადაც აღწერილია კორუფციის განმარტებასთან და გაზომვასთან დაკავშირებული პრობლემები, ანტი-კორუფციული რეფორმები და მათი შედეგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და საქართველოში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შემდგომი ნაწილი ეთმობა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩოს, კვლევის შეკითხვებისა და ჰიპოთეზების და გამოყენებული მეთოდოლოგიის მიმოხილვას. ნაშრომის მესამე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, მათი ინტერპრეტაცია და დასკვნები.

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

კორუფციის განმარტება

რამდენიმე ათეული წელია, მეცნიერები ცდილობენ ტერმინი „კორუფციის“ განსაზღვრას, თუმცა კონსენსუსი ჯერაც არ არის მიღწეული. ბევრი განმარტება არსებობს, მაგრამ არც ერთ მათგანი არ არის საყოველთაოდ აღიარებული (Independent Commission Against Corruption, 1994, გვ. 15) და სავარაუდოდ ამის გაკეთება ვერც მოხერხდება (Johnston, 1986, გვ. 135). ადამიანები ქმედებებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ, ამიტომაც აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კორუფცია, კვლავ არსებობს.

მეცნიერები აღიარებენ, რომ კორუფციის, როგორც ცნების განმარტება, საკმაოდ რთულია. ბევრი ნაშრომი მიეძღვნა ამ საკითხის დადგენას (Heidenheimer, 1990; Peters & Welch, 1978; Johnston, 1986; Independent Commission Against Corruption, 1994 და სხვა). განმარტებათა უმრავლესობა იზიარებს აზრს, რომ კორუფცია არის „საჯარო სექტორში თანამდებობის პირის მიერ თანამდებობის გამოყენება პირადი სარგებლის მიღების მიზნით, იქნება ეს მონეტარული თუ სხვა სახის“ (Atkinson & Mancuso, 1985, გვ. 465). უფრო ფართო გაგებით კი, „კორუფცია არის შედეგი - ქვეყნის სამართლებრივი, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუციების ანარეკლი“ (Svensson, 2005, გვ. 20).

სხვა განმარტებით, კორუფცია არის „პოლიტიკოსების ან საჯარო მოხელეების მიერ საჯარო სექტორში განხორციელებული არამართლზომიერი და არაკანონიერი ქმედება ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენების გზით“ (Transparency International, 2007). კორუფციას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც პოლიტიკურ, ასევე ბიუროკრატიულ არენაზე; ის შეიძლება

იყოს მცირე ან ფართო მასშტაბის, ორგანიზებული ან არაორგანიზებული („Handbook of Fighting Corruption“, 1999).

კორუფციის მნიშვნელობის განმარტებისადმი ბევრ კვლევაში სამი ძირითადი მიდგომაა გაზიარებული. პირველი მიდგომის მიხედვით, კორუფცია დაკავშირებულია საჯარო ინტერესის დარღვევასთან. „პოლიტიკური ქმედება არის კორუფციული, თუკი იგი არღვევს სამოქალაქო თუ საზოგადოებრივი წესრიგის გარკვეულ სისტემას“ (Peters & Welch, 1977, გვ. 446).

მეორე, ხშირად გამოყენებული განმარტება კორუფციას განიხილავს კანონთან მიმართებაში: კორუფციული ქმედება უკანონო ქმედებაა, რომელიც ჩადენილია პირადი სარგებლის მიზნით და ფორმალური სტანდარტების დარღვევით.

მკვლევართა ნაწილი კი კორუფციის განმარტების ამ პრობლემისადმი სრულიად განსხვავებულ, „სუბიექტურ“ მიდგომას იზიარებს: „პოლიტიკური ქმედება კორუფციულია, თუკი ასეთად აღიქვამს მას საზოგადოება“ (Peters & Welch, 1977, გვ. 447). პოლიტიკური კორუფცია არის ის, რასაც მოქალაქეები და საჯარო მოსამსახურეები უწოდებენ კორუფციას. ეს მიდგომა აღიარებს სხვადასხვა, განსახვავებულ განმარტებებს და უარყოფს კორუფციის ერთი, უნივერსალური განმარტების საჭიროებას (Atkinson & Mancuso, 1985, გვ. 464).

ლეტბრიჯი (1985) გვიხსნის, თუ რატომ არ არის შესაძლებელი კორუფციის ერთი, უნივერსალური განმარტების შემუშავება და აღიარება: „აღქმები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კორუფცია, იცვლება დროსთან ერთად და განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში... რასაც კორუფციას უწოდებენ, სოციალური აღქმის, სოციალური განსჯისა და შეფასების ნაყოფია. ქვეყნის ზოგიერთი ტიპი... სიტყვების საშუალებით ხდება სტიგმატიზებული. ეს სტანდარტების, იურიდიული და ზნეობრივი ნორმების, ღირებულებების ევოლუციის შედეგია. სტანდარტები... იცვლება დროსთან ერთად“

(ციტირებულია კვლევაში: Independent Commission Against Corruption, 1994, გვ. 21).

ხშირად ადამიანები კორუფციად მხოლოდ მექრთამეობას მიიჩნევენ, თუმცა ლანგსეტი იძლევა კორუფციის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმების ჩამონათვალს, სადაც კორუფციის ძალიან ფართო გაგებაა წარმოდგენილი (2006):

მსხვილი და წვრილმანი კორუფცია

მსხვილი კორუფცია გულისხმობს მის არსებობას ხელისუფლების უმაღლეს დონეზე, რასაც შედეგად მივყავართ ხელისუფლებისადმი ნდობის შემცირებისაკენ, კანონის უზენაესობისა და ეკონომიკური სტაბილურობის ეროზიისაკენ. წვრილმანი კორუფცია კი ითვალისწინებს მცირე რაოდენობის თანხის მოძრაობას და სამსახურის გაწევას მცირე მნიშვნელობის საქმეებში, ასევე მეგობრებისა თუ ნათესავების დანიშნვას დაბალი დონის თანამდებობებზე და წვრილმან ფავორიტიზმს.

აქტიური და პასიური კორუფცია

ქრთამთან მიმართებაში აქტიური კორუფცია გულისხმობს ქრთამის მიცემას, ხოლო პასიური - მის მიღებას.

მექრთამეობა

მექრთამეობა გულისხმობს სარგებლის გაცემას ამა თუ ქმედებაზე თუ გადაწყვეტილებაზე უკანონოდ ზეგავლენის მოხდენის ფასად. ამგვარი ქმედება შეიძლება ინიცირებული იყოს ინდივიდის მიერ, რომელიც შუამავლობს ან სურს ქრთამის მიღება ან მის მიერ, ვინც სთავაზობს და იხდის. ქრთამი არის კორუფციის ყველაზე გავრცელებული ფორმა. სარგებელში შესაძლოა იგულისხმებოდეს როგორც ფული, ასევე სხვა სახის მოტივაცია - ინფორმაცია, დასაქმება და სხვა. ავტორი მექრთამეობას მიაკუთვნებს ისეთ ქმედებასაც, როგორცაა გავლენის გამოყენება (Influence-peddling) - იმგვარი

პრივილეგიებით ვაჭრობა, რომლებიც პირისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ საკუთარი საჯარო სტატუსის გამო და ჩვეულებრივ, მიუწვდომელია გარეშე პირებისათვის. ეს შეიძლება იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენის საშუალება ან ინფორმაციის მოპოვება. ამგვარი ქმედება განსხვავდება კანონიერი პოლიტიკური ადვოკატირებისა თუ ლობიზმისაგან.

გაფლანგვა და ქურდობა

ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა გაფლანგვა, ქურდობა და თაღლითობა ხშირად იხილავენ კორუფციის კონტექსტში, როდესაც ამგვარი ქმედებებით დაკავებული პირი არის საჯარო მოხელე ან მაღალი თანამდებობის პირი. ყველა ეს ქმედება გულისხმობს ფულის, ქონებისა თუ სხვა ღირებული ნივთების მიღებას პირის მიერ, რომელიც ამას ახერხებს საკუთარი თანამდებობის გამოყენებით. სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული და საერთაშორისო სამართალი კორუფციის სხვადასხვა ფორმებს შორის უმეტესწილად სისხლის სამართლის დანაშაულად თვლის ისეთ ქმედებებს, სადაც მონაწილეობს საჯარო მოხელე და რომელთა შედეგადაც საჯარო ინტერესი აშკარად ირღვევა. კორუფციის კონტექსტში უფრო ხშირად განიხილება გაფლანგვა და ნაკლებად ქურდობა, რადგან გაფლანგვა ითვალისწინებს ისეთი ქონების დაუფლებას, ვისაც იგი მინდობილი ჰქონდა, ქურდობა კი შესაძლოა იყოს ნებისმიერი ნივთის დაუფლება ამგვარი უფლების ქონის გარეშე. თუმცა, თუკი საქმე ეხება, მაგალითად, ღირებული ინფორმაციის მოპარვას სარგებლის მიზნით, ასეთი შემთხვევას რიგი ავტორები კორუფციად განიხილავენ.

გამოძალვა

გამოძალვა გულისხმობს იძულებას, მუქარისა თუ სხვა ძალადობრივი მეთოდებით (მათ შორის ზიანის მიმყენებელი ინფორმაციის გასაჯაროების მუქარით) და ამგვარად თანამშრომლობაზე თანხმობის მიღწევას. საჯარო მოხელეები თუ თანამდებობის პირები შესაძლოა თავად ეწეოდნენ

გამოძალვას, ან იყვნენ მისი მსხვერპლი. როგორც კორუფციის სხვა შემთხვევების დროს, გამოძალვის დროსაც ზიანდება საჯარო ინტერესი.

დისკრეციის ბოროტად გამოყენება

რიგ შემთხვევებში კორუფცია შეიძლება მოიცავდეს დისკრეციის ბოროტად გამოყენებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით. მაგალითად, პირს, რომელსაც ევალება პროდუქციის ან სერვისის შესყიდვა, შეუძლია კონტრაქტი დადოს ისეთ კომპანიასთან, რომელთან მიმართებაშიც პირადი ინტერესი აქვს. ასეთი შემთხვევები ახასიათებს ისეთი ტიპის ბიუროკრატias, სადაც დისკრეცია საკმაოდ ფართოა, ანგარიშგება კი - მინიმალური.

ფავორიტიზმი და ნეპოტიზმი

ფავორიტიზმი და ნეპოტიზმი მოიცავს თავის თავში დისკრეციის ბოროტად გამოყენებას, თუმცა მას საფუძვლად უდევს არა საჯარო პირის პირადი ინტერესი, სარგებელი, არამედ, სხვა მასთან დაახლოებული პირის ინტერესი, იქნება ეს ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი, რელიგიური, გეოგრაფიული, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით დაახლოებული ადამიანი. თუკი საჯარო მოხელე სამსახურში იყვანს პირს სხვა პირის დისკრიმინაციის ხარჯზე, მისი უშუალო პირადი სარგებელი ნაკლებად საგრძნობია, ის ცდილობს დაახლოებული პირის ინტერესების გატარებას.

ინტერესთა კონფლიქტის გამოყენება ან შექმნა

კორუფციის ფორმათა უმეტესობა მოიცავს ინტერესთა კონფლიქტს პროფესიულ პასუხისმგებლობებსა და კერძო ინტერესს შორის. ქრთამის აღება ქმნის ასეთ ინტერესთა კონფლიქტს. გაფლანგვისა თუ ქურდობის შემთხვევათა დიდ ნაწილში საჯარო მოხელე ყველა ცდუნებას და იყენებს ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც უკვე არსებობს. არა მარტო საჯარო, არამედ კერძო სექტორშიც ადამიანები ხშირად ხვდებიან სიტუაციებში, როდესაც მათი კერძო ინტერესი წინააღმდეგობაში მოდის მათ სამსახურეობრივ

პასუხისმგებლობებთან, რაც უნდა ემსახურებოდეს ორგანიზაციისა თუ ქვეყნის კეთილდღეობას.

არამართლზომიერი პოლიტიკური შემოწირულობები

ანტი-კორუფციული პოლიტიკის შემუშავებისას ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა იმის განსაზღვრა, თუ სად გადის ზღვარი პოლიტიკური ორგანიზაციების კანონიერ შემოწირებულობებსა და ისეთ დაფინანსებას შორის, რომლის მიზანია ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ პარტიის აქტივობებზე ზეგავლენის მოხდენა. დაფინანსება, რომლის მიზანია პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა, რათა ის უფრო გაძლიერდეს და ძალაუფლებაში მისი მოსვლის შანსებმა იმატოს, არ წარმოადგენს კორუფციას; პირიქით, ბევრ ქვეყანაში ეს პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია - ადამიანებს აქვთ უფლება, პოლიტიკური აქტივობა აწარმოონ. მეორე მხრივ, დაფინანსება, რომლის მიზანია, ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ პარტიამ გაატაროს დამფინანსებლის ინტერესები საჯარო ინტერესების ხარჯზე, მექრთამეობის ტოლფასია.

ამ პრობლემის მოგვარება პრაქტიკაში საკმაოდ რთულია; თუმცა არსებობს რამდენიმე მიდგომა. ერთი ასეთი მიდგომა არის შემოწირულობების გამჭვირვალობის მექანიზმების უზრუნველყოფა, რათა ამგვარად ანგარიშგება მოახდინოს როგორც დონორმა, ასევე მიმღებმა. მეორე მიდგომაა შემოწირულობების მოცულობის განსაზღვრა, რათა თავიდან იქნას აცილებული რომელიმე ერთი დონორის მიერ ძალიან დიდი გავლენის მოპოვების საშიშროება.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ლანგეტის (2006) განმარტებები ხშირად არაზუსტია: რატომ უნდა მივიჩნიოთ ქურდობა ან გაფლანგვა კორუფციად? ამასთან დაკავშირებით საინტერესო ახსნას გვთავაზობს ფილპი (2006). იგი განმარტავს, რომ ლიტერატურაში არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ სამ ასპექტს უნდა შეიცავდეს აქტივობა,

რათა მას კორუფცია ვუწოდოთ. პირველი, ეს არის საჯარო მოხელე, რომელიც არღვევს საჯარო ორგანიზაციის ნორმებს და მოქმედებს პირადი სარგებლის მიღების მიზნით. მეორე, იგი ამავდროულად ზიანს აყენებს საჯარო ინტერესს. და მესამე, ამ ქმედების შედეგად სარგებელს იღებს მესამე მხარე, რომელიც უხდის (სხვადასხვა სახით) საჯარო მოხელეს იმ მომსახურეობისა თუ სერვისისასთვის, რომელიც სხვა შემთხვევაში მისთვის არ იქნებოდა ხელმისაწვდომი. თუმცა ლანგეტის ჩამონათვალში, რომელთაც იგი კორუფციულ ქმედებას მიიჩნევს, აქტივობათა ნაწილი არ აკმაყოფილებს მოცემულ პირობებს. ფილპის განმარტებით, მართლაც ხშირად გვხვდება შემთხვევები, სადაც არ არის კორუფციის სამივე ასპექტი წარმოდგენილი, თუმცა ისინი მაინც მიიჩნევა კორუფციად. ტრიადა: საჯარო მოხელე, საჯარო ინტერესი და მესამე პირი ზოგჯერ იქცევა დიადად. ეს ხდება, მაგალითად, კლექტოკრატის შემთხვევაში, როდესაც მესამე მხარე წარმოდგენილი საერთოდ არ არის და თავად საჯარო მოხელეა სარგებლის მიმღები, თუმცა ცოტას თუ შეეპარება ეჭვი, რომ კლექტოკრატული რეჟიმი კორუფციულია. მეორე მხრივ, ოფისიდან წვრილმანი ქურდობა, ალბათ, არ უნდა იქნეს განხილული, როგორც კორუფცია. ფილპის აზრით, კორუფციულ დიადებს ქურდობისა და სხვა არაკორუფციული ქმედებებისაგან სამი პირობა განასხვავებს: საჯარო მოხელეს უჭირავს მაღალი თანამდებობა; თანამდებობის პირის მიერ სარგებლის მიღება ატარებს სისტემატურ ხასიათს და ეს სარგებელი არის დიდი მოცულობის; და საჯარო ინტერესი მნიშვნელოვნად ზიანდება. ავტორი მიიჩნევს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ამ სამი ფაქტორიდან ყველაზე მნიშვნელოვნად პირველს თვლის, დარჩენ ორს კი მათ თანმდევ ფაქტორებად მიიჩნევენ.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის არა ერთი განმარტება არსებობს, შესაძლოა არ არსებობდეს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ცალკეული შემთხვევა უნდა იქნეს მიჩნეული კორუფციად.

კორუფციის გაზომვა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც კორუფციის კვლევას უკავშირდება, არის მისი გაზომვის საკითხი. გამოწვევა, რომელსაც მკვლევარები აწყდებიან კორუფციის კვლევისას ისაა, რომ „მისი ფარული ხასიათიდან გამომდინარე, კორუფციის გაზომვა უაღრესად ძნელია (Seligson, 2002, გვ. 414). ამიტომაც, კვლევების უმრავლესობა ამ თემაზე დღემდე იყო აღწერილობითი და არა ემპირიული.

კონცეპტუალურად არც არის ბოლომდე ნათელი, რისი გაზომვა გვწადია. მხოლოდ გადახდილი ქრთამების გაზომვით უგულებელვყოფდით ბევრ სხვა კორუფციულ ქმედებას, რომლებიც ქრთამთან არ არის დაკავშირებული. „გადახდილი ქრთამების ნაცვლად კორუფციული ქმედებების გაზომვისათვის საჭირო იქნებოდა ბევრი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ქმედების დათვლა და იდენტიფიცირება - ასეთი ინფორმაცია კი უბრალოდ არ არის ხელმისაწვდომი“ (Tanzi, 1998, გვ. 577).

არსებობს კორუფციის მრავალი საზომი, რომლებიც განსხვავდება მათი სისრულით, მეთოდოლოგიითა და ხარისხით. კორუფციას ზომავენ როგორც ფირმები, შემდგომში მათი საერთაშორისო ბიზნესებისათვის მიწოდების მიზნით (Political and Economic Risk Consultancy, The Institute for Management Development, Political Risk Services, The Economist Intelligence Unit, Business International), ასევე ადვოკატების ჯგუფები (World Economic Forum, Freedom House), კვლევითი ორგანიზაციები (Gallup), გამომცემლობები (The Wall Street Journal), ანალიტიკოსთა ჯგუფები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები (Transparency International, Independent Commission Against Corruption, The World Bank). განსხვავდება როგორც გამოკითხვის მეთოდები, ასევე შერჩევის ზომაც. ზოგი აწარმოებს მოსახლეობის გამოკითხვას კითხვარის მეშვეობით, სხვები კი ატარებენ ინტერვიუებს ბიზნესის ხელმძღვანელებსა თუ ექსპერტებთან. ზოგი თხოვს რესპონდენტებს ქვეყანაში კორუფციის საერთო დონის შეფასებას ამა

თუ იმ შკალაზე; სხვები ეკითხებიან მათ ქრთამებისა თუ ნეპოტიზმის ან პირადი გამოცდილების შესახებ. მართალია, ყველა ეს ასპექტი საბოლოო ჯამში ამა თუ იმ ქვეყანაში კორუფციის შესახებ მდგომარეობას ასახავს, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ის, თუ რამდენად შედარებადია ამგვარად მოპოვებული მონაცემები (Johnston, 2000, გვ. 9).

კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ აღიარებული საზომი არის კორუფციის აღქმის ინდექსი (Corruption Perceptions Index, CPI), რომელსაც საერთაშორისო გამჭვირვალობა იყენებს. ეს არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის დონის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო ინდიკატორი (Seligson, 2002, გვ. 415). ინდექსი გვიჩვენებს კორუფციის დონეს სხვადასხვა ქვეყნების საჯარო სექტორში და იგი შედგენილია ბიზნესის წარმომადგენლების, ანალიტიკოსებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებებზე დაყრდნობით.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კორუფციის აღქმის ინდექსი, ისევე როგორც კორუფციის სხვა აღიარებული საზომები (როგორცაა, მაგალითად, მსოფლიო ბანკის კორუფციის საზომი), „ასახავს აღქმებს და არ წარმოადგენს კორუფციის ობიექტურ, რაოდენობრივ საზომს“ (Tanzi, 1998, გვ. 578); „მათი საშუალებით იზომება აღქმები კორუფციის დონის შესახებ და არა კორუფცია, როგორც ასეთი“. ამისდა მიუხედავად, ასეთი გამოკვლევების შედეგები ფართოდ გამოიყენება მკვლევარების მიერ მთელს მსოფლიოში (გვ. 579).

კორუფციის დონის გაზომვა ობიექტურად შეუძლებელია, რადგან ჩადენილი კორუფციული ქმედებების შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვება თეორიულადაც კი ძნელად წარმოსადგენია. ამდენად, აღიარებულია, რომ კორუფციის გაზომვა აღქმების საშუალებით გონივრული მიდგომაა. იმ საზომებს, რომლებიც ამგვარ მიდგომას იყენებენ, პირველი თაობის საზომებს უწოდებენ (Johnston, 2000).

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის აღქმის ინდექსი ყველაზე ფართოდ გამოყენებული და ყველაზე ამბიციური საზომია (Johnston, 2000, გვ. 10), მას ახასიათებს მთელი რიგი სისუსტეები. კერძოდ, პრობლემატურია ვალიდურობისა (ზომავს თუ არა საზომი იმას, რაც უნდა გაზომოს) და სიზუსტის (რამდენად დეტალურია ის ერთეულები, რომლებშიც გაზომილია ცნება) საკითხები. მიუხედავად ამ სისუსტეებისა, არამართო სამეცნიერო კვლევებში, არამედ პოლიტიკის ანალიზში და უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ ყველაზე ხშირად სწორედ კორუფციის აღქმის ინდექსი გამოიყენება (Svensson, 2005, გვ. 22).

აღსანიშნავია კნეკისა და კიფერის, ასევე კი მაუროს მიერ (1995), გამოყენებული საზომი, რომელიც ეყრდნობა ქვეყანაში რისკის შემფასებელი კომპანიების მიერ შედგენილ ინდიკატორებს. ამგვარი ინდიკატორების შექმნის მიზანია მათი მიყიდვა კერძო ბიზნესისათვის, რომელსაც ეს ინფორმაცია ესაჭიროება ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ასეთი ინდიკატორებიდან ყველაზე პოპულარული გახდა „ქვეყანათა რისკის საერთაშორისო გზამკვლევი“ (International Country Risk Guide) გამოქვეყნებული საზომი, რომელიც უფრო მეტ ქვეყანას აღწერს და უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვიდრე სხვა საზომები. გზამკვლევის შემქმნელების თქმით, მათი ინდიკატორი მიუთითებს, რამხელაა ალბათობა, რომ მოცემულ ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირები მოითხოვენ ქრთამს, ხოლო სახელისუფლებლო უწყებები - არაკანონიერ გადასახადებს (ციტირებულია კვლევაში: Svensson, 2005). მოცემული მონაცემები გროვდება კომპანიის მიერ პოლიტიკური რისკების სერვისები (Political Risk Services), რომელიც აკეთებს ქვეყნებში რისკის შეფასებას. მათი თქმით, მსოფლიოს გლობალური კომპანიების 80 პროცენტზე მეტი იყენებს მათ მონაცემებს ბიზნესსა და ინვესტიციებზე გადაწყვეტილებების მისაღებად.

განსხვავებული მიდგომა შეიმუშავეს კაუფმანმა, კრაიმ და მასტრუციმ (2003). მას ეწოდება კორუფციის კონტროლი (Corruption Control) და ეფუძნება სხვადასხვა წყაროების მიერ მოწოდებული საკმაოდ ფართო მონაცემების ბაზას. ავტორები კორუფციის ფართო დეფინიციას იყენებენ და ეყრდნობიან კორუფციის რამდენიმე ასპექტთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნების ინდექსებსა და რეიტინგებს. კორუფციის ინდიკატორების აგრეგირებისათვის ისინი საერთაშორისო გამჭვირვალობისგან განსხვავებულ მიდგომას იყენებენ; თუმცა, მთლიანობაში, როგორც ჩანს, როგორც დეფინიცია, ასევე აგრეგაციის სტარტეგიები, დიდ განსხვავებას არ ქმნის. მარტივი კორელაცია კორუფციის კონტროლსა (2002) და კორუფციის აღქმის ინდექსს (2003) შორის არის 0.97, ხოლო კორელაცია კორუფციის კონტროლს ან კორუფციის აღქმის ინდექსსა და ქვეყანათა რისკის საერთაშორისო გზამკვლევს შორის (2001) - 0.75. მთავარ განსხვავებას სამ ინდიკატორს შორის ქმნის ის, თუ რომელი ქვეყნები ან წლები იყო დაფარული (ციტირებულია კვლევაში: Svensson, 2005).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტური, ანუ აღქმებზე დაფუძნებული, საზომები არის რიგობითი, თუმცა მკვლევარები მათ იყენებენ, როგორც რაოდენობრივ საზომებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საზომს მიაკუთვნებენ პირველი თაობის საზომებს. მეორე თაობის საზომები ზომავს ბიზნესების, ოჯახებისა თუ ინდივიდების გამოცდილებას კორუფციასთან მიმართებაში, ანუ ცდილობს, რაოდენობრივად დათვალოს კორუფციის ფაქტები და არ დაეყრდნოს კორუფციის შესახებ აღქმებს, როგორც ამას პირველი თაობის საზომები აკეთებს. ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), აფინანსებს ასეთ გამოკვლევებს. ასეთ საზომებსაც აქვს ვალიდურობასა და სიზუსტესთან დაკავშირებული ის პრობლემები, რაც წინა თაობის საზომებს, თუმცა ისინი უფრო დეტალურია (Johnston, 2000).

ამგვარ რაოდენობრივ საზომებს შორის, მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ ორი საზომი. პირველი, ესაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (European Bank for Reconstruction and Development, EBRD) და მსოფლიო ბანკის (World Bank) გარემოსა და მეწარმეობის გამოკითხვა (Business Environment and Enterprise Performance Survey, BEEPS), რომელიც 1991 წელს დაიწყო. გამოკითხვა აგროვებს ინფორმაციას ფირმების მენეჯერებისაგან და თხოვს მათ შეფასებას იმის შესახებ, თუ ყოველწლიური გაყიდვების რა წილს იხდიან “მათი მსგავსი ფირმები“ არაოფიციალურად მაღალი თანამდებობის პირებთან. მეორე რაოდენობრივი საზომია საერთაშორისო დანაშაულის მსხვერპლთა გამოკითხვა (International Crime Victim Surveys, ICVS), რომელიც 2003 წლიდან ფუნქციონირებს გაეროს ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისის (Office on Drugs and Crime) ფარგლებში, და ყურადღების ფოკუსირებას ახდენს ცალკეულ ადამიანებზე და არა ფირმებზე. გამოკითხვის მიზანია, შეაგროვოს შედარებადი მონაცემები კრიმინალისა და ვიქტიმიზაციის თემაზე სხვადასხვა ქვეყანაში - განვითარებულ ქვეყნებში კომპიუტერის გამოყენებით ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუების, ხოლო განვითარებად ქვეყნებში პირისპირ ინტერვიუების საშუალებით. განვითარებად ქვეყნებში მონაცემებს აგროვებენ უმეტესად დიდ ქალაქებში. კორუფციასთან დაკავშირებით, რესპონდენტებს ეკითხებიან, გასული წლის განმავლობაში თხოვეს თუ არა საჯარო მოხელეებმა ქრთამი სერვისების მიწოდების სანაცვლოდ, ან აქვთ თუ არა ასეთი მოთხოვნის მოლოდინი. ამ მონაცემების გამოყენება შეიძლება ქრთამის გადახდის შესახებ შემთხვევების აღწერისათვის სხვადასხვა ქვეყანაში. ქრთამების ინციდენტობა სუბიექტურ საზომებთან საკმაოდ ძლიერ კორელაციაშია (მარტივი კორელაცია მერყეობს 0.57-დან 0.67-მდე) (Svensson, 2005).

ასეთი ტიპის საზომების უპირატესობა სხვებთან შედარებით არის ის, რომ ისინი წარმოადგენს მტკიცებულებებს, ეყრდნობა ადამიანების გამოცდილებას

და არა აღქმებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემატურია ტრადიციული გამოკითხვის მეთოდით სანდო მონაცემების მოპოვება კორუფციის შესახებ, რადგან ადამიანებმა შესაძლოა სხვადასხვა მიზეზების გამო არასწორი ინფორმაცია მოაწოდონ მკვლევარს ან დამალონ ის. თუმცა, სანამ გაზომვის შეცდომის ამგვარი პრობლემები სისტემატურად არ უკავშირდება ქვეყნის მახასიათებლებს, ეს პრობლემა არაა ქვეყნებს შორის კორუფციის ვარიაციების შესასწავლად, რადგან საშუალოდ ის ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად თანაბარი იქნება.

ამ მიდგომის კიდევ ერთი სისუსტე ისაა, რომ მტკიცებულებები მოიპოვება მხოლოდ შედარებით მცირე შერჩევის საშუალებით და მხოლოდ ოჯახების თვალთახედვიდან გამომდინარე. სუბიექტური საზომები, მეორე მხრივ, კონცენტრირებულია კერძო სექტორზე და განკუთვნილია უცხოელი ინვესტორებისათვის, რადგან ის ზომავს კორუფციას, რომელიც ბიზნესის წარმოებას უკავშირდება.

კორუფცია - პოზიტიური თუ ნეგატიური მოვლენა?

მეოცე საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, რიგი ავტორები წერდნენ კორუფციის დადებით ასპექტებზე (Huntington, 1968; Waterbury 1973; Heidenheimer, Johnston & LeVine; 1989; Leys, 1989). მერთონის აზრით, სწორედ კორუფცია ამუშავებს ბიუროკრატიას განვითარებად ქვეყნებში და ამაღლებს მოქალაქეების ლოიალობას ხელისუფლების მიმართ (Merton, 1957, ციტირებულია კვლევაში: Seligson, 2002). იგი მოქმედებს, როგორც ერთგვარი მექანიზმის საპოხი. კორუფციას აქვს მნიშვნელოვანი რედისტრიბუციული ზეგავლენა, ის წარმოადგენს ძალაუფლებაში პირდაპირი მონაწილეობის ფუნქციურ შემცვლელს, ის არის ცემენტი ელიტებსა და მხარეებს შორის. კორუფცია განსაკუთრებით სასარგებლოა ავტორიტარული ტრადიციების მქონე ქვეყნებისათვის, რადგან ის იძლევა გარკვეულ თავისუფლებას, თავისუფალი მოძრაობის საშუალებას ქვეყნისა და პოლიტიკური

პარტიებისათვის დამახასიათებელი ტოტალიტარული ტენდენციების წინააღმდეგ. მისი სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია კი არის საჯარო რესურსების რედისტრიბუცია პარალელური საშუალებებით, და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა ჯგუფებისთვის, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდნენ მათ (Becquart-Leclerq, 1989).

სხვა კლასიკურ ნაშრომებში (Banfield, 1958; Etzioni-Halevy, 1985; Johnston 1979 ციტირებულია კვლევაში: Seligson, 2002) გამახვილებულია ყურადღება კორუფციის ისეთ გამოვლინებაზე, როგორებიცაა კლიენტელიზმი და კრონიზმი. კლიენტელიზმი და მასთან დაკავშირებული კორუფცია (ხმების ყიდვისა და ქრთამების სახით) ზრდის ნდობას “პატრონსა” და კლიენტს შორის, თუმცა ამცირებს მას პოლიტიკური სისტემის მიმართ.

ადამიანების ნაწილი კორუფციას აღიქვამს, როგორც ჩვეულებრივ გადასახადს, თუმცა, გარდა იმ აშკარა განსხვავებისა, რომ ქრთამის გადახდის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში ფული არ შედის, ეს ორი ცნება - ქრთამი და გადასახადი - ერთმანეთისგან სხვა ასპექტებითაც განსხვავდება. ქრთამს აქვს უფრო მაღალი ტრანზაქციული ხარჯები, ვიდრე გადასახადებს, რადგან მისი გადახდა ხორციელდება გაურკვევლობისა და გასაიდუმლოების პირობებში. საჯარო თანამდებობის პირმა შესაძლოა დაარღვიოს ქრთამის გადამხდელთან დადებული შეთანხმება ან დამატებით მოითხოვოს ქრთამი იმავე სერვისისათვის (Shleifer and Vishniy, 1995 ციტირებულია კვლევაში: Svensson, 2005).

ამგვარად, იყო პერიოდი, როდესაც ლიტერატურაში კორუფციის დადებით მხარეებზე მახვილდებოდა ყურადღება, თუმცა თანამედროვე აკადემიურ ნაშრომებში კორუფცია არის დანახული, როგორც ცალსახად ნეგატიური მოვლენა, რადგან ითვლება, რომ კორუფციის შესაძლო დადებით მხარეებს მნიშვნელოვნად აღემატება მისი დანახარჯები (Doig & McLvor, 1999), რომელთაც მომდევნო ქვე-თავებში განვიხილავთ.

კორუფცია და პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია

კორუფციას შესაძლოა ჰქონდა დადებითი ფუნქციები დიქტატორული მმართველობის პირობებში, თუმცა დემოკრატიის პირობებში ის სრულიად დისფუნქციურია, განსაკურებით როცა საქმე პოლიტიკური სისტემისადმი ნდობის საკითხს ეხება. დოიგი და თეობალდი (2000) სტატიების გარკვეული წყების მიმოხილვის შედეგად ასკვნიან, რომ ქვეყნებში, სადაც წვრილმანი კორუფცია ფართოდაა გავრცელებული, ძალიან მცირე ნდობა უნდა არსებობდეს პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. თუმცა ეს აზრი ამ ნაშრომში არ დასტურდება ემპირიული მონაცემებით, მოგვიანებით გამოჩნდა გარკვეული მტკიცებულებები იმისა, რომ კორუფციას მართლაც მიყვავართ ლეგიტიმაციის შემცირებისაკენ. დელა პორტას (2000), ფარის (2000), ფეიჯისა და შაპიროს (1992) და მორისის (1991) კვლევებში პირდაპირ თუ ირიბად დასტურდება, რომ არსებობს კავშირი ამ ორ მოვლენას შორის. დელა პორტა თავის ნაშრომში, რომელიც სწავლობდა საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას 1976-1995 წლებში, ასკვნის, რომ არსებობს კავშირი კორუფციის მაღალ მაჩვენებელსა და დემოკრატიით დაბალ კმაყოფილებას შორის. ფარის ნაშრომის საფუძველზე ირკვევა, რომ იაპონიაში ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის საუკეთესო და ერთადერთი მაპროგნოზირებელი კორუფციაში ხელისუფლების ჩართულობის ხარისხია. ფეიჯი და შაპირო ამტკიცებენ, რომ კორუფციამ (უმეტესწილად ვოთერგეითის ქეისის ხარჯზე) გამოიწვია საზოგადოების აზრის უეცარი და გრძელვადიანი ცვლილება. მორისმა შეისწავლა მექსიკა და ასევე აღმოაჩინა ძლიერი კავშირი ქვეყანაში კორუფციის დონის შესახებ ადამიანების აღქმასა და ხელისუფლების მიმართ ნდობას შორის. იგივე დასკვნამდე მივიდა სელიგსონი (2002) ოთხი ლათინური ამერიკის ქვეყნის, ელ სალვადორის, ნიკარაგუას, პარაგვაისა და ბოლივიას შესწავლის საფუძველზე.

კორუფცია და ეკონომიკა

კორუფციის მკვლევარ ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, კორუფცია ამცირებს ინვესტიციებს და ანელებს ეკონომიკურ ზრდას (Seligson, 2002). ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს: გადახდილი ქრთამების შესახებ, ბუნებრივია, ტრანზაქციის არც ერთი მხარე არ ახდენს ანგარიშგებას და შესაბამისად იკარგება გადასახადები, რომლებიც კორუფციის არარსებობის შემთხვევაში უნდა გადახდილიყო. ეს დანაკარგი კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან ქრთამების უკან ხშირად დგას ჩვეულებრივი ბიზნეს ტრანზაქციების დამალვა, რომელთაც სხვა შემთხვევაში მოყვებოდა გადასახადების გადახდა (ნებართვები, იმპორტისა თუ ექსპორტის გადასახადი). მეორე, საჯარო სერვისები მიმართულია იმ ადამიანებისაკენ, ვინც ქრთამს იხდის, რის შედეგადაც სერვისები არათანაბრად მიეწოდებათ ქრთამის გადამხდელებსა და არგადამხდელებს. მესამე, სერვისის მიმწოდებლები (მაგალითად სახელმწიფო ინფრასტრუქტურის პროექტების კონტრაქტორები) ქრთამის გამო გვერდს უვლიან დაწესებულ სტანდარტებს და თავაზობენ ადამიანებს უფრო დაბალი სტანდარტების მქონე საქონელსა და სერვისებს, რისგანაც ზიანი ადგება ეკონომიკას (მაგ., გზები მალე ფუჭდება, საავადმყოფოები კი ცუდად მკურნალობენ). მეოთხე, კორუფცია ასუსტებს კანონის უზენაესობას და ეკონომიკური თვალსაზრისით ტრანზაქციებს ირაციონალურს ხდის - კონტრაქტს იგებს არა ის, ვინც ყველაზე მაღალი ხარისხი და დაბალი ფასი შესთავაზა საჯარო უწყებას, არამედ ის, ვინც ყველაზე დიდი ქრთამი გადაიხადა.

მაურომ (1997) 1982-1995 წლებში შეისწავლა 100-ზე მეტი ქვეყანა და აღმოაჩინა, რომ როდესაც კორუფცია იმატებს ორი ქულით ათქულიან შკალაზე, მშპ იკლებს 0.5%-ით, ხოლო ინვესტიციები 4%-ით. ყოველი ორპუნქტიანი კორუფციის ზრდის შედეგად განათლების დაფინანსება იკლებს 0.5%-ით. მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვითაც (1997), იმ ქვეყნებში, სადაც

კორუფციის დონე ძალიან მაღალი და არაპროგნოზირებადია, ინვესტიციების მოცულობა არის იმის ნახევარი ან უფრო ნაკლები, რაც კორუფციის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში (ციტირებულია კვლევაში: Seligson, 2002).

კორუფცია ასევე მნიშვნელოვნად ზრდის შემოსავლების უთანაბრობასა და სიღარიბეს. კორუფცია ახდენს ზეგავლენას ხელისუფლების ისეთ ტრადიციულ ფუნქციებზე, როგორებიცაა რესურსების განაწილება, ეკონომიკის სტაბილურობა და შემოსავლების რედისტრიბუცია, ეს ფუნქციები კი თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებასა და სიღარიბეზე. ქვეყნის კორუფციის ინდექსის გაუარესება ერთი სტანდარტული გადახრით (2.52 ქულა შკალაზე 0-10) იწვევს ჯინის კოეფიციენტის (მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის საზომი) ზრდას 5.4 ქულით. კორუფციის ზრდის ტემპის მატება ერთი სტანდარტული გადახრით კი (გაუარესება 0.78 პროცენტით) დაკავშირებულია ღარიბების შემოსავლების ზრდის 7.8 პროცენტთან შემცირებასთან წელიწადში (Gupta, Davoodi & Alonso-Terme, 1998. გვ. 29).

მთლიანობაში, კონსენსუსი კორუფციის ეკონომიკაზე ნეგატიურ გავლენასთან დაკავშირებით საკმაოდ მყარია.

იმ თეორიათა უმრავლესობის თანახმად, რომლებიც აკავშირებს ერთმანეთთან კორუფციასა და შენელებულ ეკონომიკურ ზრდას, ყველაზე დიდი სოციალური დანახარჯი არის არა თავად კორუმპირებული ქცევა, არამედ ისეთი პირობების შექმნა, როდესაც ჩნდება არაეფექტიანი ფორმები და ხელი ეშლება ნიჭიერების, ტექნოლოგიისა და კაპიტალის სოციალურად ყველაზე პროდუქტიულ გამოყენებას (Murphy, Shleifer & Vishny, 1993). როდესაც კორუფციის გამო ფორმები კარგავენ მოგებას ან პოტენციურ მოგებას, მეწარმეები არჩევენ, არ დაიწყონ ბიზნესი ან შეანელონ მისი გაფართოვება. მათ შესაძლოა გადაიტანონ დანახარჯები ან მათი ნაწილი არაფორმალურ სექტორში, ან ისე მოაწყონ წარმოება, რომ საჯარო სერვისების საჭიროება

მინიმიზებული იყოს. კორუფცია ასევე ხელს უშლის მეწარმეობის უნარების განვითარებას. როდესაც კორუფცია არის ფართოდ გავრცელებული და ინსტიტუციონალიზებული, ფირმებმა პროდუქტიულობის გაზრდაზე ზრუნვის ნაცვლად შესაძლოა რესურსები დახარჯონ ძვირადღირებული ლიცენზიებისა და ბაზარზე შესვლის სასურველი შესაძლებლობების მოპოვებაზე. ზოგ შემთხვევაში კი ფინანსურად შესაძლოა უფრო მომგებიანი იყოს ბიზნესის დატოვება და კორუმპირებულ საჯარო მოხელედ ქცევა.

ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების მახასიათებლები

კორუმპირებულ ქვეყნებს გარკვეული ნიშან-თვისებები ახასიათებს. ყველა მაღალი კორუფციის დონის მქონე ქვეყანა არის განვითარებადი ან ტრანზიციული ქვეყანა. ბევრი მათგანი იმართება, ან ცოტა ხნის წინ იმართებოდა სოციალისტური ხელისუფლების მიერ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ამ ქვეყნებში არის დაბალი შემოსავლები. ყველა მათგანს (გარდა ინდონეზიისა) აქვს დახურული ეკონომიკა, საქსისა და ვორნერის მიერ შემუშავებული ეკონომიკის ღიაობის ქულების (1995) მიხედვით (Philp, 2006).

არსებობს თეორიები, რომლებიც ცდილობს, ახსნას კორუფციის დეტერმინანტები. ეს თეორიები ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუციების როლზე და ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე.

ინსტიტუციონალური თეორიები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველის მიხედვით, ინსტიტუციების ხარისხი (და ამგვარად კორუფციაც) განპირობებულია ეკონომიკური ფაქტორებით. ინსტიტუციები ვითარდება ქვეყნის შემოსავლების დონისა და დიფერენციალური საჭიროებების საპასუხოდ (Lipset, 1960; Demsetz, 1967; ციტირებულია კვლევაში: Glaeser, La Porta, Lopez-de-Silanes & Shleifer, 2004). მსგავსი თეორია - ადამიანური კაპიტალის თეორია - ამტკიცებს, რომ ადამიანური კაპიტალისა და შემოსავლების ზრდა განაპირობებს ინსტიტუციონალურ განვითარებას. მაგალითად, განათლება და ადამიანური კაპიტალი საჭიროა, რათა

სასამართლოებმა და სხვა ფორმალურმა ინსტიტუციებმა უფრო ეფექტიანად იმუშაოს. ნაკლებად სავარაუდოა, ხელისუფლების დარღვევები დარჩეს შეუმჩნეველი და პასუხგაუცემელი, თუკი ელექტორატი არის განათლებული. ამ თეორიების თანახმად, კორუფციის დეტერმინანტების შესწავლისას საჭიროა დავაკვირდეთ შემოსავალს ერთ სულზე და განათლების დონეს (Glaeser და სხვები, 2004).

ინსტიტუციონალურ თეორიათა მეორე ჯგუფის მიხედვით, ინსტიტუციები არის მტკიცე და მემკვიდრეობითი წარმონაქმნები (Acemoglu, Johnson & Robinson, 2001). ყოფილ კოლონიებში ინსტიტუციები ისე იყო მოწყობილი, რომ ესარგებლათ კოლონიზატორებს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კოლონიების ტერიტორიებზე ევროპელებიც დასახლდნენ დიდი რაოდენობით, მოხდა ინსტიტუციების ცვლილება და მათ დაიწყო ზრუნვა კოლონიის მცხოვრებთა სარგებელზე. კოლონიებში არსებულმა გარემომ კი განაპირობა ევროპელების იქ დასახლების საკითხი. მტრული გარემოს მქონე კოლონიებში, ავტორთა აზრით, უნდა ველოდოთ უფრო მაღალი დონის კორუფციას.

კიდევ ერთი თეორია, რომელიც ეხება ისტორიული ტრადიციების ზეგავლენას კორუფციის დონეზე, უკავშირდება რელიგიას (Treisman, 2000). პროტესტანტული ეკლესიის ინსტიტუციები ნაწილობრივ შეიქმნა, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რელიგიების ოპოზიცია. ამდენად, შესაძლოა, ისინი უფრო იყოს მოწოდებული, მონიტორინგი გაუწიოს ხელისუფალთა დარღვევებს. ავტორის აზრით, განათლების გავრცელება იყო და პოტენციურად ისევ არის უფრო ნელი კათოლიკურ და მუსლიმანურ ქვეყნებში. ამდენად, ამ ქვეყნებში ხელისუფალნი შესაძლოა ნაკლებად კონტროლდებოდნენ, ვიდრე პროტესტანტულ ქვეყნებში.

თეორიათა მეორე ჯგუფის მიხედვით, ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუციები ახდენს ზეგავლენას კორუფციაზე, იმდენად რამდენადაც

ისინი ზღუდავს კონკურენციას ბაზარზე და პოლიტიკურ კონკურენციას. ბაზრის კონკურენციის შეზღუდვისას მნიშვნელოვანია ისეთი ცვლადები, როგორებიცაა ღია კონკურენცია იმპორტზე და დამწყები ბიზნესების ბაზარზე შესვლის რეგულირების ხარისხი (Ades & Di Tella, 1999).

რაც შეეხება პოლიტიკურ ფაქტორებს, თავისუფალი პრესა უფრო მეტ ინფორმაციას აწვდის ამომრჩევლებს ხელისუფლების დარღვევებზე, ვიდრე ხელისუფლების მიერ კონტროლირებული. არჩევნების არსებობა კი აძლევს პოლიტიკოსებს მეტ მოტივაციას, შეამცირონ კორუფცია. პოლიტიკური ინსტიტუციების ფორმა - საპარლამენტო ან საპრეზიდენტო და პორპორციული ან მაჟორიტარული ასევე ახდენს ზეგავლენას კორუფციის დონეზე, რადგან ის ცვლის პოლიტიკოსთა მოტივაციას და ამომრჩეველთა შესაძლებლობებს, ანგარიშგება მოსთხოვონ ხელისუფლებას ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის (Persson, Torsten & Tabellini, 2004). ემპირიული მონაცემები ძირითადად ამტკიცებს მოცემულ თეორიებს.

ანტიკორუფციული რეფორმები

მრავალი ქვეყნის ხელისუფლებას აქვს გამოცხადებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად, თუმცა ანტი-კორუფციული რეფორმები უმეტეს შემთხვევაში შედეგს ვერ აღწევს. ანტი-კორუფციული პროგრამები ხშირად ითვალისწინებს სამართლებრივი და ფინანსური ინსტიტუტების - სასამართლოს, პოლიციისა და ფინანსური აუდიტის - გამოყენებას საჯარო სექტორში ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად. იგულისხმება, რომ წესებისა და რეგულაციების უფრო მეტად და უკეთესად დაცვა შეამცირებს კორუფციას, თუმცა ბევრ განვითარებად ქვეყანაში ამგვარი ინსტიტუციები სუსტია და თავადაა კორუმპირებული. ასეთ სიტუაციაში მათთვის მეტი რესურსების მიწოდება შესაძლოა არ იყოს საუკეთესო საშუალება კორუფციასთან საბრძოლველად. ცოტა მტკიცებულება თუ არსებობს იმისა, რომ დამატებითი რესურსების

მიწოდება სამართლებრივი და ფინანსური ინსტიტუტებისათვის შეამცირებს კორუფციას. გამონაკლისებია სინგაპური და ჰონგ კონგი. ამ ქვეყნებში კორუფციის შემცირების პარალელურად ძლიერდებოდა ფართო უფლებებით აღჭურვილი დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოები. მსგავსი სააგენტოები ბევრ სხვა ქვეყანაში პოლიტიკური ოპონენტების რეპრესირების იარაღად იქნა გამოყენებული. ამ ქვეყნებში კი მათი წარმატება კი შეიძლება აიხსნას იმით, რომ პარალელურად განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: სინგაპურში საჯარო მოხელეთა ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო სექტორთან შედარებით; ხდებოდა მოხელეთა სისტემატური როტაცია, რათა მოხელეებს გაძნელებოდათ მყარი კავშირების დამყარება პოტენციურ კლიენტებთან; ხდებოდა მათი დაჯილდოვება, ვინც უარი თქვა ქრთამის აღებაზე და ამხილა დამნაშავე; წესები და პროცედურები, ნებართვების აღება გამარტივდა, ბევრი გადასახადი შემცირდა ან მოიხსნა. რაც მთავარია, პოლიტიკური ლიდერები მტკიცედ იყვნენ განწყობილი კორუფციასთან საბრძოლველად, რაც ბევრ განვითარებად ქვეყანაში არ ხდება (Svensson, 2005).

არსებობს კორუფციასთან ბრძოლის სხვა მეთოდებიც. ასეთი მეთოდია საჯარო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობისათვის, რაც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მოითხოვონ სტანდარტების დაცვა, შეაფასონ მომსახურების ხარისხი და ყურადღება მიაქციონ საჯარო მოხელეთა დარღვევებს. ამგვარი მიდგომის წარმატებული მაგალითია უგანდას ქეისი, სადაც დაწყებითი სკოლები იღებდნენ მათთვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყოფილი თანხების მხოლოდ მცირე ნაწილს. მას შემდეგ, რაც დაიწყო ცენტრალური მთავრობის მიერ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ყოველთვიური გადარიცხვების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება გაზეთში, სკოლების თანამშრომლებმა და მშობლებმა შეძლეს პროცესის მონიტორინგი. შედეგად, სკოლებმა 2001 წელში

მიიღეს გამოყოფილი თანხების საშუალოდ 80%, რაც მნიშვნელოვანი მიღწევა იყო (Reinikka & Svensson, 2004).

კორუფციასთან ბრძოლის საქმეში კიდევ ერთი მიდგომაა გარე კონტრაქტირება, კერძო სექტორის დაქირავება რიგი ფუნქციების განხორციელების მიზნით. ამ მიდგომის გამოყენებამ საბაჟოზე შეიძლება შეამციროს კორუფცია: ის ამალღებს მაღალი დონის სამართალდაცავების მიერ მონიტორინგის შესაძლებლობებს და მეტ დამოუკიდებელ ინფორმაციას სთავაზობს მათ გზავნილების შიგთავსის შესახებ, რაც შესაძლოა კორუფციული გარიგების საგანი გამხდარიყო იმპორტიორსა და მებაჟეს შორის. ასეთი პროგრამების შედეგად იზრდება იმპორტი, რაც, სავარაუდოდ, იმპორტიორთა მიერ გადახდილი ქრთამებისა და არასწორი დეკლარირების რაოდენობის შემცირებით უნდა იყოს გამოწვეული. იანგის ცნობით, ასეთ პროგრამებში იმპორტზე მოსაკრებლების რაოდენობა იზრდება 6-8%-ით ყოველწლიურად (2005).

დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები მუდამ იძლევიან რეკომენდაციას, საჯარო მოხელეებისათვის მაღალი ხელფასის დანიშვნის შესახებ, კორუფციის შემცირების მიზნით. ასეთი პოლიტიკის წარმატებული მაგალითია შვედეთი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ევროპის ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად ითვლებოდა, დღეს კი ყველაზე ნაკლებ კორუმპირებულთა შორისაა. ამ წარმატების მიზეზად სწორედ გაზრდილი ხელფასები და დერეგულაცია სახელდება (Lindbeck, 1975).

ბეკერისა და სტიგლერის (1974) მიხედვით, თუკი საჯარო მოხელეს გადაუხდით მის პოტენციურ (ალტერნატიულ) ხელფასზე უფრო მაღალ ხელფასს, გარკვეულ პირობებში, მივაღწევთ მის პატიოსან ქცევას. თუმცა, თუკი ქრთამის რაოდენობა არ არის ფიქსირებული და სახეზე არ არიან სამართალდამცავები, ეს თეორიული კავშირი შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. თუ ქრთამის გადამხდელი და საჯარო მოხელე ივაჭრებენ, მოხელის

მაღალი ხელფასი აძლიერებს მის პოზიციებს ვაჭრობისას, რადგანაც ის ამალღებს კორუმპირებულობის მოსალოდნელ დანახარჯებს და კიდევ უფრო ზრდის ქრთამის სიდიდეს.

კორუფცია საქართველოში

კორუფცია საქართველოში ვარდების რევოლუციამდე

კორუფციას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველო “ცნობილი იყო... როგორც ორგანიზებული დანაშაულის ბუდე, რამაც საბჭოთა კავშირის სამხრეთ იტალიის მეტსახელიც კი მოუტანა მას” (Light, 2014, გვ. 322). კორუფცია არსებობდა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში; გაფლანგვა, მექრთამეობა და ნეპოტიზმი ფართოდ იყო გავრცელებული პოლიტიკური სისტემის ყველა დონეზე (Dadalauri, 2005).

ადგილი ჰქონდა როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ კორუფციას. “ვერტიკალური პოლიტიკური კორუფცია ასახავდა სოციალისტური პარტიის იერარქიული პირამიდის სტრუქტურას”. ის ხასიათდებოდა პატრონი-კლიენტი ურთიერთობით; კორუფციაში ჩართული ყველა მოხელე ერთმანეთზე იყო დამოკიდებული და იძულებული, დამორჩილებოდა დაუწერელ კანონებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი თანამდებობა და მასთან ასოცირებული კეთილდღეობები რისკის ქვეშ დგებოდა. “ქრთამი მიდიოდა ქვევიდან ზევით, პროტექციები უწევდნენ მთხოვნელებს სამსახურს და სამაგიეროდ იღებდნენ ქრთამს” (Dadalauri, 2005, გვ.5).

ჰორიზონტალურ კორუფციას ადგილი ჰქონდა ხელისუფლების უფრო დაბალ დონეზე; მას ემატებოდა მოქალაქეთა შორის არსებული ძლიერი სოციალური კავშირები (ოჯახი, მეგობრები). ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევა ამგვარი სოციალური წევრებს შორის უზრუნველყოფილი იყო. ასეთი კავშირები მხარს უჭერდა საჯარო თანამდებობის პირის თანამდებობაზე

ყოფნას და იძლეოდა “რესურსების ხელში ჩასაგდებად ორმხრივი დახმარების გარნატიას”, რაც ძირითადად გაფლანგვაში გამოიხატებოდა (Dadalauri, 2005, გვ.6).

საბჭოთა საქართველოს დროს ყველაზე უფრო კორუმპირებულ ორგანიზაციებად ითვლებოდა სამართალდამცავი სტრუქტურები, რაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდა: საჩივრები კორუფციის შესახებ, თუკი ასეთი იყო, უგულვებელყოფილი რჩებოდა. რადგან სამართალდამცავები მოქალაქეთა დაცვის საქმეში პოზიტიურ როლს არ ასრულებდნენ, მოქალაქეები ხშირად პრობლემების გადასაჭრელად კრიმინალურ ავტორიტეტებს მიმართავდნენ (Kukhianidze, 2009).

ავტორები (Holmes, 1993; Lovseth, 2001; ციტირებულია ნაშრომში: Kukhianidze, 2009) მიმოიხილავენ იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობდა კორუფციის არსებობას კომუნისტურ ქვეყნებში. როდესაც სახელმწიფო მოქალაქეთა თვალში არალეგიტიმურია, ისინი არიან ფრუსტრირებული, თავს გრძნობენ იზოლირებულად და მტრულ გარემოში, რაც ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს კორუფციის აყვავებისათვის. ქართველები, ანექსირებული ქვეყნის წარმომადგენლები, ყოველთვის გრძნობდნენ თავს პოლიტიკურად იზოლირებულად საბჭოთა სისტემისაგან. ეს გრძნობები კი განსაკუთრებით გამწვავდა 1956 წლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა ჯარებმა დაარბია და დახვრიტა სტუდენტები თბილისში, ნიკიტას ხრუმჩოვის მიერ სტალინის დაგმობის ფაქტის გამო პროტესტის დროს. გაუცხოვებულ ქვეყანაში ცხოვრების გამო, სადაც არ არის დემოკრატიული ინსტიტუტები და “თანამდეროვე ერი-სახელმწიფოს მენტალობა”, მოქალაქეთა განწყობები გადაიზარდა არსებული სახელმწიფოს მიმართ უნდობლობასა და ინდიფერენტულობაში: მოქალაქეები ორიენტირებულნი იყვნენ საკუთარ კერძო ცხოვრებაზე, ახლობელ ადამიანებზე, პოლიტიკური ელიტა კი

“განხილავდა მოსკოვს, როგორც ფულის საწველ ძროხას, საიდანაც მილიონობით რუბლს იღებდა” (Kukhianidze, 2009, გვ. 216-217).

საბჭოთა საქართველოში პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მტკიცე კონტროლი ჰქონდა დაწესებული ყოველდღიურ მექრთამეობასა და გაფლანგვაზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ცენტრალურმა ხელისუფლებამ კოლაფსი განიცადა და კორუფცია გახდა ქაოტური და არაკონტროლირებადი (Stefes, 2008).

90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანების დასაწყისში კორუფცია ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად იყო გამოცხადებული; მას ადგილი ჰქონდა საჯარო მომსახურების თითქმის ყველა სფეროში: საგზაო პოლიცია სძალავდა ქრთამს მძღოლებს; მოქალაქეები იხდიდნენ ქრთამს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისათვის, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის აღებისათვის, სახლის დარეგისტრირებისა თუ ბიზნესის დაწყებისათვის (World Bank, 2012). პოლიტიკური კორუფციის თემა მუდმივად იყო ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიის განხილვის საგანი.

გამოკითხვამ, რომელიც 2002 წელს საქართველოს 19 რეგიონში ჩატარდა საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ბიზნესის კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ მიერ (GORBI), გამოავლინა, რომ რესპონდენტთა 92% საჯარო თანამდებობის პირთა დიდ უმრავლესობას კორუმპირებულად თვლიდა. ყველაზე კორუმპირებულად საქართველოს მოქალაქეები საბაჟოს, პოლიციას და საგადასახადო სამსახურების წარმომადგენლებს მიიჩნევდნენ (Kukhianidze, 2009).

საერთაშორისო ორგანიზაციებიც კორუფციის მაღალ დონეს აფიქსირებდნენ საქართველოს საჯარო სამსახურში. 2003 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველომ 1.8 ქულა დააგროვა შკალაზე 0-დან 10-მდე, სადაც 0 ნიშნავს ძალიან კორუმპირებულს, 10 კი - სრულიად არაკორუმპირებულს. საქართველო 133 ქვეყანას შორის 124-ე

ადგილზე აღმოჩნდა (Transparency International, Corruption Perceptions Index, 2003).

კორუფციის გლობალური ბარომეტრის მიხედვით კი, 2003 წელს საქართველოში გამოკითხული რესპონდენტების 75.3% თვლიდა, რომ კორუფცია პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა, 19.3% კი მიიჩნევდა, რომ ეს ზეგავლენა მეტნაკლებად არსებობდა (Transparency International, Global Corruption Barometer, 2003).

საქართველოს ანტი-კორუფციული რეფორმები და მათი შედეგები

2003 წლის ვარდების რევოლუციისა და ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რამდენიმე რეფორმა გატარდა, მათ შორის დიდი ნაწილის მიზანი სწორედ კორუფციასთან ბრძოლა იყო.

ხელისუფლებამ სამსახურიდან გაათავისუფლა საჯარო მოხელეთა უმრავლესობა, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მსახურობდნენ. ამგვარ რადიკალურ მიდგომას მთავრობა იმით ამართლებდა, რომ ეს ადამიანები პოსტ-კომუნისტური კორუფციული სისტემის ნაწილი იყვნენ. სამსახურში აიყვანეს ახალი და გაცილებით ახალგაზრდა თანამშრომლები და ამგვარად საჯარო მოხელეთა საშუალო ასაკი გაახალგაზრდავდა. ამ ცვლილებას ახალი ხელისუფლება უყურებდა, როგორც კორუფციის შემცირების საშუალებას, უფრო “სწორი” შეხედულებების მქონე და კორუფციასთან დაკავშირებით მეტად გათვითცნობიერებული ადამიანების დასაქმებით საჯარო სექტორში. ამგვარად ბიუროკრატია მნიშვნელოვნად - თითქმის ორჯერ - შემცირდა, საჯარო მოხელეთა ხელფასები კი დაახლოებით 15-ჯერ გაიზარდა (Kupatadze, 2011, გვ. 2).

პარალელური რეფორმები დაიწყო საჯარო სამსახურის კორუმპირებულ სფეროებში. სააკაშვილის ხელისუფლებამ დააპატიმრა კრიმინალური ავტორიტეტები, ბიზნესმენები და მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც კანონის დარღვევაში ედებოდათ ბრალი. ამ პირთა დაკავების ფორმის გამო

ხელისუფლებამ დიდძალი კრიტიკა მიიღო - დაპატიმრება ხშირად ხდებოდა ღამით, ექვმიტანილთა ოჯახებისა და ტელეკამერების წინ. მთლიანობაში კორუფციის მიმარ ახალმა, არატოლერანტულობის პოლიტიკამ დაიწყო ჩამოყალიბება.

ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლის დროისათვის პოლიცია, ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებულ უწყებად ცნობილი სტრუქტურა, ორჯერ დიდი იყო, ვიდრე საბჭოთა პერიოდში და 60,000 თანამშრომელს ითვლიდა (Kukhianidze, 2009, გვ. 227). საგზაო პოლიცია განთქმული იყო მძღოლებისაგან ფულის გამოძალვის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკით. ერთი დღის განმავლობაში ამ უწყებიდან დათხოვნილი იქნა 16,000 თანამშრომელი (World Bank, 2012, გვ. 8) და საგზაო პოლიცია, რომელსაც მაშინ მილიცია ეწოდებოდა, დაიხურა. მის მაგივრად შეიქმნა დასავლური ტიპის საპატრულო პოლიცია. ახალ უწყებას ახალი ფუნქციები მიენიჭა: მოქალაქეთათვის გადაუდებელი დახმარების გაწევა, ქუჩის დანაშაულისა და უბანში კანონიერების დაცვის კონტროლი. აშშ-სა და ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით, მოხდა ახალი და უფრო ახალგაზრდა პოლიციელების აყვანა სამსახურში, შემდეგ კი - მათი დატრენინგება. ქალ პოლიციელთა რაოდენობამ იმატა 15%-ით, ხელფასებმა კი დაახლოებით 10-ჯერ. პოლიციის სადგურები გარემონტდა, პოლიცია აღიჭურვა ახალი იარაღით, უნიფორმებითა და მანქანებით, სადაც თანამედროვე ტიპის კომპიუტერები იყო დამონტაჟებული. ამ ძალისხმევის შედეგად, კორუფციამ ამ უწყებაში იკლო, ძალოვანთა კავშირები კრიმინალურ სამყაროსთან დაიშალა, დანაშაულის რიცხვი შემცირდა, პოლიციის ეფექტურობა კი გაიზარდა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია პოლიციის მიმართ მოქალაქეთა ნდობის გაჩენა. გამოკითხვის მიხედვით, რომელიც 2005 წელში ბიზნეს კონსტალტინგ ჯგუფის კვლევამ ჩაატარა (Business Consulting Group Research), მოქალაქეთა უმრავლესობა პოლიციას ენდობოდა, რაც

საბჭოთა ან შემდგომ პერიოდში არასოდეს მომხდარა. გაზრდილი ნდობის გამო, მოქალაქეებმა დაიწყეს კორუფციული დანაშაულის შესახებ პოლიციისათვის შეტყობინება. საქართველოს პოლიციის რეფორმა გახდა ფართოდ აღიარებული, როგორც კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითი (Kuknianidze, 2009, გვ. 227-228; World Bank, 2012, გვ. 18-19; di Puppò, 2010, გვ. 2).

კიდევ ერთი “კორუფციის კერა” პოსტ-საბჭოთა საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა იყო (Light, 2014, გვ. 326). სტუდენტები იხდიდნენ ქრთამს უნივერსიტეტში მოსაწყობად, ნიშნებისა და დიპლომის მისაღებად. უნივერსიტეტები მიღების პროცესს გარე დამკვირვებლების გარეშე ატარებდნენ. სააკაშვილის ხელისუფლებამ დააწესა ერთიანი ეროვნული გამოცდები; არსებული სისტემა გადაკეთდა შეჯიბრებით სისტემად და გახდა ცენტრალიზებული. შეიქმნა ახალი, დამოუკიდებელი უწყება, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრი, რომელმაც დაიწყო უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის გამოცდების მომზადება და ადმინისტრირება, 14 ცენტრის საშუალებით. უნივერსიტეტებმა შეწყვიტეს დამოუკიდებლად მისაღები გამოცდების ჩატარება, რაც კორუფციის შესაძლებლობების გამრავლების წყაროს წარმოადგენდა.

ამ ცვლილებების შედეგად, კორუფციის დონე საგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვნად შემცირდა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა კი გაიზარდა აბიტურიენტებისათვის დედაქალაქის გარედან. მთლიანობაში რეფორმამ საკმაოდ მაღალი მხარდაჭერა მიიღო მოქალაქეებისაგან (Orkodashvili, 2010, გვ. 5, 9-10; World Bank, 2012, გვ. 77, 80).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ გაატარა, იყო ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რაც ბიუროკრატიული პროცედურებისა და ქრთამის გადახდის შესაძლებლობების შემცირებაში გამოიხატა. გადასახადების რაოდენობა შემცირდა 21-დან 6-მდე,

ხოლო ნებართვებისა - 600-დან 50-მდე. საგადასახადო სისტემა, საბაჟო და ბიზნესის წამოწყების პროცედურები, საკუთრებისა თუ სხვადასხვა დოკუმენტების რეგისტრაცია გამარტივდა (Kupatadze, 2011, გვ. 2). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ცნობის მიხედვით, გატარებულ ცვლილებებამდე ნებართვების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტების დაახლოებით 83% რეალურ აზრს არ ატარებდა და გამოყენებული იყო ქრთამების გამოძალვისათვის (ციტირებულია კვლევაში: Dadalauri, 2005). მეწარმეებს, რომლებიც ბიზნესის წამოწყებას აპირებდნენ, უწევდათ ნებართვების აღება სხვადასხვა უწყებებიდან; მოქალაქეებს, რომლებსაც ესაჭიროებათ დაბადების მოწმობის აღება ან საკუთრების დარეგისტრირება, უწევდათ ქაოტური და კორუფციული პროცედურების გავლა. სისტემა ნელა მუშაობდა, მოხელეები პროცესის დაჩქარებისათვის ქრთამს ითხოვდნენ. ამ პრობლემების გადასაჭრელად ახალმა ხელისუფლებამ მოახდინა საჯარო და სამოქალაქო რეესტრების რეფორმირება და შემოიტანა ერთი სივრცის პრინციპი, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, მიიღონ ინფორმაცია, აიღონ ნებართვები და სხვა სახის დოკუმენტები ან დაარეგისტრონ ქონება ერთ სივრცეში (Dadalauri, 2005; World Bank, 2012).

ამ ცვლილებებმა შეასრულა გარკვეული როლი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში. შვიდი წლის განმავლობაში გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა გაიზარდა 80,000-დან 252,000-მდე, ხოლო გადასახადების წილი მშპ-ში - 12-დან 25 პროცენტამდე (World Bank, 2012, გვ. 3-7). ქვეყანა გაიხსნა უცხოური ინვესტიციებისათვის: 2009 წელში საქართველო გახდა მე-15 თავისუფალი ეკონომიკა მსოფლიოში, მსოფლიო ბანკის მიხედვით. შედარებისათვის, 2005 წელს მას 112-ე ადგილი ეკავა იმავე რეიტინგში (ციტირებულია კვლევაში: Light, 2014, გვ. 326).

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო შეიქმნა საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომელმაც

შესაძლებელი გახადა საპროცესო შეთანხმება და ქონების კონფისკაცია. ამ გზით ბიუჯეტში შევიდა ასობით მილიონი ლარი. მიდგომა გადმოღებული იყო იტალიისა და აშშ-ს მაფიასთან ბრძოლის პრაქტიკიდან. მისი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ კორუმპირებული თანამდებობის პირთა და დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლების ციხეში ჩასმასთან შედარებით, სადაც ისინი შეძლებენ არაკანონიერი ქმედებების გაგრძელებას, უფრო ეფექტურია მათი ფინანსური რესურსების გარეშე დატოვება (Kukhianidze, 2009, გვ. 225-226).

კანონთა მთელი წყება იქნა მიღებული საქართველოში კორუფციის პრევენციისა და გამოვლენის მიზნით და ასევე შევიდა ცვლილებები უკვე არსებულ კანონებში. საქართველოს კანონი კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1997 წელს, აყალიბებს ძირითად პრინციპებს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და გამოვლენისათვის და ასევე საჯარო თანამდებობის პირთა კეთილსინდისიერების ხელშესაწყობად.

კანონი განსაზღვრავს საჩუქრების ღირებულების ჯამურ რაოდენობას, რომლის მიღებაც ნებადართულია საჯარო მოხელის და მისი ოჯახის წევრების მიერ წლის განმავლობაში, რაც არ უნდა აღემატებოდეს წლიური ხელფასის 15%-ს. ცაკლეული საჩუქრის ღირებულება კი არ უნდა აღემატებოდეს წლიური ხელფასის 5%-ს (მუხლი 5).

საჩუქრის მიღების შემდეგ თუკი საჯარო მოხელე აღმოაჩენს, რომ მისი ღირებულება აღემატება დაშვებულს, ან თუკი მან ვერ შეძლო უარის თქმა მის მიღებაზე ამა თუ იმ მიზეზით (ის გაგზავნილი იყო ფოსტით ან აჩუქეს სახალხოდ), ის ვალდებულია, აცნობოს საჩუქრის შესახებ საჯარო სამსახურის ბიუროს, მიუთითოს ზუსტი ან სავარაუდო ღირებულება, მიუთითოს მჩუქნელის ვინაობა და სამი დღის ვადაში ჩააბაროს საჩუქარი ფინანსურ დეპარტამენტში (მუხლი 5²).

თანამდებობის პირს არ აქვს უფლება, მიიღოს რაიმე ანაზღაურება გარდა მისი ხელფასისა. გამონაკლისს წარმოადგენს პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი სამუშაო (მუხლი 13). ასევე, თანამდებობის პირს არ აქვს უფლება, მოითხოვოს უფრო დიდი ანაზღაურება იმ აქტივობებისათვის, რომელთა მიწოდება მოსახლეობისათვის მას ევალება მისი სამუშაო ვალდებულებების ფარგლებში (მუხლი 9). თანამდებობის პირს და მისი ოჯახის წევრებს არ აქვთ უფლება, ფლობდნენ აქციებს ან წილებს ბიზნესში, რომელთა მოქმედების ზედამხედველობა მათ სამსახურეობრივად ევალებათ (მუხლი 13).

საჯარო მოხელეები მოვალენი არიან, ჩააბარონ ქონების დეკლარაცია სამსახურის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში და შეიტანონ მასში ცვლილებები ყოველწლიურად. ეს ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისა თუ ორგანიზაციებისათვის. მოხელეებს, რომლებიც არ შეავსებენ დეკლარაციას, დაეკისრებათ ჯარიმა და ზოგ შემთხვევაში შეიძლება აღძრული იქნეს სისხლის სამართლის საქმეც (მუხლი 20).

1997 წლის შემდეგ კანონში მრავალი ცვლილება შევიდა, მათ შორის: გაიზარდა იმ პირთა სია, ვისაც კანონი ეხება, უფრო დეტალიზებული გახდა წესები საჩუქრის მიღების შესახებ, დეკლარაციის შევსებისათვის თავის არიდება სისხლის სამართლის დანაშაული გახდა და სხვა (Transparency International, 2011a). კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილებები ძალაში 2017 წელს შევა.

საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო რამდენიმე სხვა კანონი, რომლებიც არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტისა და კეთილსინდისიერების საკითხებს საჯარო სამსახურში. 2005 წელში მიღებული იქნა ეროვნული სტანდარტი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ადგენს შესყიდვების პროცედურებს და

მონიტორინგისა და გამჭვირვალების უზრუნველყოფის მექანიზმებს, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით. მოცემულ კანონშიც რამდენჯერმე იქნა შეტანილი ცვლილებები, შესყიდვების პროცესისათვის მეტი გამჭვირვალების უზრუნველსაყოფად.

2010 წელში მიღებული იქნა კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, რომელმაც სავალდებულო გახადა ყველა მნიშვნელოვანი საჯარო ორგანიზაციისათვის სპეციალური ერთეულის ყოლა შიდა აუდიტისა და კონტროლის საწარმოებლად, რაც მიზნად ისახავს კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აზრით, არსებული კანონმდებლობა უმეტესწილად ადეკვატურია, თუმცა პარლამენტი არ აწარმოებს მის მიერ მიღებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის აქტიურ მონიტორინგს. როდესაც საქმე მაღალი თანამდებობის პირებს ეხება, კანონმდებლობის დარღვევას ხშირად თვალს არიდებენ. ძალიან ცოტა შემთხვევა არსებობს იმისა, რომ მაღალი თანამდებობის პირებს, პარლამენტის წევრების ჩათვლით, პასუხი ეგოთ მათ მიერ ჩადენილ დარღვევებზე (Transparenecy International, 2011a).

ერთ-ერთი გახმაურებული საქმე მოხდა 2006 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტმა გახადა საჯარო ინფორმაცია პარლამენტის წევრის, ვალერი გელაშვილის (მაშინ - ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის წევრი) კომერციულ საქმიანობაში ჩართულობასთან დაკავშირებით. რადგან საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს პარლამენტის წევრის მიერ კომერციული საწარმოს მართვას, გელაშვილმა დაკარგა დეპუტატის მანდატი. ოპოზიციის მტკიცებით, მტკიცებულებები გელაშვილის წინააღმდეგ გაყალბებული იყო და ეს აქტივობა წარმოადგენდა პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის მიერ გელაშვილის წინააღმდეგ დაწყებული

შურისძიების გაგრძელებას. საქმე იმაშია, რომ ერთი წლით ადრე გაზეთმა “რეზონანსი” გამოაქვეყნა ინტერვიუ ვალერი გელაშვილთან, სადაც ის მკაცრად აკრიტიკებდა პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის ოჯახს. ამას მალევე მოჰყვა ინციდენტი, როდესაც გელაშვილს თავს დაესხნენ უცნობი პირები და სასტიკად სცემეს, რასაც შემდგომში გელაშვილი პირდაპირ სააკაშვილის ხელისუფლებას უკავშირებდა (Civil.ge, 2006).

საკაშვილის მმართველობის პერიოდში თითქმის არ იყო შემთხვევები, როდესაც მაღალი თანამდებობის პირი, პარლამენტის წევრების ჩათვლით, დაისაჯა არაკეთილისინდისირების, ინტერესთა კონფლიქტის, საჩუქრების და მსგავსის გამო. ოპოზიციური პარტიების აზრით, ეს პოლიტიკური ნების და არა დარღვევების არარსებობის გამო ხდებოდა (Transparency International, 2011a).

სამ წელზე მეტი გავიდა გავიდა ხელისუფლების ცვლილებისა და ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თუმცა როგორც ჩანს, ახალმა ხელისუფლებამ გააგრძელა წინა ხელისუფლების ნაკლოვანებები. ერთ-ერთი საინტერესო ინციდენტი მოხდა, როდესაც პატრიარქმა ილია მეორემ პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილს აჩუქა Ulysse Nardin-ის მაჯის საათი, რომლის ღირებულებაც \$10,400 ან მეტს შეადგენდა. ივანიშვილის თქმით, პატრიარქის საჩუქარი საჩუქარზე მეტი იყო. მან განაცხადა, რომ საჩუქარს ეროვნულ არქივს გადასცემდა. თუმცა, როგორც ჩანს, ივანიშვილს საათი კიდევ ხუთი თვის განმავლობაში ჰქონდა, ხოლო გადადგომის შემდეგ ის სახელწიფოს გადასცა მუშაობის პერიოდში მიღებულ სხვა საჩუქრებთან ერთად. მის დეკლარაციაში აღნიშნული ნივთი არ ასახულა (Netgazeti.ge, 2014). როგორც ჩანს, პატრიარქის ფიგურის გამო ივანიშვილმა არ ჩათვალა შესაძლებლად, კანონით დადგენილი წესის მიხედვით, საჩუქრის შესახებ ოფიციალურად განეცხადებინა და გადაეცა ის ფინანსური განყოფილებისათვის ჩუქებიდან სამი დღის განმავლობაში. მეტიც,

პატრიარქის ფიგურის გამო ოპოზიციური პატრიებიც კი მოერიდნენ პრემიერ მინისტრის კრიტიკას კანონის ასე აშკარად დარღვევის გამო.

უფრო ეთიკური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების მცდელობების ფარგლებში რამდენიმე უწყებამ, მათ შორის საქართველოს პარლამენტმა, პოლიციამ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიიღეს ეთიკის კოდექსი, თუმცა ამ კოდექსების ქმედითობა საჯარო მოხელეთა ქცევაზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საქართველოს პარლამენტმა კოდექსი 2004 წელს მიიღო, თუმცა ის არ ყოფილა აქტიურად გამოყენებული. თუმცა “პარლამენტის წევრთა არაკეთილსინდისიერი საქციელი მოქალაქეთა წუხილის მიზეზია საქართველოში”, როგორც ჩანს, ეთიკის კოდექსს არ უბიძგებია პარლამენტარებისათვის, ამგვარი საქციელისგან თავი შეეკავებინათ. მოცემული ეთიკის კოდექსი არ შეიცავს სავალდებულო პირობებს ან აღსრულების მექანიზმებს და ამდენად, როგორც ჩანს, პარლამენტართა უმეტესობას არ სურს ახალი, სავალდებულო ეთიკის კოდექსის მიღება და არსებული სიტუაციის შენარჩუნებას ემხრობა (Gogidze, 2012, გვ. 3).

მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, მთლიანობაში რეფორმათა ციკლის შედეგად გამჭვირვალობა გაიზარდა და კორუფცია შემცირდა მრავალ საჯარო უწყებაში: პოლიციაში, საგადასახადო სისტემაში, საბაჟოზე, ელექტროენერჯის დისტრიბუციის სფეროში, უმაღლეს განათლებაში, საჯარო და სამოქალაქო რეესტრში და მუნიციპალურ მომსახურებებში (World Bank, 2012, გვ. x).

რეფორმების შედეგები აისახა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეიტინგებში. 2006 წელს მსოფლიო ბანკმა განაცხადა, რომ “საქართველოში მოხდა კორუფციის ყველაზე დიდი შემცირება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის 2002-დან 2005 წლამდე (Global Integrity, 2006).

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის 2008-2009 წლის გამოკითხვის მიხედვით, კერძო კომპანიების მხოლოდ 14% თვლიდა, რომ მათ მოუწევდათ ქრთამის გადახდა საჯარო თანამდებობის პირებისათვის მომსახურების მისაღებად. შედარებისათვის, იმავე პერიოდში კერძო კომპანიათა 31% მიიჩნევდა იგივეს უკრაინაში და 39% რუსეთში (ციტირებულია კვლევაში: Kupatadze, 2011, გვ. 2).

2010 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის გლობალური ბარომეტრის რეიტინგში საქართველო, რომელიც “შესაძლოა ყველაზე კორუფციული საბჭოთა რესპუბლიკა იყო”, (Light, 2014, გვ. 322), გამოცხადდა მსოფლიოში პირველ ქვეყნად კორუფციის დონის შედარებითი შემცირების მხრივ.

დანაშაულის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და გახდა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ევროპის მასშტაბით. 2010 წლის მონაცემების მიხედვით, გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 1-5% აცხადებდა, რომ გადაიხდა ქრთამი საჯარო მომსახურების მისაღებად საშუალო განათლების, საგზაო პოლიციის, ოფიციალური დოკუმენტების, სოციალური უზრუნველყოფისა და სამოქალაქო სასამართლოს სფეროებში. შედარებისათვის, მოქალაქეების 17-30% აცხადებდა იმავეს საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ ქვეყნებში და 3-7% ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში (World Bank, 2012, გვ. 3-7).

საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიშების მიხედვით, 2003-2013 წლებში საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს კორუფციის შემცირების საქმეში. 2013 წლისათვის საქართველოს ადგილი რეიტინგში, რომელსაც ადგენენ საერთაშორისო ექსპერტები (ისინი სწავლობენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას), მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გახდა 55-ე, 177 ქვეყანას შორის. შედარებისათვის, 2003 წელს საქართველოს იმავე რეიტინგში 124-ე ადგილი ეჭირა 133 ქვეყანას შორის. საქართველომ ამ რეიტინგში უკეთესი ადგილი დაიკავა, ვიდრე სხვა პოსტ-

კომუნისტურმა ქვეყნებმა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, ბალტიის ქვეყნების გარდა. შედარებისათვის, უკრაინა იმავე რეიტინგში იყო 144-ე, ხოლო რუსეთი 127-ე (Transparency International, Corruption Perception Index, 2013).

ცხრილში N1 წარმოდგენილია საქართველოში კორუფციის მაჩვენებლები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ინდექსების მიხედვით 1996-2014 წლებში. მოცემული ინდექსები შექმნილია სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით და ყოველი მათგანი არ ფარავს მთლიანად ამ ცხრამეტწლიან პერიოდს, თუმცა მთლიანობაში ყველგან ჩანს გაუმჯობესების ტენდენცია, რაც 2003-2007 წლებიდან იწყება, გარდა პირველი მაჩვენებლისა. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ის არის, რომ პირველი მაჩვენებელი, რომელიც შემუშავებულია მსოფლიო ბანკის “ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასების” მიერ (Country Policy and Institutional Assessment - CPIA), კორუფციასთან ერთად ამ ინდექსში ზომავს საჯარო სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშგების დონესაც (მსოფლიო ბანკი, ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასება).

ცხრილი N1. კორუფცია საქართველოში საერთაშორისო ინდექსების მიხედვით, 1995-2014					
	Country Policy and Institutional Assessment*	Business Enterprise Environment Survey**	Global Corruption Barometer**	Global Insight Country Risk (HIS)**	Corruption Perceptions Index***
2014	-	0.98	0.73	0.50	52 (50/175)
2013	3.5	0.98	0.73	0.38	49 (55/177)
2012	3.5	0.76	0.73	0.38	52 (51/174)
2011	3.5	0.76	0.77	0.38	4.1 (64/182)
2010	3.5	0.76	0.77	0.38	3.8 (68/178)
2009	3.0	0.76	0.73	0.25	4.1 (66/180)
2008	3.0	0.76	0.73	0.25	3.9 (67/180)
2007	3.0	0.80	0.66	0.25	3.4 (79/179)
2006	3.5	0.80	0.66	0.38	2.8 (99/163)
2005	3.5	0.80	0.66	0.38	2.3 (130/158)
2004		0.57	0.67	0.40	2.0 (133/145)
2003		0.57		0.38	1.8 (124/133)

2002		0.57		0.13	2.4 (85/102)
2001		-			
2000		0.34		0.13	
1999					2.3 (84/99)
1998				0.13	
1997					
1996				0.13	
<p>* რეიტინგში გამოყენებულია შკალა 1-6, სადაც 1 აღნიშნავს კორუფციის ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო 6 - ყველაზე დაბალ დონეს.</p> <p>** რეიტინგში მითითებული რიცხვები მიუთითებს იმ ქვეყანათა რაოდენობას, გამოხატულს პროცენტულ მაჩვენებლებში, სადაც კორუფცია უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში.</p> <p>*** რეიტინგში გამოყენებულია შკალა 0-10, ხოლო 2012 წლიდან შკალა 0-100, სადაც 0 აღნიშნავს კორუფციის ყველაზე მაღალ დონეს, ხოლო 10 და 100 - ყველაზე მაღალ დონეს. ფრჩხილებში მითითებულია საქართველოს ადგილი რეიტინგში და იმ ქვეყანათა რაოდენობა, სადაც მოცემულ წელს გაზომილი იქნა კორუფციის დონე.</p> <p>წყაროები: მსოფლიო ბანკი, ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასება; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ბიზნეს გარემოსა და მეწარმეობის გამოკითხვა; საერთაშორისო გამჭვირვალობა, კორუფციის გლობალური ბარომეტრის გამოკითხვა; ინფორმაციის გადამუშავების სერვისები, ქვეყნის რისკის შეფასების გლობალური ხედვა;</p>					

შემდეგი ოთხი მაჩვენებელია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (European Bank for Reconstruction and Development) ბიზნეს გარემოსა და მეწარმეობის გამოკითხვა (The Business Environment and Enterprise Performance Survey - BEEPS), საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის გლობალური ბარომეტრის გამოკითხვა (Global Corruption Barometer Survey - GCB), ინფორმაციის გადამუშავების სერვისების (IHS) ქვეყნის რისკის შეფასების გლობალური ხედვა (Global Insight Country Risk Rating - GICRR) და საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის აღქმის ინდექსი (Corruption Perceptions Index - CPI). ცხრილში ჩანს, რომ ოთხივე ინდექსის მიხედვით, მთლიანობაში, ბოლო 10-11 წლის განმავლობაში საქართველოში კორუფციის დონე კლებადია. განსხვავებები სხვადასხვა ინდექსს შორის უნდა აიხსნებოდეს იმ მიდგომებით, რომლებიც ორგანიზაციებმა გამოიყენეს კორუფციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას. მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ეყრდნობა ბიზნესების აღქმებსა და გამოცდილებას და ამ მაჩვენებლით საქართველოს საუკეთესო შედეგები აქვს, სხვა მაჩვენებლები კი, რომლებიც

მოქალაქეების ან ანალიტიკოსთა აღქმებს(აც) ეყრდნობა, უფრო დაბალ ქულებს იძლევა. ეს შეიძლება აიხსენობდეს იმით, რომ ბიზნესს ყველაზე ნაკლებად უწევს კორუფციულ გარიგებებში შესვლა, ვიდრე საზოგადოების სხვა ჯგუფებს ან სხვა სფეროებს. მეორე შესაძლო ახსნა კი ის არის, რომ ბიზნესის წარმომადგენლები შესაძლოა ყველაზე უფრო ფრთხილები არიან და ნაკლებად ნეგატიურ ინფორმაციას იძლევიან გამოკითხვისას, ვიდრე სხვა მოქალაქეები ან ანალიტიკოსები თუ ექსპერტები.

ანტი-კორუფციული რეფორმის ნაკლოვანებები

საქართველოს წარმატება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდაა აღიარებული და მისი “ანტი-კორუფციული პროგრამა სულ უფრო ხშირად აღინიშნება, როგორც მოდელი სხვა ქვეყნებისათვის” (Light, 2014, გვ. 326). მართლაც, წარმატება უდავოა, თუმცა რეფორმები დიდი მაინც დიდი კამათის საგანია. სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა აქტორების ჩართულობა რეფორმების მომზადებისა და განხორციელების ეტაპებზე ძალიან სუსტი იყო, რაც შესაძლოა ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო რეფორმების თანმდევი ნაკლოვანებებისა (Hussman, 2007, გვ. 28).

პოლიციის რეფორმამ მნიშვნელოვანი კრიტიკა დაიმსახურა, როგორც ნაჩქარევმა და მოუმზადებელმა. ახალი პოლიციელების დაქირავების პროცესი “მიმდინარეობდა ნაკლოვანებებით და არ იყო განსაზღვრული ნათელი კრიტერიუმები”. ახლად დაქირავებული პოლიციელები იყვნენ “ახალგაზრდა და გამოუცდელი”, თუმცა ლოიალურად განწყობილი მაღალი თანამდებობის პირებისადმი და ამდენად ლოიალობისა თუ შიშის გამო ნაკლებად მოტივირებული თავად ხელისუფლებაში კორუფციის ქეისების გამოსავლენად (di Puppo, 2010, გვ. 3). მათი ტრენინგი იყო მოკლევადიანი და ზედაპირული (Kukhianidze, 2009, გვ. 227). პოლიციელთა დიდი რაოდენობით გათავისუფლება ისე მოხდა, რომ არ იყო დაცული შესაბამისი სამართლებრივი

პროცედურები. ყოფილ პოლიციელთა ნაწილმა ვერ მოახერხა სამუშაოს შოვნა და არსებობს ანგარიშები, რომ მათი ნაწილი ორგანიზებულ დანაშაულში ჩაერთო (di Puppò, 2010, გვ. 3).

იყო ბევრი შემთხვევა, როდესაც რეფორმირებულმა პოლიციამ გამოიყენა გადაჭარბებული ძალა. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 2007 წელს ანტი-სახელისუფლებო პროტესტის დარბევა და ცნობილი გირგვლიანის საქმე, როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი მოკლული იქნა ფიზიკური ანგარიშსწორების შედეგად.

პოლიცია არა ერთხელ ყოფილა შემჩნეული დაკავებულთა არასათანადო და სასტიკ მოპყრობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უხეში დარღვევებით. პროფესიონალიზმის ნაკლებობის გამო პოლიციელებს უჭირდათ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება და აყალბებდნენ მტკიცებულებებს დაკავების უზრუნველყოფის მიზნით. ასეთი პოლიციელების განთავისუფლება ან მათ წინააღმდეგ საქმის აღძვრა კი ძალიან იშვიათად ხდებოდა (Light, 2014, გვ. 328-329; Kukhianidze, 2009, გვ. 226).

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტრო “რჩებოდა ძლიერ და იერარქიულ სახელმწიფო უწყებად, რომელსაც აკლდა გამჭვირვალებობა და გარე კონტროლი, რამაც... შედეგად გამოიღო ადამიანის უფლებების დარღვევა, მათ შორის უკანონო სატელეფონო მოსმენები და ძალის გადამატებული გამოყენება”. სამინისტროს მოქმედებებზე არ ვრცელდებოდა გარე კონტროლის საკმარისი ზომები და მის თანამშრომლებს არ მოეთხოვებოდათ პასუხი მათ მიერ განხორციელებული უკანონო აქტივობების გამო. ხშირად რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პოლიციას იყენებდა მმართველო პარტია საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად, როგორცაა მაგალითისათვის ოპოზიციის შევიწროვება (di Puppò, 2010, გვ. 3).

რეფორმებს არ შეუცვლია მდგომარეობა უკეთესისაკენ სასამართლო სისტემაში - მას აკრიტიკებდნენ მმართველი პარტიის მიერ ნაკარნახევი გადაწყვეტილებების მიღების გამო (International Judicial Monitor, 2006).

ამგვარად, თუმცა რეფორმების შედეგად წვრილმანი კორუფცია დრამატულად შემცირდა, პოლიციის მიერ გამოძალვა ამოიძირკვა და ორგანიზებული დანაშაული დამარცხდა, ისმოდა ბრალდებები, რომ მაღალი თანამდებობის პირები ისევ იყვნენ ჩართული ეგრეთ წოდებულ ელიტურ კორუფციაში (Kuknihidze, 2009, გვ. 228; Light, 2014, გვ. 328).

2012 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ახალი ძალა, კოალიცია ქართული ოცნება მოვიდა. არსებობს ნიშნები, რომ ახალი ხელისუფლება იმეორებს იმ ნაკლოვანებებს, რისთვისაც წინა ხელისუფლებას საყვედურობდნენ. ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები მკაცრად აკრიტიკებენ მას გაზრდილი ნეპოტიზმის, საექვო ტენდერებისა და კორუფციის გამო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში.

მიუხედავად აღწერილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, ანტი-კორუფციული რეფორმა საქართველოში ბევრ ასპექტში იყო წარმატებული და მნიშვნელოვანია ამ წარმატების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება.

საქართველოს ანტი-კორუფციული რეფორმის წარმატების შესაძლო მიზეზები

რა ამოდრავებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, განახორციელონ აგრესიული ანტი-კორუფციული რეფორმა ან პირიქით, თავი აარიდონ მას? რა შესაძლო მიზეზები შეიძლება არსებობდეს, რომლებმაც განაპირობა საქართველოში ანტი-კორუფციული რეფორმის წარმატება? როგორც ჩანს, საქართველოს მტკიცე გადაწყვეტილება, ებრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, განპირობებული იყო რამდენიმე განმსაზღვრელი ფაქტორის ერთობლიობით და არა რომელიმე ერთი ცალკე აღებული ფაქტორით.

ერთი შესაძლო ახსნა, რომელზეც ავტორთა უმრავლესობა საუბრობს, არის ეკონომიკური სტიმულები და საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოსაზიდად (Light, 2014; Chêne, 2011; Kupatadze, 2011). საქართველო არ ფლობს მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებს და ქვეყანაში არც დიდი ინდუსტრიული საწარმოები არსებობს. ამდენად, უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ გზად მიიჩნეოდა. ბიუროკრატიული პროცედურებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების გზით ინვესტიციებისათვის მიზიდველი გარემოს შექმნა სააკაშვილისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. მართლაც, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2003-2008 წლებში გაიზარდა 340 მილიონი დოლარიდან 1.56 მილიარდ დოლარამდე (Kupatadze, 2011, გვ. 3). თუმცა, როგორც ლაითი აღნიშნავს, ინვესტიციების მოზიდვის სურვილი სრულად ვერ ახსნის გატარებულ რეფორმებს, რადგან “პოლიციის რეფორმის ბევრი ასპექტი სარგებლის მომტანი იყო საქართველოს მოსახლეობისათვის და არა ბიზნესებისათვის” (2014, გვ. 330).

მეორე ფაქტორი, რომელმაც რიგი ავტორების აზრით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის ანტი-კორუფციული რეფორმების ფორმირებაში, იყო საქართველოს სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირისაკენ (Light, 2014; Chêne, 2011; Kupatadze, 2011). საქართველოს ლიდერებს აღელვებდათ ქვეყნის რეპუტაცია საერთაშორისო არენაზე და საკუთარი იმიჯიც, როგორც “ანტი-კორუფციული ჯვაროსნებისა”. კანონის უზენაესობა განიხილებოდა, როგორც დასავლეთის სოციალური და სამართლებრივი სტანდარტების დაკმაყოფილების აუცილებელი პრე-რეკვიზიტი. თუმცა, ლაითი (2014, გვ. 331) აღნიშნავს, რომ ნატოსა და ევროკავშირისაკენ სწრაფვა ვერ იქნება განხილული, როგორც რეფორმების ძირითადი სტიმული: თუმცა დასავლეთი მოთხოვდა ფულის გათეთრებაში ხელისუფლების ჩართულობის შეწყვეტას, მათ მოთხოვნებში არ შედიოდა რეფორმების სხვა ასპექტები, რომელთა მიზანი

მოქალაქეთათვის სარგებლის მოტანა იყო. დასავლური ქვეყნები თანამშრომლობდნენ სხვა კორუმპირებულ ქვეყნებთან და გააგრძელებდნენ თანამშრომლობას საქართველოსთანაც. ისეთი საშუალო კორუფციის მქონე ქვეყნები, როგორცაა თურქეთი და საბერძნეთი, წარმატებით შევიდნენ ნატოსა და ევროკავშირში და ამდენად კორუმპირებულობა ვერ იქნებოდა ძალიან დიდი დაბრკოლება ამ ორგანიზაციებისაკენ სწრაფვის საკითხში. მეტიც, დასავლეთის ქვეყნები არ ხელმძღვანელობდნენ რეფორმებს, არამედ უწევდნენ მთავრობას კონსულტაციასა და სხვა დახმარებას, თუმცა მათი რჩევები ყოველთვის არ იყო გათვალისწინებული. რეფორმების მთავარი მამოძრავებელი ძალა საქართველოს ხელისუფლება იყო. თუმცა რეფორმების პირველ ეტაპზე დასავლეთი უწევდა ხელისუფლებას ფინანსურ დახმარებას, “ეს დახმარება არ იყო რეფორმის პროცესისათვის საკმარისი განმაპირობებელი ფაქტორი” (გვ. 331).

მესამე ფაქტორი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე, არის ქვეყნის ლიდერების მტკიცე გადაწყვეტილება, რომ რეფორმები უნდა გატარებულიყო. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მათი უნარები, რეალურად დაემარცხებინათ კორუფცია, რაც მათ გამოარჩევდა სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისაგან (Kakachia and O’Shea, 2012 ციტირებულია კვლევაში: Light, 2014, გვ. 332; Chêne, 2011; Kupatadze, 2011). ბევრი ლიდერი, რომელიც მონაწილეობდა რეფორმების ფორმირებასა და განხორციელებაში, მოდიოდა სამოქალაქო საზოგადოებიდან, ჰქონდა დასავლური განათლება და მსოფლმხედველობა, განსხვავებული ტრადიციული საბჭოთა ლიდერების მსოფლმხედველობისგან.

კიდევ ერთი ახსნა, რომელსაც ავტორები გვთავაზობენ, არის ის საერთო ბრაზი, რომელიც მოსახლეობაში არსებობდა წინა რეჟიმის ფესვგადგმული კორუფციის გამო. ხელისუფლებას მოუწია, გაეთვალისწინებინა ეს ფაქტორი და ასევე შეძლო, გამოეყენებინა რეფორმებისათვის ხელსაყრელი მომენტი,

როდესაც ის შემღებდა საზოგადოებრივი მხარდაჭერაზე დაყრდნობას (Kupatadze 2007, ციტირებულია კვლევაში: Light, 2014; Chêne, 2011).

ლაითი გვთავაზობს შესაძლო ამხსნელი ფაქტორების კომპლექსურ ერთობლიობას. მისი აზრით, საქართველო იყო ერთადერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, სადაც რამდენიმე ფაქტორი, რომელმაც ქვეყანა დანგრევამდე მიიყვანა, ერთად იყო სახეზე: 2003 წლისათვის საქართველოში იყო რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ორი სეპარატისტული ანკლავი, რუსეთის ზეგავლენა ქვეყნის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებზე იყო მდგრადი, სახელმწიფო ქმედუნარიანობა ძალიან სუსტი, ორგანიზებული დანაშაული კი - ძლიერი. ქვეყანა ძალიან სუსტი იყო იმისათვის, რომ ამ გარეგან და შინაგან საფრთხეებს ძირეული ცვლილებების გარეშე გამკლავებოდა. პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება თანხმდებოდა იმაზე, რომ კორუფცია უნდა დამარცხებულყოფ (2014).

საქართველოში ეთიკური საჯარო სამსახურის განვითარების წინაპირობები

დემოკრატიის დამყარება ამა თუ იმ ქვეყანაში არ არის ადვილი საქმე: განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა და შენარჩუნება მუდმივი გამოწვევაა, რომელსაც მრავალი დაბრკოლება ხვდება წინ. ისეთ განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც არადემოკრატიული რეჟიმის მქონე წარსული აქვთ, დემოკრატიის დამყარება ევოლუციური პროცესია, რომელიც მოითხოვს დროს, მუდმივ ძალისხმევას, მოქალაქეთა მხარდაჭერასა და მათ განათლებას, ინტრიგებისა და გარეგანი წინააღმდეგობრივი ძალების წარმატებით გამკლავებას, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს, სტაბილურ ეკონომიკას და იღბალსაც კი (Ghonghadze & Edner, 2014).

ერთ-ერთი ინსტიტუცია, რომელსაც ამ პროცესის დახმარება შეუძლია,

სტაბილური, პროფესიული, კორუფციისაგან სუფთა და ეთიკური საჯარო სამსახურია, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებებზე დგას. თუმცა ეს პრაქტიკაში ძნელად მოსახერხებელია, რადგან ასეთი საჯარო სამსახური, როგორც წესი, წინ ვერ უსწრებს დემოკრატიული სისტემების განვითარებას და მასთან პარალელურად ვითარდება. შესაძლოა დავასახელოთ ხუთი ფართო სფერო, რომელიც თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეთიკური საჯარო სამსახურის განვითარებაში: სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და პროფესიული. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ეთიკური საჯარო სამსახურის სოციალური და კულტურული კონტექსტი

კულტურული კონტექსტი განსაზღვრავს იმ სოციალურ ღირებულებებსა და ტრადიციებს, რომელთაც იზიარებს საზოგადოება და ხელისუფლება. საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელია არსებობდეს ძირეული ღირებულებების კომპლექტი, რომელიც ითვალისწინებს პატივისცემას ადამიანების მიმართ, ეგალიტარიანიზმს, ადამიანების ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობას და უფრო მაღალი ეთიკური განვითარებისაკენ სწრაფვას. კოლბერგის მიხედვით (1981, გვ. 17-19), ადამიანები უნდა ისწრაფვოდნენ, მიაღწიონ სოციალური ინტერაქციის უფრო მაღალ დონეს, რაც ითვალისწინებს ავტორის “ეთიკური განვითარების ექვსი საფეხურიდან” ექვსივეს მიღწევას.

ამ საფეხურებიდან ერთ-ერთი, მეოთხე საფეხური აღნიშნავს სოციალურ მართლწესრიგს, რაც საშუალო მიღწევას ყოველი ზრდასრული ადამიანისათვის. მეხუთე და მეექვსე საფეხურები კი ნიშნავს სოციალური კონტრაქტისა და უნივერსალური ეთიკური პრინციპების დანერგვას. თუმცა რთული იქნება, დავუკავშიროთ კოლბერგის ეთიკის ჩარჩო მმართველობის რომელიმე კონკრეტულ ფორმას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები ითხოვს პატივისცემას მოქალაქეთა შორის, ერთი

მხრივ, და ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის, მეორე მხრივ. ამგვარი პატივისცემის არსებობის გარეშე სოციალურ მართლწესრიგს ხელისუფლება ამყარებს, ხოლო ცალკეული მოქალაქეები არ იღებენ მონაწილეობას ამ პროცესში.

საბჭოთა სამოცდაათწლიანმა ისტორიამ შეუშალა ხელი საქართველოს, განევიტარებინა მოქალაქეთა დემოკრატიული თანასწორობა, წარმატების მისაღწევად ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობა, ხელისუფლების, ქვეყნისა და საჯარო სამსახურის პატივისცემა.

თუმცა კომუნისტური იდეოლოგია საყოველთაო თანასწორობას ქადაგებდა, მოქალაქეებს არ ეძლეოდათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები. პარტიისადმი ლოიალურობა ადამიანის წარმატების ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა 1991 წლიდან მოყოლებული, ყველა ხელისუფლება იმსახურებდა კრიტიკას იმის გამო, რომ განსაკუთრებულ პირობებში აყენებდა მომხრეებს, ოპონენტებს კი ჩაგრავდა.

საბჭოთა კავშირის გეგმიური ეკონომიკა ითვალისწინებდა სამუშაო ადგილების გამოყოფას მოქალაქეებისათვის. სპეციალური სამსახური ანაწილებდა ადამიანებს სხვადასხვა ორგანიზაციებში სამუშაოდ. თანამედროვე საქართველოში კი მოქალაქეთა ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია აზრს, რომ ისინი საკუთარ შესაძლებლობებს და არა ხელისუფლებას უნდა დაეყრდნონ სამუშაოს მოსაძებნად და წარმატებული კარიერის ასაშენებლად. თუმცა ახალგაზრდა თაობისათვის ეს ახალი მიდგომა არ არის უცხო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ ელის ხელისუფლებისაგან მათთვის სამუშაო ადგილების გამოყოფას, “პატრონობას”, და აკრიტიკებს მას, თუკი ის ამას არ აკეთებს.

საბჭოთა მემკვიდრეობამ ასევე დიდი ზეგავლენა მოახდინა იმაზე, თუ

როგორ ხედავენ მოქალაქეები ხელისუფლებას. საბჭოთა პერიოდში ანტი-საბჭოთა, ანტი-სახელისუფლებო პერსონაჟები ლიტერატურიდან თუ ესტრადიდან მეტად პოპულარული იყო და მათ თანაგრძნობით უყურებდნენ, თუმცა ხშირად ისინი დანაშაულებივ სამყაროსთან ასოცირდებოდნენ. მათ საზოგადოების ნაწილი აღიქვამდა, როგორც გმირებს, რომლებიც ებრძვიან ბოროტებას - ხელისუფლებას; ხოლო ასეთი ხელისუფლებისათვის მოპარვა ან გაფლანგვა თითქოსდა არც ითვლებოდა ცუდ საქმედ. დამოუკიდებლობის შემდეგ პირველი ორი ხელისუფლების პირობებში ცოტა რამ თუ შეიცვალა ამ თვალსაზრისით; ძვრებმა სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში საზოგადოების აზროვნების შეცვლა მხოლოდ ნელი ტემპებით უზრუნველყო. პირველი ხელისუფლების მმართველობა სამოქალაქო ომით დასრულდა, მეორე კი ტოტალურ კორუფციაში ჩაიძირა. მესამე ხელისუფლების აგრესიული რეფორმების შედეგად ეს ტენდენცია რამდენადმე შეიცვალა. კორუფციის დონე საგრძნობლად შემცირდა, რამაც გარკვეულწილად აამაღლა საჯარო ინსტიტუციებისადმი ნდობა და პატივისცემა. ამისდა მიუხედავად, ნდობა ხელისუფლებისადმი საქართველოში არ არის მაღალი. ASEP/JDS World Values Survey მიხედვით (2008), 2005-2008 წლებში ნდობის ინდექსში საქართველომ 69.0 ქულა დააგროვა, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლებისადმი მხოლოდ მცირე ნდობა არსებობს (ნდობის სრული უქონლობა = 50 ქულაზე ნაკლები; მცირე ნდობა = 50-დან 100 ქულამდე; გარკვეული ნდობა = 100-დან 150 ქულამდე; მაღალი ნდობა = 150 ქულა და მეტი).

დღევანდლამდე სოციალურ-კულტურული ღირებულებები საქართველოში არ უწყობდა ხელს სოციალური ეგალიტარიანიზმის პრინციპებისა და სოციალური მართლწესრიგის დამკვიდრებას, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების მიერ, ზევიდან ქვემოთ არ იქნებოდა ნაკარნახევი. საზოგადოება საქართველოში დამოკიდებული იყო მონარქებზე, გარეშე ძალების კონტროლზე. ქვეყანამ მოახდინა ადაპტაცია რუსეთის “ზევიდან

ქვევით” ტიპის კონტროლთან, და მისთვის მტკიცენულია ახალი, სოციალური დემოკრატიის პროცესი. საზოგადოებამ იხილა ახალი დემოკრატიების მაგალითი აღმოსავლეთ ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და შესაძლოა ამ მაგალითებით შთაგონებული დღეს თავადაც ცდილობს სოციალური თვითგამოხატვისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების ახალი გზების ძიებას. თანამედროვე სოციალური მედიის არსებობის პირობებში, ამგვარი განვითარების სტიმული მრავალგვარია და სხვადასხვა წყაროებიდან მოდის. თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სოციალური მართლწესრიგის დამყარების მცდელობის პირველი ნიშნები უკვე არსებობს, მაინც ეს წესრიგი ჯერ მყარი არ არის და სოციალური ღირებულებებიც არ არის ისე განვითარებული, რომ ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად უზრუნველყოს ამგვარი წესრიგის არსებობა, რაც, სხვა სიკეთეებთან ერთად, კორუფციის შემცირებასაც შეუწყობდა ხელს (Ghonghadze & Edner, 2014).

ეთიკური საჯარო სამსახურის პოლიტიკური კონტექსტი

ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციები, ქცევები და პრაქტიკა ქმნის ხელისუფლების ინსტიტუციონალური სტრუქტურის კონტექსტს. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მკვიდრდება მმართველობის ფორმის პოლიტიკური კონტექსტი, ყალიბდება ეროვნული იდენტობა. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის არცთუ ხანგრძლივი ისტორია აქვს. დამოუკიდებლობა პირველად 1918-ში გამოცხადდა და მხოლოდ სამი წელი გასტანა, სანამ 1921-ში ქვეყანა წითელი არმიის მიერ იქნებოდა დაპრობილი. 1991 წელს კი დასრულდა რუსეთის თითქმის ასწლიანი დომინანტობის ხანა, ჯერ ცარიზმის, შემდეგ კი კომინუსტური იერარქიული კონტროლი.

პოლიტიკური ავტონომიის ოცი წლის განმავლობაში სტაბილური პოლიტიკური იდენტობის ნაკლებობა აისახა ორ მშფოთვარე არჩევნებსა და ერთ რევოლუციაში. ერთი პოლიტიკური რეჟიმიდან მეორეში ტრანზიცი

მნიშვნელოვან რისკსა და კითხვის ნიშნებთანაა დაკავშირებული. ჯერაც საქართველოში არ გვაქვს სახეზე პოლიტიკური სიმწიფე, რომელიც აუცილებელია, რათა შენარჩუნდეს მშვიდობიანი წესრიგი და დაცული იყოს გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული წესი. თუმცადა, შესაძლოა ვთქვათ, რომ 2012 წლის არჩევნებზე გამოჩნდა ასეთი სიმწიფის პირველი ნიშნები. მმართველობა საქართველოში ნელ-ნელა გადადის ცენტრალიზებული სოციალური კონტროლის ფორმიდან ახალ ფორმაზე, რომელიც ეყრდნობა სამოქალაქო ღირებულებების დემოკრატიულ გამოხატვას, საჯარო ინტერესისა და მოქალაქეების მსახურების ტრადიციას. მას შემდეგ, რაც ამგვარი დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა ფეხს მოიკიდებს, ის გახდება საფუძველი პოლიტიკური ღირებულებებისა, რომლებიც ხელს უწყობს დემოკრატიულ პოლიტიკურ მმართველობასა და პროფესიონალურ საჯარო სამსახურს. საქართველოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს კონსტიტუციაში გაცხადებული აზრებისა თუ ღირებულებების გადათარგმნა ლიდერების პოლიტიკურ საქმიანობასა და ქცევაში, მაშინ, როდესაც დემოკრატიული ტრადიციის მქონე ქვეყნებში, ეს დიდი ხნის წინ მოხდა. მაგალითად, აშშ-ში პოლიტიკური ღირებულებების კონტექსტი, რომელიც დემოკრატიის სულით იყო გაჟღენთილი, დამფუძნებელი მამების მიერ გაიწერა დამოუკიდებლობის აქტსა და კონსტიტუციაში.

ძლიერი დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის არარსებობის პირობებში, პოლიტიკა ადვილად შეძლება გახდეს ბოსისტური, იერარქიული, ელიტის მიერ კონტროლირებული და ფოკუსირდეს ხელისუფლების გარშემო. ასეთ სიტუაციაში საჯარო სამსახურში ეთიკური ქცევის საკითხი ხელისუფლების მიერ ადვილად არის უგულებელყოფილი და ინდივიდუალურ პოლიტიკურ პრიორიტეტებს დაქვემდებარებული. საჯარო მოსამსახურეებისათვის ხელისუფალთა ინტერესები და პრიორიტეტები ხდება დომინანტური და აფერხებს მოქალაქეთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და

გამჭვირვალებას. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, ობიექტურობისა და პროფესიონალური საჯარო სამსახურის ცნებები არააქტუალურია, ხელსაყრელი თანამდებობების შენარჩუნება დამოკიდებული ხდება პოლიტიკური პატრონების, და არა საჯარო ინტერესისა და საზოგადოების, მსახურებაზე. ამგვარი პირობები ქმნის კორუფციის არსებობისათვის მეტად ნოყიერ ნიადაგს.

ხელისუფლებების მშვიდობიანი ცვლილება არ ყოფილა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ასეთი რამ პირველად 2012 წელს მოხდა, როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა არჩევნებში და გამარჯვება მოიპოვა კოალიცია ქართულმა ოცნებამ. რეჟიმის წინა ორი ცვლილება 1992 წელს ხუნტისა და სამოქალაქო ომის, ხოლო 2002 წელს და რევოლუციის შედეგად მოხდა. მაინც, დამოუკიდებლობამ საქართველოს მოუტანა უფრო მეტი პოლიტიკური თანასწორობა იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლებები და თავისუფლებები აქვს კონსტიტუციურად მინიჭებული, რათა მონაწილეობა მიიღონ მმართველობასა და მმართველი ინსტიტუციების მუშაობაში.

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში სულ უფრო ძლიერდება, თუმცა მოქალაქეთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯერ კიდევ სუსტია. თუმცა დღეს არა ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, რათა ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლებაზე მისი ანგარიშგების გაზრდის თვალსაზრისით, მოქალაქეთა თანამონაწილეობა უმეტესწილად ქუჩის პროტესტში გამოიხატება. ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ცოტა თუა ისეთი ინტიტუციონალური მექანიზმი, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობას უზრუნველყოფს.

თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ხელისუფლება უნდა განხორციელდეს “ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით”

(მუხლი 5), ქვეყანაში ყოველთვის არსებობდა არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ძალაუფლების შეზღუდვის პრობლემა. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, მას აკრიტიკებდნენ ადმასრულებელი შტოს ძალაუფლების დომინანტობისა და საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების დაქვემდებარების გამო. სააკაშვილის, როგორც ლიდერის, დომინანტობისა და პარლამენტის შემადგენლობის გამო (მმართველი პარტია აკონტროლებდა მანდატების 80%-ს), პარლამენტმა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ვერ შეასრულა ადმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობის ფუნქცია. 2012 წლის არჩევნების შემდეგ სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა - ქართული ოცნება მანდატების მხოლოდ 55%-ს აკონტროლებს და წინა ხელისუფლებასთან შედარებით ნაკლებად დომინანტური პოზიციის ქონის გამო მეტადაა იძულებული, იმუშავოს უმცირესობასთან ერთად გარკვეულ საკითხებზე. თუმცა, ადმასრულებელი შტოს დომინანტობა ქართული ოცნების ხელისუფლებასაც ახასიათებს. სასამართლო ხელისუფლება საქართველოში მუდამ გამოირჩეოდა სისუსტით და ვერასოდეს ახერხებდა ადმასრულებელი ხელისუფლების ხედამხედველობის ფუნქციის გაწევას, თუმცა მას “კანონით აქვს მინიჭებული მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები” (Transparency International, 2011b). უნდა აღინიშნოს, რომ ოცნების ხელისუფლების პერიოდში შეინიშნება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი მოქმედების ცალკეული შემთხვევები, რაც მთლიანობაში პოზიტიურ ცვლილებას წარმოადგენს.

ამგვარად, საქართველოში არ არსებობს ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილების ტრადიცია. სამოქალაქო საზოგადოების სისუსტისა და ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვის პრობლემების ფონზე, დემოკრატიული, ეთიკური საჯარო სამსახურის პოლიტიკური საფუძველი ამის გამო საკმაოდ მყიფეა.

სვარა აღნიშნავს, რომ “დემოკრატიულ საზოგადოებაში [საჯარო]

ადმინისტრატორების ბევრი ძირითადი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს იმ მოლოდინებიდან, რაც [საზოგადოებაში] არსებობს მათ თანამდებობასთან და მათი ორგანიზაციის მიზნებთან დაკავშირებით” (2015, გვ. 34-35). ავტორი ახდენს დემოკრატიულ სისტემაში [საჯარო] ადმინისტრატორის რვა ძირითადი პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებას:

1. საჯარო ინტერესის უფრო მაღლა დაყენება, ვიდრე პირადი თუ ორგანიზაციული ინტერესისა;
2. მოწოდების ქონა, რომ იმსახურო საჯარო სამსახურში;
3. პროცედურული სამართლიანობისადმი ერთგულება;
4. კანონის უზენაესობის დაცვა;
5. დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულება;
6. დემოკრატიული პროცესის მხარდაჭერა;
7. ზემდგომებთან და საზოგადოებასთან გულწრფელი კომუნიკაცია;
8. ზემდგომების პოლიტიკის გადაწყვეტილებების (policy decisions) მიღება, პოლიტიკის ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვა და საკუთარი პოზიციის შესაბამისად ლიდერის როლის შესრულება.

სვარა (2015) განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ საჯარო ადმინისტრატორები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ დემოკრატიული პროცესის განვითარებას. ამგვარი პასუხისმგებლობები გონივრულია მომწიფებულ, დემოკრატიულ სისტემაში, რომელიც კულტურაც ხელს უწყობს მათ არსებობას. თუმცა, ახალ დემოკრატიებში, რომელთა რიცხვსაც საქართველო მიეკუთვნება, ნაკლებად არსებობს მოლოდინი, რომ საჯარო მოხელეს სვარასეული პასუხისმგებლობები გააჩნია. მეტიც, პიროვნების მომავალი კარიერისათვის შესაძლოა დამღუპველიც აღმოჩნდეს დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა ხმამაღლა და ენერგიულად საკუთარ სამუშაო ადგილზე. პროფესიული საჯარო სამსახურისათვის დემოკრატიის მომავალზე პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ

სტაბილურ დემოკრატიაშია შესაძლებელი.

ეთიკური საჯარო სამსახურის ეკონომიკური კონტექსტი

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურა წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური დემოკრატის მამოძრავებელ ძალას. ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა და სიძლიერე არის ის ბაზისი, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლებს გადასახადებისა და მოსაკრებლების სახით. ძლიერი კერძო სექტორის ეკონომიკა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და თავისუფალ მეწარმეობაში ჩართული მოქალაქეების მიერ გადასახადების გადახდას. ისეთი ეკონომიკური სისტემის პირობებში კი, სადაც სახელმწიფოს როლი დიდია, არ არსებობს დამატებითი შემოსავლის წყარო კერძო სექტორის სახით. კერძო საკუთრების დაუცველობის პირობებში დაბალია მეწარმეობაში ჩართვის სურვილი და მოტივაცია. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხშირად მხოლოდ მექრთამეობისა და კორუფციის საშუალებით ხდება შესაძლებელი და მთლიანი ეკონომიკის პროდუქტიულობას ზიანი ადგება სახელმწიფოს არაეფექტიანობითა და უთავბოლო ხარჯვით. ძლიერი კერძო სექტორის არარსებობა ზღუდავს წარმატებული მეწარმეობის მაგალითების ჩვენების შესაძლებლობას საჯარო სამსახურისათვის და ასევე საჯარო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში კერძო სექტორთან პოტენციურ თანამშრომლობასაც. ძლიერი კერძო თუ არამომგებიანი სექტორების არსებობამ შესაძლოა საზოგადოების ერთიანობაზეც მოახდინოს ზეგავლენა.

ასეთ პირობებში ხელისუფლების უნარი, აუნაზღაუროს შრომა საჯარო მოსამსახურეებს, შეზღუდულია რესურსების არარსებობის ან მათზე კონკურენციის გამო. კერძო სექტორის სახელფასო სტრუქტურის არარსებობის პირობებში, არ არსებობს ის დამოუკიდებელი ნიშნულიც, რომელიც მინიშნებდა გადაწყვეტილების მიმღებს, თუ რა არის სათანადო ხელფასი საჯარო სამსახურისათვის, კერძო სექტორში არსებული ხელფასებთან შედარებით. ამას მივყავართ უკუმოტავიციისაკენ, რაც ხელს უწყობს საჯარო

სექტორის არაპროდუქტიულობას და კორუფციისაკენ, როგორც ანაზღაურების ალტერნატიული წყაროსაკენ. ფაქტობრივად ეს მდგომარეობა იყო საქართველოში 2003 წლიდან დაწყებული რეფორმების განხორციელებამდე, რის შედეგადაც გაიზარდა ეკონომიკა, შემცირდა ბიუროკრატია და მნიშვნელოვნად ამაღლდა ხელფასები საჯარო სექტორში.

საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ ტრანზიციის პერიოდშია, საბჭოთა კავშირის გეგმიური ეკონომიკის დაშლის შემდეგ. გეგმიური ეკონომიკა კაპიტალიზმის პრინციპებმა შეცვალა, საერთო საკუთრება კი - კერძო საკუთრებამ. კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 21), “კერძო საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება”.

თუმცა ეს ცვლილებები საკმაოდ სწრაფად მოხდა, საზოგადოების აღქმების, მიდგომებისა და ქმედებების ცვლილებას მეტი დრო დასჭირდა. საქართველოში საზოგადოების ნაწილი დღესაც ფიქრობს, რომ მოქალაქეთა ეკონომიკური კეთილდღეობაზე მხოლოდ ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. ინდივიდუალური ძალისხმევა არ არის საყოველთაოდ აღიარებული, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად საქართველოში გაჩნდა ხელშეკრულებების სისტემა. კონტრაქტების სისტემა წარმოადგენს კერძო მეწარმეობის საფუძველს, რადგან ის აღიარებს არასაჯარო (კერძო) შეთანხმებების ძალას. კონტრაქტები წარმოადგენს ეკონომიკური ტრანსზაქციების ფუნდამენტურ ბაზისს. იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებების გარეშე კერძო ინვესტორი და მისი კაპიტალი დიდი რისკის ქვეშ დგას. საქართველოს გამოცდილება ამ მხრივ არ არის ინსტიტუციონალიზებული. მაგალითისათვის, შრომითი უფლებების კონტექსტში, დამსაქმებლები ახერხებენ, საჭიროების შემთხვევაში დაარღვიონ

კონტრაქტი მათთვის ნეგატიური შედეგების გარეშე.

2013 წლამდე საქართველოში შრომითი კანონმდებლობა შეიცავდა დებულებებს, რომლებიც ზღუდავდა დასაქმებულთა უფლებებს და “იქაც კი, სადაც ეს უფლებები ფორმალურად არსებობდა... ხშირად ისინი არ იყო დაცული” (Hammarberg, 2013, გვ. 36). ასეთი დაუცველობისა და არასტაბილურობის პირობებში, საჯარო მოხელეებისათვის კორუფციის გზით სარგებლის მიღება, შესაძლოა ხშირად ერთადერთ გამოსავლად მიიჩნეოდა. 2013 წელს საქართველოში ახალი შრომითი კოდექსი იქნა მიღებული, სადაც დაცულია საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტები. ახალი კოდექსის გრძელვადიან შედეგებს მომავალში ვიხილავთ.

ეთიკური საჯარო სამსახურის სამართლებრივი კონტექსტი

კანონის უზენაესობის ძლიერ და პოზიტიურ ტრადიციას ძალუმს ხელშემწყობის როლი შეასრულოს ეფექტური და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებაში. პროგნოზირებადი მმართველობა, სამართლებრივი სისტემის მიერ თანაბარი მოპყრობა და კანონით გათვალისწინებული პროცედურების მკაცრი დაცვა ეყრდნობა სამართლებრივ საფუძვლებს. მხოლოდ ძლიერი დემოკრატიული პროცესისა და მისი ხელშემწყობი სამართლებრივი სისტემის არსებობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, ეთიკური და ანგარიშვალდებული ორგანიზაციების არსებობას (Svara, 2015). ამგვარი ფუნდამენტური ინსტიტუციური მხარდაჭერის გარეშე ვერ იარსებებს ის საფუძველი, რომელზეც უნდა აშენდეს სწორი ადმინისტრაციული პროცედურები. კანონი ქმნის პლაცდარმს ხელისუფლების მოქმედებებისათვის, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის ნებაზე მაღლა დგას და უზრუნველყოფს მოქალაქეთა და ეკონომიკური აქტორების მიმართ სამართლიან და თანსწორ მოპყრობას. თუკი სამართლებრივი სისტემა, და სასამართლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემის დანერგვას, არ არის

ინსტიტუციონალიზებული, უკვე პოლიტიკურ ლიდერთა და საჯარო მოხელეთა სურვილები ხდება ის საზომი, რომელიც წყვეტს, რამდენად სამართლიანია ხელისუფლების მოქმედებები. აზრი არ აქვს კანონთა მიღებას, რომლებიც ითვალისწინებს საჯარო მოხელეთა თუ თანამდებობის პირთა დისკრეციის შეზღუდვას ან არეგულირებს მათი მოქმედების პროცესს, თუკი არ არსებობს ამგვარი კანონების დამნერგავი სამართლებრივი სისტემა.

მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი 14) უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანასწორობას, “განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა”. თუმცა რეალობაში, როგორც სააკაშვილის, ასევე ოცნების ხელისუფლება შემჩნეულია შერჩევითი სამართლის განხორციელებაში. უკვე მრავალი წელია, სასამართლოს აკრიტიკებენ ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი გადაწყვეტილებების გამოტანის გამო. სასამართლო სისტემა “განიცდის დიდ ზეგავლენას პროკურატურისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან როგორც სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ასევე იმ სიტუაციებშიც, სადაც პოლიტიკური ლიდერების ინტერესი ფიგურირებს” (Transparency International, 2011b). ამავდროულად, “მექრთამეობა სასამართლოში აღმოიფხვრა” და სამოქალაქო, და როგორც ჩანს, ადმინისტრაციული საქმეების, უმეტესობა სასამართლოს მიერ დამოუკიდებლად წარიმართება. თუმცა მთლიანობაში, სასამართლო მაინც საკმაოდ კორუმპირებულ სტრუქტურად აღიქმება: 2013 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრის მიხედვით, საქართველო არის მსოფლიოს 107 ქვეყნიდან იმ ოც ქვეყანას შორის, სადაც მოქალაქეთა აღქმების მიხედვით, კორუფცია ყველაზე ძლიერად სასამართლოზე ზემოქმედებს (Transparency

International, Global Corruption Barometer, 2013).

საკაპშვილის ხელისუფლება საკმაოდ მკაცრ კრიტიკას იმსახურებდა “შერჩევითი სამართლის”, “პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო დევნის”, “აქტივისტების მიერ მცირედი დარღვევების შემთხვევაში მათი დაკავების მიზნით ადმინისტრაციული დევნის ბოროტად გამოყენებისა” და “სასამართლოს მიერ სამართლიანი მოპყრობის უფლებების დარღვევის გამო” (Human Rights Watch, 2014). მსგავსი საყვედურები ისმის დღეს კოალიცია ქართული ოცნების მიმართაც.

პროფესიონალიზმი და პროფესიული ეთიკა

პროფესიული საჯარო სამსახური მხოლოდ წინა ოთხი ფაქტორის არსებობის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს. ამგვარი საჯარო სამსახური კიდევ უფრო განმტკიცდება ცოდნისა და გამოცდილების, დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის შემთხვევაში, რაც წარმოადგენს საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს. საჯარო სამსახური, სადაც არ ხდება კადრების ხშირი ცვლილება, ასევე გადაწყვეტია ხელისუფლების ცოდნისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების უწყვეტობისათვის. პერისა და ვაისის აზრით, ამგვარი პროფესიული საჯარო სამსახურის გაჩენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის აღიარებული და კულტივირებული საჯარო სამსახურის მოტივაციის ფენომენი (Perry & Wise, 1990). საჭიროა ასევე საჯარო სამსახურის ღირებულებათა კომპლექტის არსებობა, რომელთა იდენტიფიცირება და მიღება მოხდება საჯარო ადმინისტრატორების მიერ (Molina & MacKeown 2012). მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეთა ტრენინგებისა და განათლების უზრუნველყოფა და მათი მომზადება. თუმცა შესაძლებელია, რომ არასაჯარო სფეროში მუშაობისათვის დატრენინგებულმა ადამიანმა დადებითი წვლილი შეიტანოს საჯარო საქმეებში, იმ კადრებს, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი განათლება - გაეცნენ საჯარო სამსახურის კონტექსტს, ტრადიციებსა და

პრაქტიკას - შეუძლიათ იმ ანგარიშვალდებულებისა და ეფექტური მუშაობის ჩვენება, რასაც მათგან ითხოვენ და მოელიან მოქალაქეები. დატრენინგებული საჯარო სამსახური უზრუნველყოფს პოლიტიკისა და ადმინისტრირების იმ კომპლემენტარულობას, რომელსაც სვარა უწევს ადვოკატირებას (2015). და ბოლოს, დატრენინგებულ საჯარო სამსახურს შეუძლია განჭვრიტოს და პოტენციურად თავი აარიდოს “ადმინისტრაციული ბოროტების” რისკებსაც (Adams & Balfour, 2009; Jurkiewicz, 2013).

საჯარო სამსახური საქართველოში ჯერაც არასტაბულურია. საჯარო მოხელეები ნაკლებად დაცულები არიან; ისინი ხშირად უვადოდ ინიშნებიან და საკმაოდ ადვილია მათი სამსახურიდან დათხოვნა. ორგანიზაციების ხელმძღვანელები ფლობენ საკმაოდ ფართო დისკრეციას თანამშრომელთა დაქირავებისა და სამსახურიდან დათხოვნის საქმეებში, რაც არ ემსახურება საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობას. ფაქტობრივად არ არსებობს ქმედითი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა საჯარო მოხელეთა დაცულობას. ხშირად მათი მსახურების ვადა პირდაპირ უკავშირდება ზემდგომთა მსახურების ვადას (Transparency International, 2011c). ამგვარი არასტაბილურობა და დამოკიდებულება პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირებზე საფრთხის ქვეშ აყენებს საჯარო მოხელეთა მიმართ ობიექტურ მოპყობას, ხოლო ხელისუფლების ცოდნის უწყვეტობას კი ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში, მათ სამსახურიდან გაათავისუფლეს საჯარო მოხელეთა თითქმის ნახევარი. თუმცა ამგვარი მიდგომა კორუფციასთან ბრძოლის მოტივით იქნა გამართლებული, მან არ შეუწყო ხელი პროფესიული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას. შემდეგი ხელისუფლება უფრო ფრთხილად მოეკიდა აღნიშნულ საკითხს და არ მომხდარა ფართომასშტაბიანი გაათავისუფლებები, თუმცა სელექციურ

გათავისუფლებებსა და ხშირი ნეკოტისტური დანიშვნების გამო ახალმა ხელისუფლებამ ბევრი კრიტიკა დაიმსახურა.

თუმცა საჯარო სამსახურში საქართველოში არ არის ყველაზე მაღალი ხელფასები (საშუალოდ ხელფასები კერძო სექტორში უფრო მაღალია), საჯარო სამსახურში მუშაობა მაინც გარკვეულ პრესტიჟთან და სარგებელთან არის ასოცირებული. ეს სარგებელი ხშირად არცთუ კეთილსინდისიერ ხასიათს ატარებს.

ჯერ კიდევ მოქმედი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ განმარტავს, რომ თანამდებობის დასაკავებლად მოქალაქე უნდა ფლობდეს “შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას” (მუხლი 15). კანონმდებლობა არეგულირებს სხვა მოთხოვნებსაც და ამავდროულად ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუძლიათ ცალკეული პოზიციებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესება. თუმცა, ამგვარი მოთხოვნები ხშირად ითვალისწინებს მხოლოდ უმაღლეს განათლებასა და გარკვეული კანონების ცოდნას. ხარისხი სახელმწიფო მმართველობაში ან რაიმე სპეციფიკური ცოდნა იშვიათად მოითხოვება (დოლიძე და ღონღაძე, 2014) რაც ხელს არ უწყობს პროფესიონალური საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებას. მართალია, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ახალი ვარიანტი, რომელიც 2017 წელს შევა ძალაში, აქ ჩამოთვლილი პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას ისახავს მიზნად, თუმცა როგორი იქნება მისი შედეგები, მომავალში გახდება აშკარა.

ეთიკის დილემის გადაწყვეტა საქართველოში

საჯარო სამსახურის ეთიკის საკითხი საქართველოში და ყველა სხვა ახალ დემოკრატიაშიც, მრავალგანზომილებიანი პრობლემაა და მისი გადაწყვეტა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება საჯარო სამსახურის ტრენინგისა და განვითარების გზით. პროფესიული საჯარო სამსახური ტრენინგ პროგრამების გარდა ხელშეწყობილი უნდა იყოს სხვა ფაქტორებითაც, რომლებიც ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება. ხელისუფლებამ

უნდა უზრუნველყოს ლიდერობა და მისცეს მიმართულება საჯარო სამსახურის განვითარებას, თუმცა ასევე საჭიროა მოქალაქეთა აქტიური მხარდაჭერა და ჩართულობა, რათა დემოკრატიის განვითარების პროცესი იყოს უფრო მტკიცე. კულტურულ და ეკონომიკურ სისტემებს ძალუმს მხარდამჭერი სოციალური სტრუქტურის, მორალისა და რესურსების ბაზის შექმნა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობების არტიკულაციისათვის, პროფესიონალთა ფინანსური ანაზღაურებისა და ხელისუფლების რეფორმებისა და პროგრამების დაფინანსებისათვის. სამართლებრივ სისტემას შეუძლია, განსაზღვროს ხელისუფლებისა და საზოგადოების მოქმედების არე. მას ასევე შეუძლია განსაზღვროს და ხელი შეუწყოს საჯარო სამსახურის მოტივაციას. ამ არენებზე უკვე მომწიფებული დემოკრატიული ბაზისის არსებობის გარეშე შეიძლება არსებობდეს საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრების მხოლოდ ნელი, მეთოდური განვითარება. ასეთ კადრებს შეუძლიათ წარმოჩინდენ, როგორც მოდელეები და საჯარო სამსახურში პროფესიონალიზმისა და ეთიკური ქვევის ადვოკატები. თანამედროვე პროფესიული საჯარო სამსახურის მოდელისა და მაგალითის შექმნით, განათლებულ მოხელეებს შეუძლიათ ერთგვარი ნიშნულის დაწესება, რომლის მეშვეობითაც გაიზომება საჯარო სამსახურის განვითარება და პროგრესი. თუმცა მათი ამოცანა და მთავარი სიძნელე იქნება, წინააღმდეგობა გაუწიონ კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალებს, პროფესიული კეთილსინდისიერების შენარჩუნების გზით.

საქართველოში დღეს შესაძლებელია დასავლური სტანდარტების მქონე უმაღლესი განათლების მიღება სახელმწიფო მმართველობის სფეროში, სადაც სტუდენტები სწავლობენ პროფესიული საჯარო სამსახურის ეთიკური ქვევის პრინციპებს. USAID-ის საშუალებით საჯარო მოხელეთა დიდი ნაწილს ასევე ჩაუტარდა ტრენინგი საჯარო სამსახურის ეთიკაში. თუმცა ამგვარი პროგრამების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სახელისუფლებო,

სოციალური და ეკონომიკური კონტექსტი, სადაც დატრენინგებული ადამიანები ხვდებიან ან უკვე მუშაობენ, ბოლომდე არ მიესაღმება ამგვარ შინაარსს. ამგვარად, ისინი ხშირად აღმოჩნდებიან მტრულ პროფესიულ გარემოში, რომელიც ეწინააღმდეგება გავლილი ტრენინგის/სწავლების შინაარსს.

ამგვარი წინააღმდეგობების გადალახვა არ ძალუძს ერთ ან რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას თუ ტრენინგს. ფორმალურმა განათლებამ შესაძლოა დაამკვიდროს მოლოდინები და ჩამოაყალიბოს წარმოდგენა იმაზე, თუ რას ნიშნავს პროფესიონალი საჯარო მოხელე. თუმცა, უნდა არსებობდეს დამხმარე სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური კონტექსტი, რომელიც წაახალისებს და ინსტიტუციონალიზაციას გაუკეთებს პროფესიულ საჯარო სამსახურს.

საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ამაღლებამ შესაძლოა დააჩქაროს სოციალური და პოლიტიკური მხარდაჭერა ამგვარი სისტემის შესაქმნელად. ხელისუფლების სტრატეგია ამგვარი ინფორმირებულობის გაზრდისათვის პოტენციურად გააძლიერებს არა მარტო საჯარო სამსახურის განათლებას, არამედ ხელისუფლების მიმართ პატივისცემისა და ნდობის გაზრდასაც.

თავი III. კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო

კორუფციის აღქმები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში თუ ხელისუფლებაში არაერთი კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ველჩმა და პიტერსმა (1977, 1978) შეისწავლეს კორუფციის აღქმები აშშ-ს 24 შტატის კანონმდებლებში. ავტორთა მიზანი იყო, დაედგინათ, თუ რამდენად ჰომოგენურია სენატორების აღქმები კორუფციის შესახებ და აეხსნათ გამოკვეთილი ვარიაციები კანონმდებელთა ინდივიდუალური და ჯგუფური მახასიათებლების მეშვეობით. ავტორებმა რესპონდენტებს (n=442) წარუდგინეს პოტენციურად კორუფციული ქეისების მაგალითები და სთხოვეს, შეეფასებინათ ისინი.

მსგავსი მიდგომა გამოიყენეს ატკინსონმა და მანკუსომ (1985) და ჯექსონმა და სმიტმა (1995). ატკინსონი და მანკუსო ინტერესდებიან, თუ რამდენად ერთგვაროვანია პოლიტიკური კულტურა კანადაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული დროისათვის არ არსებობდა პარლამენტის ეთიკის კოდექსი. ავტორები განიხილავენ არსებულ მოსაზრებას, რომ „ვერავითარი ეთიკის კოდექსი, როგორც კარგი შედგენილიც, შემდგომში კი კარგად ადმინისტრირებულიც არ უნდა იყოს ის, ვერ შეცვლის კულტურას, სადაც კორუფციას მიიჩნევენ მიუღებლად“. ადამიანები (ამ შემთხვევაში პარლამენტარები) მოიქცევიან ეთიკურად ჩვევებზე დაფუძნებული პრაქტიკიდან და არაფორმალური გაგებიდან გამომდინარე“ (გვ. 460). არაფორმალური წესები ეთიკის კოდექსზე ძლიერია. აქედან გამომდინარე ავტორები სვამენ კითხვას, საკმარისია თუ არა არსებული დაუწერელი წესები და რამდენად არიან მასზე შეთანხმებული პარლამენტარები. კვლევის რესპონდენტებს წარმოადგენდა კანადის 120 პარლამენტარი. ჯექსონმა და სმიტმა ასევე შეისწავლეს პარლამენტარების აღქმები კორუფციის შესახებ ავსტრალიაში. მათი მიზანი იყო გაერკვიათ, თუ რამდენად არსებობს

კონსენსუსი პარლამენტარებს შორის ეთიკის სტანდარტების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ იქ არ მოქმედებს ეთიკის კოდექსი.

ჯონსტონმა (1986, 1991) შეისწავლა კორუფციის აღქმები საზოგადოებაში აშშ-სა და ბრიტანეთის მაგალითზე. როგორც მოცემული, ასევე ზემოთ განხილულ კვლევებში გამოყენებული მიდგომები ითვალისწინებდა არა ამა თუ იმ ჯგუფის აღქმების შედარებას კორუფციის რომელიმე აღიარებულ განმარტებასთან, არამედ იმის შესწავლას, თუ თავად მოცემული ჯგუფები რას მიიჩნევდნენ კორუფციად.

აღწერილ ნაშრომებში ავტორები ცდილობდნენ დაედგინათ, თუ რომელ ასპექტებს შეიძლებოდა აეხსნა ვარიაციები გამოკითხული ჯგუფების აღქმებში კორუფციის შესახებ. ეს ასპექტებია: სქესი, ასაკი, განათლება, სოციალური კლასი (კარიერული მიღწევებისა და მიღებული განათლებიდან წარმოებული ცვლადი), რეგიონი, პოლიტიკური გამოცდილება, იდეოლოგია (კონსერვატული, ლიბერალური) და პოლიტიკური პარტიები.

სქესი

ჯექსონისა და სმიტის (1995), ასევე პიტერსისა და ველჩის (1978) აზრით, ქალები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები უნდა იყვნენ კორუფციის მიმართ, ვიდრე მამაკაცები. ჯექსონი და სმიტი ამას იმით ხსნიან, რომ პოლიტიკაში მყოფი ქალები ხშირად მიიჩნევენ, რომ არიან როლური მოდელები სხვა ქალებისათვის ან რეფორმატორები, ვინც გაუხსნის სხვა ქალებს პოლიტიკური სისტემის კარს. მოცემული ჰიპოთეზა დადასტურდა ორივე კვლევაში.

ასაკი

ავტორები (ჯექსონი და სმიტი, 1995; ატკინსონი და მანკუსო, 1985) ასევე დაინტერესდნენ, თუ რამდენად არის შესაძლებელი, ჯგუფებს შორის კორუფციის შესახებ განსხვავებული აღქმები აიხსნას ასაკის ფაქტორით. ამგვარი ახსნა არც ერთ კვლევაში არ დადასტურდა.

განათლება და კარიერული მიღწევები

საინტერესოა, თუ რა შედეგები მიიღეს მკვლევარებმა, განათლების, როგორც ფაქტორის, კვლევისას. ჯექსონისა და სმიტის ჰიპოთეზის მიხედვით, რაც უფრო მაღალი საფეხურის ფორმალური განათლება აქვს ადამიანს (ამ შემთხვევაში, პარლამენტის წევრს) მით უფრო ნაკლებად ტოლერანტული იქნება იგი კორუფციის მიმართ, რადგან განათლებულ ადამიანს უფრო კარგად ესმის კორუფციის ნეგატიური შედეგები. ეს ჰიპოთეზა დადასტურდა ამ ავტორების კვლევის საფუძველზე, თუმცა საპირისპირო შედეგი მიიღეს პიტერსმა და ველჩმა - განათლება სუსტად დაკავშირებული აღმოჩნდა კორუფციის აღქმებთან, ოღონდ ამ შემთხვევაში უფრო განათლებულები პარლამენტარები უფრო ტოლერანტულები აღმოჩნდნენ. ავტორები არ იძლევიან ამგვარი შედეგის სავარაუდო ახსნას.

ჯონსტონის აზრით, ის, თუ როგორ განსჯიან ადამიანები ამა თუ იმ (პოტენციურად კორუფციულ) ქმედებას, დამოკიდებული უნდა იყოს მათ ყოველდღიურ გამოცდილებაზე, მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტი სხვადასხვანაირად უნდა აფასებდეს კორუფციას. ამ მოსაზრების შესამოწმებლად ავტორმა შექმნა ცვლადი - სოციალური კლასი, რომელიც რესპონდენტების კარიერული მიღწევებისა და მიღებული განათლების მაჩვენებლებიდან აწარმოა. თუმცადა, ჩატარებულმა ანალიზმა არ დაადასტურა მოსაზრება, რომ სოციალური კლასის მიხედვით ადამიანთა ჯგუფებს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებული აღქმები ჰქონდათ კორუფციასთან მიმართებაში.

რეგიონი

კიდევ ერთი ფაქტორი, რომლითაც მკვლევარები დაინტერესდნენ, არის რეგიონი. ჯექსონისა და სმიტის (1995) აზრით, რურარული ამომრჩეველი უფრო “მორალისტურია”, ურბანული კი - ნაკლებად “მორალისტური”. შესაბამისად, პარლამენტარები, რომელთაც ძირითადად რურალური

ამომრჩეველი ყავთ, კორუფციის მიმართ უფრო ნაკლებად ტოლერანტულები იქნებიან, ურბანული ამომრჩევლის მქონე პარლამენტარებთან შედარებით. მსგავსი ჰიპოთეზა ჰქონდათ ატკინსონსა და მანკუსოსაც (1985) - მათი აზრით, კანადელი პარლამენტარები, რომელთა ამომრჩეველიც ქალაქელია, ნაკლებად მკაცრი უნდა იყოს კორუფციის შეფასებებში, რადგან ქალაქელები ზოგადად უფრო კარგად იცნობენ და მეტად არიან შეჩვეულნი კორუფციის ორგანიზებული ფორმით არსებობას. ჯექსონისა და სმიტის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ქალაქელი ამომრჩევლის მქონე პარლამენტარები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები აღმოჩნდნენ კორუფციის მიმართ, ვიდრე სოფლის ამომრჩევლის მქონე მათი კოლეგები. ავტორები აღნიშნავენ, რომ პოპულარული აღქმებით, სოფლის მოსახლეობა ზოგადად უფრო პატიოსნად და ეთიკურად ითვლება, ვიდრე ქალაქისა, თუმცა, მეორე მხრივ, ამგვარი მორალურობა ძირითადად გამოხატება ურთიერთობებში, სადაც ადამიანები ერთმანეთზე მეტად ზრუნავენ და ერთმანეთისადმი მოვალეობის გრძნობაში. ავტორების აზრით, ამგვარი შედეგი შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ სოფლის ამომრჩევლის მქონე პარლამენტარებმა კითხვარში წარმოდგენილი ქეისები მიიჩნიეს ამგვარი მზრუნველობის გამოხატულებად, ქალაქელი ამომრჩევლების მქონე პარლამენტარებმა კი უფრო რაციონალური მიდგომა გამოიყენეს. ატკინსონისა და მანკუსოს კვლევაში მოცემული ჰიპოთეზა დადასტურდა, ისე როგორც ავტორები ელოდნენ. მსგავსი ჰიპოთეზა იყო პიტერსისა და ველჩის ნაშრომშიც (1978), სადაც რეგიონი მხოლოდ სუსტად აღმოჩნდა დაკავშირებული კორუფციის შესახებ ინდივიდუალურ აღმებთან.

პოლიტიკური გამოცდილება

ატკინსონისა და მანკუსოს აზრით (1985), პოლიტიკური გამოცდილების ხანგრძლივობა შესაძლოა დაკავშირებული იყოს კორუფციის აღქმებთან - რაც უფრო ხანგრძლივია ამგვარი გამოცდილება, რაც უფრო დიდი ხანი მუშაობს სისტემაში ადამიანი, მით უფრო მოსალოდნელია, რომ ის უფრო ცინიკური და

კოლეგიალური გახდება და შესაბამისად, მეტად ტოლერანტულად შეაფასებს კორუფციის აქტებს. მსგავსი ჰიპოთეზები ჰქონდათ პიტერსა და ველჩს (1978) და ჯექსონსა და სმიტს (1995) საკუთარ ნაშრომებში. ატკინსონისა და მანკუსოს, ასევე პიტერსისა და ველჩის შემთხვევაში ჰიპოთეზა დადასტურდა, ჯექსონისა და სმიტის შემთხვევაში კი - არა.

იდეოლოგია და პოლიტიკური პარტიები

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მკვლევარებმა შეისწავლეს, არის იდეოლოგია და პოლიტიკური პარტიები. წინა ჰიპოთეზის ლოგიკაზე დაყრდნობით, სადაც ავტორები ვარაუდობდნენ, რომ წლებთან ერთად პარლამენტარები მეტად ტოლერანტულები გახდებოდნენ კორუფციის მიმართ, ჯექსონი და სმიტი (1995) არ ელიან მნიშვნელოვან განსხვავებებს აღქმებში იმის მიხედვით, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენენ პარლამენტარები. ამავდროულად ისინი ელიან, რომ იქნება მნიშვნელოვანი განსხვავებები აღქმებში იმის მიხედვით, რესპონდენტები თავს უფრო ლიბერალად მიიჩნევენ, თუ კონსერვატორად. იგივე ჰიპოთეზა ჰქონდათ პიტერსსა და ველჩს (1978). ჯექსონისა და სმიტისგან განსხვავებით, ატკინსონსა და მანკუსოს (1985) ჰქონდათ მოლოდინი, რომ განსხვავებები კორუფციის აღქმებში ჯგუფებს შორის პოლიტიკურ პარტიასთან მიკუთვნებულობის მიხედვით იქნებოდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. პარტიების პოლიტიკური წარსულიდან და ძალაუფლებასთან სიახლოვის ხარისხიდან გამომდინარე (ლიბერალები და კონსერვატორები უფრო ახლოს არიან ძალაუფლებასთან, ვიდრე ახალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები და შესაბამისად, მეტი შანსი აქვთ, კორუფციაში ჩაერთონ), ისინი მოელოდნენ, რომ კანადის ახალი დემოკრატიული პარტიის (New Democratic Party) წარმომადგენლები ნაკლებად ტოლერანტულები იქნებოდნენ კორუფციის მიმართ, ვიდრე მათი ლიბერალი და კონსერვატორი კოლეგები.

საინტერესოა, თუ რა შედეგები მიიღეს მკვლევარებმა: ჯექსონისა და სმიტის კვლევაში, ჰიპოთეზის თანახმად, დიდი პარტიების წარმომადგენლებს შორის არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავებები შეფასებებში, იდეოლოგია კი მხოლოდ სუსტად აღმოჩნდა დაკავშირებული კორუფციის აღქმებთან და ისიც ავტორთა მოლოდინის საპირისპიროდ - კონსერვატორები უფრო მკაცრი შემფასებლები აღმოჩნდნენ, ვიდრე ლიბერალები. პიტერისა და ველჩის შემთხვევაში, ავტორების მოლოდინი გამართლდა, თუმცა არცთუ მნიშვნელოვნად: ის პარალმენტარები, ვისაც თავი ლიბერალად მიაჩნია, ოდნავ უფრო ოდნავ ნაკლებად ტოლერანტული აღმოჩნდა კორუფციის მიმართ, ვიდრე მათი კოლეგები. ატკინსონისა და მანკუსოს მოლოდინიც გამართლდა და ახალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები უფრო მკაცრი აღმოჩნდნენ შეფასებებში, ვიდრე მათი კოლეგები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოცემულმა ლოგიკამ იმოქმედა ჯექსონისა და სმიტის კვლევაშიც, რადგან იქაც დიდი პარტიების წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც მეტი ძალაუფლება აქვთ, განსხვავებები აღქმებს შორის არ იყო, ხოლო პატარა პარტიების წარმომადგენლები უფრო მკაცრი შემფასებლები აღმოჩნდნენ.

ამგვარად, აშკარაა, რომ შედეგები არ არის ცალსახა და ზოგ შემთხვევაში ურთიერთსაპირისპიროც კია, თუმცა არც უნდა გვეჩონოდა მოლოდინი, რომ ერთნაირი კანონზომიერებები იმოქმედებდა აშშ-ს, ბრიტანეთის, კანადისა და ავსტრალიის სინამდვილეში, რადგან კონტექსტი ყველა შემთხვევაში განსხვავებულია.

მოცემულ კვლევებში წარმოდგენილი მიდგომები წარმოადგენს ამ ნაშრომის კონცეპტუალურ ჩარჩოს: კვლევის შეკითხვები კორუფციის აღქმებთან და მათ ჰომოგენურობასთან დაკავშირებით მსგავსია. აღქმებს შორის ვარიაციების ამხსნელი ფაქტორები ნაწილობრივ მეორდება, თუმცა საქართველოს კონტექსტისა და კვლევის პოპულაციიდან გამომდინარე არის

მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც შემდეგ თავში დეტალურად იქნება განხილული.

თავი IV. კვლევის შეკითხვები და ჰიპოთეზები

თეორიულად კორუფციის შესახებ ინფორმირებულობის დონე და აღქმები პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში კორუფციის დონესთან. მრავალი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს კორუფციის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლებაზე სხვადასხვა ქვეყანაში, რაც მიზნად ისახავს საბოლოო ჯამში კორუფციის დონის შემცირებას. იგულისხმება, რომ როდესაც საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული კორუფციის ნეგატიური ეფექტებისა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ, ის უფრო მეტი ყურადღებით აკვირდება ხელისუფლების მოქმედებას და აიძულებს მის წარმომადგენლებს, მეტად დაუკვირდნენ საკუთარ მოქმედებას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანების აღქმები კორუფციის შესახებ: თუკი მოქალაქეები ამა თუ იმ ქმედებას არ აღიქვამენ კორუფციად, არ მიაჩნიათ იგი პრობლემატურად, ბუნებრივია, მათი მხრიდან ხელისუფლების კონტროლის შანსი ამ ქმედებების არ ჩადენის მიზნით ნაკლები იქნება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, მოქალაქეთა ინფორმირებულობასა და აღქმებს ჰქონდეს რაიმე ზეგავლენა კორუფციის დონეზე? როგორაა დაკავშირებული მათი აღქმები კორუფციის დონესთან? უნდა შევხედოთ თუ არა საჯარო მოხელეებს, როგორც უფრო ფართო საზოგადოების ნაწილს და მათ ინფორმირებულობასა და აღქმებს, როგორც საზოგადოებრივი ინფორმირებულობისა და აღქმების ნაწილს?

ამ შეკითხვებიდან გამომდინარე, მოცემული კვლევის თეორიული შეკითხვებია: არსებობს კავშირი კორუფციის შესახებ მოქალაქეთა (და საჯარო მოხელეთა) ინფორმირებულობის დონესა და კორუფციის დონეს შორის? არსებობს კავშირი კორუფციის შესახებ მოქალაქეთა (და საჯარო მოხელეთა აღქმებსა) და კორუფციის დონეს შორის? ინდივიდების პირად წარმოდგენებს აქვს ზეგავლენა იმაზე, თუ როგორი დონის კორუფცია იქნება ქვეყანაში? მოქალაქეებს (და საჯარო მოხელეებს) რომ სხვაგვარი ინფორმირებულობის

დონე და აღქმები გააჩნდეთ, კორუფციის დონეც სხვა იქნებოდა? კორუფციის დონის ჩამოყალიბებისას, რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა - სისტემას და კანონმდებლობას თუ ადამიანების წარმოდგენებს?

მოცემული კვლევა არ ისახავს მიზნად ამ ფართო თეორიულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, არამედ მოცემულ მომენტში კორუფციის შესახებ მოქალაქეთა და საჯარო მოხელეთა აღქმების შესწავლას, რამაც შესაძლოა ერთი ნაბიჯით მიგვაახლოვოს ზემოთ აღნიშნულ თეორიულ შეკითხვებთან. უფრო კონკრეტულად, მოცემული კვლევის შეკითხვებია:

1. კორუფციის როგორი აღქმები აქვთ საქართველოში საჯარო მოხელეებსა და მოქალაქეებს? რა ტიპის ქმედებებს მიიჩნევენ ისინი უფრო მეტად ან ნაკლებად კორუფციულად?
2. საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეების აზრით, რა ტიპის ქმედებებია საზოგადოებისათვის უფრო მეტად ან ნაკლებად მისაღები?

კორუფციის სოციალური აღქმები საინტერესოა რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, ისინი დაკავშირებულია ელიტებისა და ინსტიტუციების მიმართ საზოგადოების ნდობის საკითხთან; მათ აქვს ზეგავლენა ადამიანების გადაწყვეტილებებზე, ჩაერთონ ან არ ჩაერთონ პოლიტიკაში (ჯონსტონი, 1986, გვ. 368).

მეორე, საზოგადოების აღქმების შესახებ ინფორმაციის ფლობა მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ პირებისთვის, რომლებიც ანტიკორუფციული რეფორმების შემუშავებასა და დანერგვას გეგმავენ. თუკი, მაგალითად, მოქალაქეები ამა თუ იმ ქმედებას არ თვლიან კორუფციულად და შესაბამისად, პრობლემატურად, რამდენიად ეფექტური ან გამართლებული შეიძლება იყოს მოცემული ქმედების აკრძალვა კანონმდებლობით ან მის წინააღმდეგ ბრძოლა? ან, პირიქით, თუკი რაიმე ქმედება, მაგალითად, ნეპოტიზმი, მოქალაქეების აღქმების მიხედვით კორუფციულია, რამდენად გამართლებულია

ხელისუფლების მიმართ ამგვარი ქმედებების მიმართ ტოლერტულობის გამოჩენა? მოქალაქეთა წარმოდგენები კარგისა და ცუდის შესახებ არის პოლიტიკური კულტურის ნაწილი, „ერის მიერ გაზიარებული მიზნები და მიღებული წესები“ (Macridis, 1961, ციტირებულია კვლევაში: Johnston, 1991, გვ. 4) და ამდენად, მისი გათვალისწინება სასარგებლო იქნება ნებისმიერი საღად მოაზროვნე ხელისუფლებისათვის.

მესამე, ამ საკითხის შესწავლა სასარგებლოა ზოგადად კორუფციის კვლევისათვის: დიდი ხანია, მიმდინარეობს დებატები კორუფციის „ობიექტური“ და „სუბიექტური“ დეფინიციების შესახებ. შესაძლებელია, კორუფციის შესახებ სოციალური აღქმების შესწავლამ გამოკვეთოს სტანდარტები, რომლებიც შემდეგ კორუფციის ანალიტიკურ დეფინიციებში აისახება. თუკი კორუფცია ისაა, რაც საზოგადოება თვლის კორუფციად, საზოგადოების აღქმების შესწავლა მნიშვნელოვანი ხდება თავად კორუფციის არსის ჩამოსაყალიბებლად.

მოსალოდნელია, რომ კორუფციის „სოციალური დეფინიცია“ არ იქნება იგივე, რაც მისი ფორმალური დეფინიციაა, თუმცა მოცემული კვლევის ძირითადი მიზანი არ არის მოქალაქეთა აღქმების თანხვედრის შემოწმება საქართველოში არსებულ კანონმდებლობასთან. პირიქით, კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს მათი აღქმები საქართველოში არსებული კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად.

კვლევის პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ორი ჰიპოთეზა, რომლებიც ნაწილობრივ ეხმიანება ჯონსტონის (1986) ჰიპოთეზებს, თუმცა არის მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული:

H1: მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი პოტენციურად კორუფციული ქმედებები უფრო მკაცრად იქნება შეფასებული საჯარო მოხელეების მიერ, ვიდრე მაღალი თანამდებობის არმქონე საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი პოტენციურად კორუფციული ქმედებები.

ამგვარი ჰიპოთეზა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ მაღალ თანამდებობასთან დაკავშირებული ძალაუფლებისა და შესაძლო საზოგადოებრივი ზიანის მასშტაბების გამო საზოგადოების წევრები უფრო მკაცრად აფასებენ ამგვარი პირების მიერ ჩადენილ კორუფციულ ქმედებებს.

H2: რაც უფრო მაღალია ფსონი (ანუ, რაც უფრო დიდია კორუფციული ქმედების შედეგად მისაღები სარგებელი), მით უფრო მკაცრი იქნება საჯარო მოხელეების მიერ გაკეთებული შეფასებები.

ეს ჰიპოთეზა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ რაც უფრო დიდია კორუფციის ჩამდენი პირის მიერ მისაღები სარგებელი, პოტენციურად მით დიდი იქნება საზოგადოებრივი დანახარჯები. შესაბამისად, საზოგადოების წევრები უფრო მკაცრად აფასებენ იმ სიტუაციებს, სადაც მაღალი საზოგადოებრივი დანახარჯებია მოსალოდნელი, ვიდრე ამგვარ ქეისებს, სადაც ამგვარი დანახარჯები უფრო მცირეა.

თუმცა მოცემული კვლევა ამომწურავად ვერ უპასუხებს შეკითხვას, თუ რას მიიჩნევენ მოქალაქეები კორუფციად, ამ ჰიპოთეზების გათვალისწინებით, უფრო ღრმად ჩავწვდებით, რა განსხვავებებს ხედავენ ისინი ამა თუ იმ ქმედებასთან დაკავშირებით შეფასებების შემუშავებისას.

3. რამდენად ჰომოგენურია კორუფციის შესახებ მოქალაქეებისა და საჯარო მოხელეების აღქმები?

მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში არსებობდეს კონსენსუსი და არატოლერანტულობა კორუფციის მიმართ, რადგან:

კორუფცია არ არის მხოლოდ და მხოლოდ კორუმპირებული ადამიანების მოქმედების შედეგი. სრულიად კეთილგონიერმა ადამიანმაც კი შეიძლება ჩაიდინოს კორუფციული ქმედება, თუკი არავინ ზრუნავს იმაზე, რომ ეს არ მოხდეს. როგორც ყველაზე მოწესრიგებულმა სპორტსმენმა შეიძლება დაუშვას შეცდომა ვარჯიშისას, ასევე სრულიად ეთიკურმა ადამიანმაც შესაძლოა

ჩაიძინოს კორუფციული ქმედება. მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ ეს მოხდება, თუკი ასეთი ქმედება ფართოდ მიღებულია ან არსებობს შეუთანხმებლობა მის გარშემო (Jackson & Smith, 1995, გვ. 485).

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ რამდენად არსებობს კონსენსუსი საზოგადოებაში და საჯარო მოხელეებს შორის კორუფციის შესახებ. თუკი საზოგადოება ზოგადად შეთანხმებულია იმაზე, თუ რა არის კორუფცია და რა ტიპის ქმედებებია მიუღებელი, ეს გზას უხსნის ანტი-კორუფციული რეფორმის დამგეგმავებს და წარმოადგენს ერთგვარ რუკასაც კი შემდგომი მოქმედებებისათვის.

4. საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეების აზრით, რამდენად მისაღებია პოტენციურად კორუფციული ქმედებების შემცველი ქმედებები საზოგადოებისათვის?

რესპონდენტები კითხვარში მოტანილ თითოეულ სიტუაციასთან დაკავშირებით პასუხობდნენ ორ შეკითხვას: რამდენად კორუფციულია იგი და, მათი აზრით, რამდენად მისაღებია მოცემული ქმედება საზოგადოებისათვის. ცნობილია, რომ კორუფციის შესახებ ინფორმაციის შეგროვება რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული: რადგან ეს სენსიტიური თემაა, რესპონდენტებისაგან გულწრფელი პასუხების მიღება, ხშირად, რთულია. მოცემულ კითხვარშიც კი, სადაც რესპონდენტებს არ ვეკითხებოდით კორუფციის შესახებ მათი პირადი გამოცდილების ან მათ მიერ გაგონილი კორუფციის ფაქტების შესახებ, არამედ მათი აღქმების შესახებ, შესაძლოა პასუხები არ ყოფილიყო ბოლომდე გულწრფელი. მაგალითად, საჯარო მოხელეებს შესაძლოა ჩაეთვალათ, რომ საჭიროა, უფრო ნაკლები ტოლერანტულობა გამოიჩინონ რიგი კორუფციული ქმედებების მიმართ, ვიდრე ეს სინამდვილეშია, რადგან ისინი საჯარო სექტორში მუშაობენ და მართებთ მაღალი კეთილსინდისიერება. საზოგადოების აღქმების შეფასება მათ მიერ კი იქნება დამატებითი ინფორმაცია, სადაც მათ მეტი გახსნილობის

საშუალება ექნებათ პასუხების გაცემისას. ცხადია, რომ რესპონდენტების მიერ საზოგადოების აღქმების შეფასება არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების აღქმები მართლაც ასეთია, თუმცა კორუფციის კვლევებში ეს ერთ-ერთი აღიარებული და ხშირად გამოყენებული მიდგომაა.

გარდა ამისა, მოცემული შეკითხვა იძლევა საშუალებას, შევაფასოთ, რესპონდენტების აზრით, რამდენად მისაღებია საზოგადოებისათვის ის ქმედებები, რომლებიც შეიძლება არ იქნეს მიჩნეული კორუფციულად, არამედ არაკეთილსინდისიერად. მაგალითად, შესაძლოა რესპონდენტებმა მიიჩნიონ, რომ სამსახურეობრივი ტელეფონით პირადი საერთაშორისო ზარის გაკეთება და ამით სამსახურეობრივი რესურსების გახარჯვა პირადი მიზნებისათვის არ არის კორუფციული ქმედება, თუმცა ასეთი ქმედება მიუღებელია.

5. რა ფაქტორებით შეიძლება აიხსნას განსხვავებები კორუფციის შესახებ აღქმებს შორის საჯარო მოხელეებში? არსებობს განსხვავებები ჯგუფებს შორის ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორებიცაა ასაკი, სქესი, განათლება, კარიერული მიღწევები (სამუშაოს ტიპი), საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობა და გეოგრაფიული რეგიონი?

მოცემულ შეკითხვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზები:

H₃: არ არსებობს განსხვავებები ქალებისა და მამაკაცების ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

მოცემული კვლევის ჰიპოთეზა ემთხვევა ნულოვან ჰიპოთეზას.

კვლევაში არ ველოდებით განსხვავებას ქალებისა და მამაკაცების აღქმებში, რადგან ჩვენი კვლევის რესპონდენტები არიან უმთავრესად დაბალ და საშუალო კარიერულ საფეხურზე მყოფი საჯარო მოხელეები და არა უმაღლესი თანამდებობის პირები. ამ საფეხურზე კი, ვფიქრობთ, მსგავსი

განსხვავებები არ უნდა არსებობდეს. უფრო მაღალ საფეხურზე, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიებზე ამგვარი განსხვავებები უფრო მოსალოდნელია, რადგან შესაძლოა ასეთ თანამდებობებზე განსხვავებული ქალები ხვდებიან (აქტიურობით, მიზანდასახულობით და სხვა) და შესაძლოა მათი შეფასებები ნაკლებად ტოლერანტული ყოფილიყო.

H4: არ არსებობს განსხვავებები ასაკობრივ ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

კვლევების შედეგების საფუძველზე (Jackson & Smith, 1995; Atkinson & Mancuso, 1985) ცნობილია, რომ არ დასტურდება ასაკის მნიშვნელობა კორუფციის შესახებ აღქმების შეფასებისას. ამ კვლევაშიც, არ მოველით ასეთ განსხვავებას. მოცემული კვლევის ჰიპოთეზა ემთხვევა ნულოვან ჰიპოთეზას.

H5: არსებობს განსხვავებები სხვადასხვა განათლების მქონე ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

მოსალოდნელია, რომ უფრო მაღალი დონის ფორმალური განათლების მქონე ადამიანები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები იქნებიან პოტენციურად კორუფციული ქმედებების შეფასებისას. მოცემული ჰიპოთეზა იზიარებს არსებული კვლევების (Jackson & Smith, 1995; Peters & Welch, 1978) ლოგიკას, სადაც იგულისხმება, რომ უფრო განათლებულ ადამიანებს უკეთ ესმის კორუფციის ნეგატიური შედეგები და უფრო მკაცრად აფასებენ ასეთ ქმედებებს.

ნულოვანი ჰიპოთეზა, შესაბამისად, იქნება, რომ არ არსებობს განსხვავებები სხვადასხვა განათლების მქონე ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას ტოლერანტულობის საშუალოების მიხედვით.

H6: არსებობს განსხვავებები სხვადასხვა კარიერული მიღწევების (სამუშაოს ტიპის) მქონე ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

მოსალოდნელია, რომ უფრო მაღალი კარიერული მიღწევების მქონე ადამიანები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები იქნებიან, რადგან ვთვლით, რომ მოცემული ჰიპოთეზა კავშირშია წინა ჰიპოთეზასთან: თეორიულად უფრო მაღალი განათლების დონე კავშირში უნდა იყოს უფრო მაღალ კარიერულ მიღწევებთან. შესაბამისად, უფრო მაღალი კარიერული მიღწევების მქონე ადამიანებს უფრო მაღალი განათლებაც უნდა ჰქონდეთ და უფრო ნაკლებად ტოლერანტულებიც უნდა იყვნენ.

ნულოვანი ჰიპოთეზა, შესაბამისად, იქნება, რომ არ არსებობს განსხვავებები სხვადასხვა კარიერული მიღწევების (სამუშაოს ტიპის) მქონე ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

H7: არსებობს განსხვავებები საჯარო სექტორში მუშაობის სხვადასხვა ხანგრძლივობის მიხედვით ადამიანების ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

ზოგიერთი კვლევის მიხედვით, როდესაც ადამიანები მოიპოვებენ ძალაუფლებას და იწყებენ მუშაობას მაღალ პოზიციებზე, მეტად ტოლერანტულები ხდებიან კორუფციული ქმედებების მიმართ, რადგან მათი შესაძლებლობები, ჩაიდინონ ასეთი ქმედებები, იზრდება. ასევე, რაც უფრო დიდხანს მუშაობენ სისტემაში, მით უფრო ეჩვევან მას და ნაკლებად კრიტიკულები და მეტად ლოიალურები ხდებიან (ატკინსონი და მანკუსო, 1985; პიტერსი და ველჩი, 1978; ჯექსონი და სმიტი, 1995). მოცემული ჰიპოთეზა დადასტურდა ატკინსონისა და მანკუსოს და პიტერსისა და ველჩის კვლევებში, ხოლო ჯექსონისა და სმიტის ნაშრომში ის არ დადასტურდა.

ჩვენს კვლევაში არ გვაქვს მოლოდინი, რომ ასეთი განსხვავებები იარსებებს, იმდენად რამდენადაც რესპონდენტები არ წარმოადგენენ მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ მაღალი შანსები, მასშტაბურ კორუფციულ გარიგებებში შევიდნენ და ამგვარი მოლოდინი

უბიძგებდეთ მათ მეტი ტოლერანტულობისაკენ. ამდენად, ჩვენი ჰიპოთეზა ამ შემთხვევაში განსხვავდება განხილული ავტორების ხედვისაგან.

ნულოვანი ჰიპოთეზა, შესაბამისად, იქნება, რომ არ არსებობს განსხვავებები საჯარო სექტორში მუშაობის სხვადასხვა ხანგრძლივობის მიხედვით ადამიანების ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

H₁: არ არსებობს განსხვავებები სხვადასხვა რეგიონების მიხედვით ადამიანების ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

ჩვენს კვლევაში არ გვაქვს მოლოდინი, რომ ადამიანები, რომლებიც უფრო დიდ ქალაქებში არიან დაბადებული ან იქ აქვთ გატარებული ცხოვრების უმეტესი ნაწილი, უფრო ტოლერანტულები იქნებიან პოტენციურად კორუფციული აქტების მიმართ, ვიდრე ადამიანებს უფრო მცირე დასახლებებიდან, კერძოდ, დაბებიდან და სოფლებიდან. მართალია, არსებობს შეხედულება, რომ სოფლად მოსახლეობა უფრო ეთიკური და მორალურია (ატკინსონი და მანკუსო, 1985; ჯექსონი და სმიტი, 1995), თუმცა ამ ჰიპოთეზამ ვერ ჰპოვა დადასტურება ყველა კვლევაში, სადაც ის იქნა შემოწმებული. ჩვენ ვიზიარებთ ჯექსონი და სმიტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სოფლად შესაძლოა ადამიანები უფრო ახლო ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან და მეტ მზრუნველობას იჩენენ ახლობელების მიმართ, ვიდრე ქალაქში, თუმცა არ მოველით, რომ ეს შეიძება რაიმე კავშირში იყოს კორუფციის აღქმებთან. ნულოვანი ჰიპოთეზა ამ შემთხვევაშიც ემთხვევა კვლევის ჰიპოთეზას.

დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა გამოყენებული ცვლადების ოპერაციონალიზაცია, განხილულია შემდეგ თავში.

თავი V. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინში გამოყენებულია რაოდენობრივი, არაექსპერიმენტული მიდგომა და და ნაშრომი შედგება როგორც აღწერილობითი, ასევე კორელაციური ნაწილებისაგან (Kumar, 2011; Babbie, 2013). კერძოდ, პირველ ნაწილში კორუფციასთან მიმართებაში რესპონდენტთა აღქმები და პოტენციურად კორუფციული აღქმების მისაღებობა განხილული იქნება აღწერილობითი სტატისტიკის გამოყენებით, ხოლო მეორე ნაწილში შესწავლილია ჯგუფებს შორის განსხვავებები ინფერენციული სტატისტიკის მეშვეობით.

ცვლადების ოპერაციონალიზაცია

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ცვლადები: კორუფცია (კორუფციის აღქმა), მისაღებობა (კორუფციის მისაღებობა), ასაკი, სქესი, განათლება, საჯარო სექტორში მუშაობა, საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობა, სამუშაოს ტიპი და გეოგრაფიული რეგიონი. აქედან კორუფციის აღქმა და კორუფციის მოსაღებობა არის დამოკიდებული, ხოლო დანარჩენი ცვლადები - დამოუკიდებელი ცვლადები. ყველა ცვლადი პასიურია. განვიხილოთ, თუ როგორ მოხდა მათი ოპერაციონალიზაცია:

კორუფციის აღქმა

ნაშრომში გაზიარებულია კორუფციის განმარტების „სუბიექტური“ მიდგომა, რომლის მიხედვითაც: „პოლიტიკური ქმედება კორუფციულია, თუკი ასეთად აღიქვამს მას საზოგადოება“ (Welch & Peters, 1977, გვ. 447). ატკინსონისა და მანკუსოს მიხედვით, პოლიტიკური კორუფცია არის ის, რასაც მოქალაქეები და საჯარო მოსამსახურეები უწოდებენ კორუფციას. ეს მიდგომა აღიარებს სხვადასხვა, განსახვავებულ განმარტებებს და უარყოფს კორუფციის ერთი, უნივერსალური განმარტების საჭიროებას (1985, გვ. 464).

ამგვარი ფართო მიდგომის გამოყენებით, შერჩეული იქნა პოტენციურად კორუფციული ქმედებები, რომელთან დაკავშირებითაც რესპონდენტებს უნდა გამოეთქვათ საკუთარი შეფასებები. ფართო გაგებით, კორუფციულ ქმედებად ლიტრატურაში განიხილება ქმედებათა მთელი მრავალფეროვნება. მაგალითად, დამოუკიდებელი კომისია კორუფციის წინააღმდეგ (Independent Commission against Corruption), კორუფციად განიხილავს შემდეგ ქმედებებს: გაფლანგვა, ქურდობა, მოქრთამვა, გამოძალვა, გავლენით ვაჭრობა, თაღლითობა, პატრონაჟი, ნეპოტიზმი, კრონიზმი, ფულადი თუ არაფულადი სამადლობელო საჩუქარი, მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა, კრიმინალების მფარველობა, გადასახადებისათვის თავის არიდება, ყალბისმქნელობა, რაიმე სახის შეთქმულება ან მცდელობა, რომელიც უკავშირდება ჩამოთვლილ ქმედებებს. მოცემული ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ განმარტებებზე დაყრდნობით შეკრებილი მონაცემები ფართოდ გამოიყენება სამეცნიერო წრეების მიერ (Tanzi, 1998, გვ. 579). გარდა ამისა, მოცემული განმარტება არის მეტად ფართო და საერთაშორისო. ამიტომაც, ამ ჩამონათვალიდან მოცემული კველვისათვის შეირჩა პოტენციურად კორუფციული ქმედებების მთელი რიგი (იხილეთ ქვემოთ). მეტი აქცენტი გაკეთდა ისეთ ქმედებებზე, რომელთა შესახებაც აზრთა მეტი სხვადასხვაობა შეიძლება არსებობდეს; ნაკლებად იქნა გამოყენებული ისეთი ქმედებები (მაგალითად, ქრთამის აღება), რომელთა კორუფციულობასთან დაკავშირებით მოსალოდნელია კონსენსუსი. რესპონდენტებისათვის ასევე შეთავაზებული იქნა ისეთი ქმედებებიც (მაგალითად, ორგანიზაციის რესურსის გამოყენება მცირე რაოდენობით პირადი მიზნებისთვის), რომელთა კორუფციულობასთან დაკავშირებით შესაძლოა არსებობდეს არაცალსახა შეფასებები. გამოკითხვის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რომელ ქმედებებს მიიჩნევენ რესპონდენტები კორუფციულად და ასევე მათი შეფასებების მიხედვით ქმედებების რანჟირება. შეთავაზებული სიტუაციები არ გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, ანუ არ იგულისხმება,

რომ რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ქმედებები, რომლებიც მიიჩნევა დანაშაულად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რადგან ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასება მოქალაქეთა აღქმებთან. პირიქით, ზოგ შემთხვევაში შეთავაზებული იყო ქმედებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით არ ისჯება მოცემული რაოდენობით (მაგალითად, მცირე ღირებულების მქონე საჩუქრის მიღება საჯარო მოხელის მიერ).

რესპონდენტებისათვის შეთავაზებული იყო სიტუაციები, რომლებიც შეიცავდა შემდეგ პოტენციურად კორუფციულ ქმედებებს: გაფლანგვა და ორგანიზაციული რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის, ნეპოტიზმი და გავლენის გამოყენება სარგებლის მიღების მიზნით, ინტერესთა კონფლიქტი, არამართლზომიერი პოლიტიკური კონტრიბუცია, საჩუქრის მიღება. სულ რესპონდენტებისათვის შეთავაზებული იყო 18 ქეისი. აქედან 5 ქეისი იქნა მოდიფიცირებული პიტერსისა და ველჩის კვლევაში გამოყენებული კითხვარიდან (1978), 5 ქეისი იქნა მოდიფიცირებული ჯონსტონის კვლევაში გამოყენებული კითხვარიდან (1986), ხოლო 8 ქეისი შეიქმნა ამ კვლევისათვის.

ხშირად, კორუფციაზე საუბრისას ადამიანები ყურადღებას მხოლოდ ქრთამის აღებაზე ამახვილებენ. მოცემულ კვლევაში კი გვინდა გავარკვიოთ, როგორი დამოკიდებულება აქვთ რესპონდენტებს კორუფციის სხვადასხვა გამოვლინებებისადმი. მოცემულ კვლევაში ტერმინში აღქმა იგულისხმება ინდივიდის პირადი დამოკიდებულება პოტენციურად კორუფციული ქმედებების მიმართ. აღქმის საშუალებით შესაძლოა გავიგოთ, რომელ ქმედებებს აფასებენ ადამიანები უფრო მეტად თუ ნაკლებად კორუფციულად.

თითოეულ ჰიპოთეტიურ სიტუაციას, რომელიც შეიცავს პოტენციურად კორუფციულ ქმედებას, მოჰყვება შეკითხვა, სადაც რესპონდენტს ვთხოვთ,

შეაფასონ სიტუაცია და მიუთითონ, თუ რამდენად კორუფციულად მიიჩნევენ მოცემულ სიტუაციას, შემდეგ ჩამონათვალში:

1. სრულიად არაკორუფციული
2. ოდნავ კორუფციული
3. კორუფციული
4. ძალიან კორუფციული
5. მიჭირს პასუხის გაცემა

თითოეულ პასუხს ჰქონდა მინიჭებული შესაბამისი ქულა:

0 = სრულიად არაკორუფციული

1 = ოდნავ კორუფციული

2 = კორუფციული

3 = ძალიან კორუფციული

9 = მიჭირს პასუხის გაცემა

მონაცემების დამუშავებისას მოცემული ქულების მეშვეობით გამოთვლილი იქნა საშუალოები, რომელთა საშუალებითაც გამოიკვეთა, თუ რამდენად ტოლერანტულები არიან რესპონდენტები კორუფციის ამა თუ იმ გამოვლინებისადმი, ანუ როგორია მათი კორუფციის აღქმები. ის პასუხები, სადაც რესპონდენტებმა შემოხაზეს “მიჭირს პასუხის გაცემა”, არ იქნა გათვალისწინებული ქულების დათვლისას, რადგან ცხადია, რომ ამ პასუხში არ არის გამოთქმული, თუ რამდენად მკაცრად აფასებს რესპონდენტი ქმედებას და შესაბამისად ასეთი პასუხები ვერ აისახებოდა საერთო მაჩვენებელში.

კორუფციის მისაღებობა

მოცემული ცვლადით იზომება, თუ რამდენად მისაღებია ესა თუ ის ქმედება რესპონდენტისათვის. მთავარი განსხვავება ამ და წინა ცვლადს შორის

ისაა, რომ კორუფციის აღქმების გარკვევისას შეკითხვა ისეა დასმული, რომ რესპონდენტებმა უნდა გამოხატონ საკუთარი შეფასება პოტენციურად კორუფციული აღქმების მიმართ. მისაღებობის შემთხვევაში კი, რესპონდენტებს ვთხოვთ, მიუთითონ, მათი აზრით, რამდენად მისაღებია ესა თუ ის ქმედება საზოგადოებისათვის, შემდეგი ჩამონათვალის მიხედვით:

1. სრულიად მისაღებია
2. მისაღებია
3. მეტ-ნაკლებად მისაღებია
4. მიუღებელია
5. სრულიად მიუღებელია

თითოეულ პასუხს ჩვენს მიერ ჰქონდა მინიჭებული შესაბამისი ქულა:

0 = სრულიად მისაღებია

1 = მისაღებია

2 = მეტ-ნაკლებად მისაღებია

3 = მიუღებელია

4 = სრულიად მიუღებელია

მონაცემების დამუშავებისას მოცემული ქულების მეშვეობით გამოთვლილი იქნა საშუალოები, რომელთა საშუალებითაც გამოიკვეთა, თუ რესპონდენტთა აზრით, რამდენად მისაღებია საზოგადოებისათვის კორუფციის ესა თუ ის გამოვლინება.

ამ ცვლადის გამოყენებას შემდეგი მიზეზი ჰქონდა: ჩავთვალეთ, რომ შესაძლოა რესპონდენტები ნაკლებად გულწრფელნი იყვნენ, როდესაც მათ საკუთარი შეფასების გამოხატვას ვთხოვთ და ქმედებები უფრო მკაცრად შეაფასონ, ვიდრე მათ სინამდვილეში აფასებენ. მისაღებობის შემთხვევაში კი მათ არ ვთხოვთ, საკუთარი შეფასება გამოხატონ, არამედ შეაფასონ საზოგადოების დამოკიდებულება, ამ შემთხვევაში კი მოსალოდნელია, რომ

რესპონდენტები თავს უფრო თავისუფლად იგრძნობენ. ამით, შესაძლოა, უზრუნველყოფილი იქნა მეტო ობიექტურობა.

ცხადია, რომ რესპონდენტთა შეფასება იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ამა თუ იმ ქმედებას საზოგადოება, არ უდრის თავად საზოგადოების შეფასებას, თუმცა რადგან კორუფცია მეტად სენსიტიური თემაა, ამგვარი მიდგომის გამოყენება კორუფციის შესწავლისას ფართოდ გამოიყენება.

ორივე დამოკიდებული ცვლადი - კორუფციის აღქმა და კორუფციის მისარებობა გაიზომა რიგობით შკალაზე, თუმცა საშუალოების დათვლის შედეგად მიღებული რიცხვები უკვე გამოყენებული იქნა, როგორც ინტერვალური.

სქესი

დიქტომიური ცვლადი სქესი გაიზომა სახელობით შკალაზე. რესპონდენტებს უნდა მიეთითებინათ საკუთარი სქესი, “მამრობითი” ან “მდედრობითი”.

ასაკი

პოლიტომიური ცვლადი ასაკი გაიზომა რიგობით შკალაზე. სასურველი იქნებოდა ასაკის გაზომვა ინტერვალურ შკალაზე, თუმცა რადგან კორუფცია მგრძნობიარე თემაა და რესპონდენტების ნაწილი შესაძლოა უფრთხოდა საკუთარი პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ჩავთვალით, რომ უმჯობესი იქნებოდა, მათთვის შეგვეთავაზებინა ასაკობრივი კატეგორიები: “20-ზე ნაკლების”, “20-24”, “25-29” და ა.შ. ამ მიდგომის გამო, შესაძლოა, რესპონდენტთა ნაწილს უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი საკუთარი შეხედულებების გამოთქმისას და უფრო გულწრფელი პასუხების მიღების შანსები გაზრდილიყო.

განათლება

პოლიტომიური ცვლადი განათლება ასევე გაიზომა რიგობით შკალაზე. რესპონდენტებისათვის დასმული იყო შეკითხვა, თუ რამდენწლიანი ფორმალური განათლება აქვს მათ და შეთავაზებული იყო პასუხები: “10 წელი ან ნაკლები”, “11 წელი”, “12 წელი” და ა.შ. მოცემული ცვლადი გაზომვა ინტერვალურ შკალაზეც იყო შესაძლებელი, თუმცა ჩავთვალეთ, რომ პირველი და ბოლო შესაძლო პასუხები უნდა ყოფილიყო “10 წელი ან ნაკლები” და “18 წელი ან მეტი”, რამაც აღარ მოგვცა შესაძლებლობა, მონაცემები გამოგვეყენებინა, როგორც ინტერვალური.

საჯარო სექტორში მუშაობა

მოცემული ცვლადი გაიზომა სახელობით შკალაზე და მისი მიზანი იყო იმის დადგენა, მოცემულ მომენტში იყო თუ არა რესპონდენტი საჯარო მოხელე. შესაბამისად პასუხები იყო “დიახ” და “არა” და ცვლადი იყო დიქტომიური.

საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობა

ამ ცვლადის მიზანი იყო იმის გაზომვა, თუ ჯამში რამდენი წელი უმუშავია რესპონდენტს საჯარო სექტორში. მოცემული პოლიტომიური ცვლადი გაიზომა რიგობით შკალაზე. შესაბამისად, პასუხები იყო: “არ მიმუშავია”, “1-2”, “3-4” და ა.შ.

სამუშაოს ტიპი

ამ ცვლადის მიზანი იყო იმის გაზომვა, თუ რა ტიპის სამუშაოზე უმუშავია ადამიანს, დაწყებული ფიზიკური სამუშაოთი და დამთავრებული მაღალი დონის მენეჯერით. შესაბამისად, ცვლადი იყო პოლიტომიური და ის გაიზომა რიგობით შკალაზე.

გეოგრაფიული რეგიონი

მოცემული ცვლადი გაიზომა ორი შეკითხვის საშუალებით. პირველ შეკითხვაში გვანტერესებდა რესპონდენტის დაბადების ადგილი.

იგულისხმება, რომ (იხ. ჰიპოთეზა N8 ზევით) იმისდა მიხედვით, თუ რა სიდიდის დასახლებაში დაიბადა ადამიანი, მისი მოსაზრებები კორუფციასთან დაკავშირებით შეიძლება განსხვავდებოდეს. თუნდაც ადამიანი აღარ ცხოვრობდეს დაბადების ადგილზე, შესაძლოა მას ჰქონდეს ძლიერი კავშირი საკუთარ სოფელთან თუ ქალაქთან და წარმოადგენდეს მის ტიპიურ მაცხოვრებელს, საკუთარი მოსაზრებების მიხედვით. ამ შეკითხვაზე პასუხები იყო: “თბილისი”, “საქართველოს სხვა ქალაქი”, “დაბა ან სოფელი” და “საქართველოს ფარგლებს გარეთ”, ანუ პასუხები რანჟირებული იყო დასახლებული ადგილების სიდიდის მიხედვით, გარდა პასუხისა “საქართველოს ფარგლებს გარეთ”. შესაბამისად, იმ რეპონდენტების პასუხები, ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო დაბადებული, არ იქნა გათვალისწინებული. შესაბამისად, ცვლადი იყო პოლიტომიური და გაიზომა რიგობით შკალაზე.

ამ ცვლადის მეორე საზომი იყო შეკითხვა, რომელიც ადგენდა, თუ სად ჰქონდათ რესპონდენტებს გატარებული მათი ცხოვრების უდიდესი ნაწილი. პასუხები იყო იგივე რაც წინა შემთხვევაში. ეს შეკითხვა დაისვა იმის გამო, რომ შესაძლებელია ადამიანის დაბადების ადგილზე დიდი ზეგავლენა მის მოსაზრებებზე ჰქონდეს იმას, თუ როგორი ტიპის დასახლებაში აქვს მას გატარებული საკუთარი ცხოვრების უდიდესი ნაწილი.

პოპულაცია და შერჩევა

კვლევაში არსებობდა ორი პოპულაცია: საჯარო მოხელეები და საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საჯარო მოხელეები არ არიან. საჯარო მოხელეებში მოცემულ კვლევაში პირობითად დაერქვა საქართველოს ხუთ სამინისტროში დასაქმებულ ადამიანებს, რადგან შერჩევა გაკეთდა მხოლოდ ამ სამინისტროებში დასაქმებული საჯარო მოხელეებიდან: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო. 2014 წლის ინფორმაციით, მოცემულ სამინისტროში დასაქმებული იყო 1451 ადამიანი (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N 2. საქართველოს სამინისტროებში დასაქმებული საჯარო მოხელეების რაოდენობა, 2014	
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	205
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	286
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	127
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	130
ფინანსთა სამინისტრო	263
თავდაცვის სამინისტრო	450
ჯამი	1451
წყარო: ნინო დოლიძე, სადისერტაციო ნაშრომი, 2015	

საჯარო მოხელეების შესარჩევად გამოყენებული იყო მიზნობრივი შერჩევა, რომელიც იყო მოხალისეობრივი და არაკომპენსირებული. მეტი რეპრეზენტატიულობის უზრუნველსაყოფად, შერჩევასა და ყურადღება მიექცა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიეღოთ დამოუკიდებელი ცვლადების მიხედვით (სქესი, ასაკი და სხვა) განსხვავებულ ადგილებს. რადგან არ ყოფილა გამოყენებული ალბათური შერჩევა, შერჩევის ზომა წინასწარ გამოთვლილი არ იყო. სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 196-მა საჯარო მოხელემ. თითოეულ სამინისტროში გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა მერყეობდა 28-დან 44 რესპონდენტამდე: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 32 რესპონდენტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - 34 რესპონდენტი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

- 28 რესპონდენტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - 28 რესპონდენტი, ფინანსთა სამინისტრო - 30 რესპონდენტი და თავდაცვის სამინისტრო - 44 რესპონდენტი.

არასაჯარო მოხელეების შესარჩევად გამოყენებული იქნა შემთხვევითი შერჩევა. აქაც გაწეული იყო ძალისხმევა, რომ შერჩეული ადამიანები არ ყოფილიყვნენ ერთგვაროვანი დამოუკიდებელი ცვლადების მიხედვით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 218-მა რესპონდენტმა.

კვლევა ჩატარდა თბილისში. კვლევის საკითხის სენსიტიური ბუნებიდან გამომდინარე, რესპონდენტებს განემარტა, რომ გამოკითხვა არის ანონიმური. მონაცემები რესპონდენტთა ვინაობის შესახებ არ ყოფილა შეკრებილი.

იდეალურ შემთხვევაში კვლევის მიზნებისათვის სასურველი იქნებოდა ალბათური შერჩევის გამოყენება, რაც მოგვცემდა კვლევის შედეგების თამამად განზოგადების საშუალებას, თუმცა ამ კვლევის ფარგლებში არ იყო შესაძლებელი შერჩევის ჩარჩოს მოპოვება. თუმცა შესაძლებელია ორგანიზაციების მიხედვით საჯარო მოხელეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი სახელობითი სიისა და საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება არ არის შესაძლებელი, რადგან ის პირად ინფორმაციას წარმოადგენს. შესაბამისად, კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ ვერ მოვახდენთ მტკიცებას, რომ შესაძლებელია კვლევის შედეგების განზოგადება მთელს პოპულაციაზე. ამისდა მიუხედავად, შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას მოგვაწოდებს საკითხთან მიმართებაში.

მოცემულ პრობლემას ეჯახება მრავალი მკვლევარი, რომელიც სწავლობს საჯარო მოხელეთა ან ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულებებს. ასეთ შემთხვევებში საკითხი ასე დგება: ან შერჩევის ჩარჩოს არარსებობის, და, შესაბამისად, ალბათური შერჩევის მიუღწევლობის გამო საკითხი არ უნდა იქნეს შესწავლილი, ან უნდა იქნეს შესწავლილი იმ

შერჩევის გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველ მოცემულ სიტუაციაში. ამ კვლევაში ის მიდგომა იქნა გამოყენებული, რომელსაც მკვლევარები ძალიან ხშირად არჩევენ: გამოიყენონ ხელისაწვდომი შერჩევის სტრატეგია კვლევის მიზნების შესასწავლად, შესაბამისი კვლევების შედეგები კი მიიჩნევა სრულიად ადეკვატურად და ქვეყნდება სამეცნიერო საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. რამდენიმე ასეთი მიდგომის შემცველი კვლევის მაგალითია:

1. ალექსანდრო როდრიგესისა და ალვინ ბრაუნის ნაშრომი *Cultural Differences: a Cross Cultural Study of Urban Planners from Japan, Mexico, the U.S., Serbia-Montenegro, Russia and South Korea*. ექვს სხვადასხვა ქვეყანაში მიზობრივი შერჩევის საშუალებით შერაჩიეს ჯამში 343 რესპონდენტი, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები. მონაწილეობა იყო მოხალისეობრივი და კომპენსაციის გარეშე, რამაც ნაწილობრივ უზრუნველყო რეპრეზენტატულობა. კვლევის მიზანი იყო სხვადასხვა ღირებულებების შესწავლა ჰოფსტედეს მოდელის მიხედვით (კოლექტივიზმი, ინდივიდუალიზმი და სხვა). მიუხედავად არაალბათური შერჩევისა, გაკეთდა რეფერენციული სტატისტიკა. სტატია გამოქვეყნდა სამეცნიერო საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში *Public Organization Review* 2012 წელს. ჟურნალი მიეკუთვნება მაღალი იმფაქტუაქტორიანი ჟურნალების რიცხვს.
2. პატრიკ ოვერემისა და ფრიც საგერის წიგნში *The European Public Servant: A Shared Administrative Identity?* მონაცემები შეგროვდა სამივე ბალტიის ქვეყანაში შემთხვევითი შერჩევის გზით, თითოეულ ქვეყანაში - 500-700 რესპონდენტი - საჯარო მოხელე. კვლევის მიზანი იყო ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და

კორუფციის გაზომვა. ანალიზისას გაკეთდა ინფერენციული სტატისტიკა. წიგნი გამოქვეყნდა 2015 წელს.

3. მაიკლ ჯონსტონმა კვლევაში Right and Wrong in American Politics: Popular Conceptions of Corruption, პიცბურგის მეტროპოლიტენის არეალის მაცხოვრებელთა კორუფციის აღქმების შესასწავლად, გამოიყენა არაალბათური, კვოტური შერჩევა და ჯამში გამოკითხა 241 რესპონდენტი. კვლევაში გამოყენებული იყო ინფერენციული სტატისტიკა. ნაშრომი გამოქვეყნდა ჟურნალში Polity, 1986 წელს.

ამგვარი მაგალითები უხვად მოიპოვება. ალბათური შერჩევის გაკეთების შესაძლებლობის არქონის გამო მკვლევარები არჩევენ, ინფერენციული სტატისტიკა გააკეთონ არაალბათური გზით შერჩეულ ამოკრებაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალურ მეცნიერებებში კვლევის წარმოება მწვენილოვნად შემცირდებოდა. იგივე მიდგომაა გამოყენებული მოცემულ ნაშრომშიც.

კვლევის ინსტრუმენტი

მონაცემების შეკრებისათვის გამოყენებული იყო კითხვარი (იხ. დანართი N1). კითხვარი შეიცავს 18 სიტუაციას, სადაც აღწერილია ჰიპოთეტიური პირის მიერ (მოსამართლე, საკრებულოს წევრი, პოლიციელი და სხვა) ჩადენილი პოტენციურად კორუფციული ქმედება. ამ ქმედებებისა და კითხვარში შესაბამისი შეკითხვების ჩამონათვალი ასეთია:

1. გაფლანგვა და ორგანიზაციული რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის (შეკითხვები: 1, 8, 12);
2. ნეპოტიზმი და გავლენის გამოყენება სარგებლის მიღების მიზნით (შეკითხვები: 2, 3, 7, 10, 13, 16, 17, 18);
3. ინტერესთა კონფლიქტი (შეკითხვები: 4, 11, 14, 15);
4. არამართლზომიერი პოლიტიკური კონტრიბუცია (შეკითხვა: 5);
5. საჩუქრის მიღება (შეკითხვები: 6, 9, 14);

6. პოტენციურად მექრთამეობის შემცველი სიტუაცია (15).

თითოეულ ასეთ სიტუაციას მოჰყვებოდა ორი შეკითხვა: პირველი, რომელიც თხოვდა რესპონდენტს აღწერილი ქმედების შეფასებას მისი კორუფციულობის დონის მიხედვით და მეორე, რომელიც თხოვდა რესპონდენტს, აღწერილი ქმედების მიმართ საზოგადოების მიმდებლობის შეფასებას.

ჰიპოთეტიური სიტუაციების, სცენარების მეთოდი გამოყენებული იყო, რადგან ველოდით, რომ კორუფცია თემის მგრძობიარობის გამო რესპონდენტთა ნაწილისათვის კორუფციის შესახებ პირდაპირი სახით დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა შესაძლოა პრობლემატური ყოფილიყო. ჰიპოთეტიურ პერსონაჟებზე დასმული შეკითხვები კი მათ მეტ თავისუფლებას მიანიჭებდა პასუხების გაცემისას.

კითხვარი ასევე შეიცავს 9 დემოგრაფიულ შეკითხვას, რომელთა მიზანი იყო ინფორმაციის შეგროვება რესპონდენტთა სქესის, ასაკის, განათლების, საჯარო სექტორში მუშაობის, საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობის, სამუშაოს ტიპის, გეოგრაფიული რეგიონისა და მოქალაქეობის შესახებ. კითხვარში დასმული ყველა შეკითხვა იყო დახურული და სთავაზობდა რესპონდენტებს შესაძლო პასუხების ჩამონათვალს.

იმის გამო, რომ კითხვარი ზოგადად კორუფციას ეხებოდა, რესპონდენტებს შესაძლოა მიეჩნიათ, რომ მოცემული სიტუაციები ცალსახად კორუფციულია საქართველოს კანონის ან რომელიმე სხვა განმარტების მიხედვით. ამიტომ, კითხვარის დასაწყისში მითითებული იყო, რომ მოცემული სიტუაციები შესაძლოა შეიცავდეს ან არ შეიცავდეს კორუფციულ ქმედებებს.

კითხვარის პირველი გვერდი მოიცავს ინფორმაციას კვლევის ზოგადი მიზნის, გამოკითხვის ანონიმურობის, კვლევის ავტორისა და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ.

მონაცემების შეგროვების დაწყებამდე მოხდა კითხვარის დატესტვა 20 შემთხვევითი რესპონდენტის დახმარებით. რესპონდენტებმა შეავსეს კითხვარი, შემდეგ კი მათთან მოხდა გასაუბრება შესაძლო ბუნდოვანი შეკითხვების თუ სხვა ნაკლოვანებების გამოსავლენად. შეგროვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, მოხდა კითხვარში რამდენიმე შესწორების შეტანა.

მონაცემების დამუშავება

მონაცემების დამუშავება მოხდა Excel და SPSS პროგრამების გამოყენებით. პირველ რიგში, შეკითხვებსა და მათ პასუხებს მიენიჭა კოდები (იხ. დანართი N2). მონაცემების შეგროვების შემდეგ მოხდა excel ფაილში კოდების მიხედვით ინფორმაციის შეტანა. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ excel ფაილი იქნა ექსპორტირებული spss ფაილში, სადაც მოხდა ცვლადების დალაგება. შემდგომი სტატისტიკური ტესტები გაკეთდა SPSS გამოყენებით.

ჩატარებული ტესტები

აღწერილობითი სტატისტიკის ფარგლებში ჩატარდა საშუალოს, მედიანასა და მოდას, ასევე სტანდარტული გადახრის გამოთვლა. დათვლილი იქნა რესპონდენტების მახასიათებლები და მათ მიერ გაცემული პასუხები რაოდენობრივად და გაკეთდა შესაბამისი ცხრილები.

იმის შესამოწმებლად, თუ იყო შესაძლებელი ინფერენციული სტატისტიკის ფარგლებში პარამეტრული ტესტების გაკეთება, ჩატარდა ნორმალური განაწილების ტესტი (Test for normality). ტესტის შედეგების მიხედვით (იხ. ცხრილი N3), არ აღმოჩნდა შესაძლებელი პარამეტრული ტესტების გაკეთება. როგორც ცხრილში ვხედავთ, დამოკიდებული ცვლადისათვის „კორუფციის აღქმა“ დამოუკიდებელი ცვლადების სულ მცირე ერთ კატეგორიაში არ იყო ნორმალური განაწილება: რიგ შემთხვევებში შაპირო-ვილკის ტესტში მნიშვნელოვნება იყო დასაშვებზე დაბალი ($p < .05$), რაც იმას ნიშნავს, რომ მოხერხდა ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა, რომელიც

ცხრილი N3. ნორმალური განაწილების ტესტის შედეგები, დამოკიდებული ცვლადი: კორუფციის აღქმები							
ცვლადი	ასიმეტრია (skewness)	სტანდარტული შეცდომა	ასიმეტრიის z-მნიშვნელობა (skewness z-value)	აბსცისა (kurtosis)	სტანდარტული შეცდომა	აბსცისას z-მნიშვნელობა (kurtosis z-value)	შაპირო-ვილკის მნიშვნელოვნება (Shapiro-Wilk significance)
სქესი მამრ.	-.127	.311	-.407	.679	.613	1.103	.624
სქესი მდედრ.	-.087	.222	-.393	.787	.340	2.314	.347
ასაკი 20-24	-1.000	.564	-1.564	.044	1.091	.040	.040
ასაკი 25-29	.166	.309	0.537	1.962	.608	3.226	.168
ასაკი 30-34	-.334	.448	-.782	-.540	.872	-.619	.320
ასაკი 35-39	-1.101	.481	-2.288	1.608	.935	1.719	.076
ასაკი 40-49	-.598	.434	-1.377	.372	.845	.440	.403
ასაკი 50-59	1.199	.637	1.882	.219	1.282	.170	.014
60 და მეტი	1.107	.687	1.611	1.929	1.334	1.446	.341
განათლება 10 წ.	-.697	1.225	0.568	-	-	-	.736
განათლება 12 წ.	-1.583	1.225	-1.292	-	-	-	.266
განათლება 13 წ.	-1.628	1.014	-1.605	2.479	2.619	.946	.096
განათლება 14 წ.	.054	.794	.068	-1.794	1.587	-0.183	.391
განათლება 15 წ.	.118	.340	.347	1.137	.668	1.708	.657
განათლება 16 წ.	-.336	.369	-.910	1.646	.724	2.272	.126
განათლება 17 წ.	.156	.388	0.402	-.114	.759	-0.150	.397
განათლება 18 წ. +	-.088	.403	-0.218	-.135	.788	-0.171	.794
სამუშაოს ტიპი არაანაზღაურებადი	.135	.913	.147	.379	2.000	0.189	.993
სამუშაოს ტიპი ფიზიკური	-1.811	.913	-1.983	3.586	2.000	1.793	.086
სამუშაოს ტიპი მდივანი	.197	.512	0.384	-.501	.992	-0.505	.639
სამუშაოს ტიპი	.567	.472	1.201	.781	.918	0.850	.621

პროფესიული							
სამუშაოს ტიპი პროფესიონალი	-.433	.238	-1.819	1.244	.472	2.635	.025
სამუშაოს ტიპი მენეჯერი	.185	.536	.345	.533	1.038	.513	.949
სამუშაოს ტიპი მენეჯერის მენეჯერი	.157	1.225	.128	-	-	-	.942
სს მუშაობის წლები 1-2	-.092	.398	-.231	.013	.778	.016	.676
სს მუშაობის წლები 3-4	-.140	.343	-.408	.647	.674	.959	.585
სს მუშაობის წლები 5-6	-.999	.434	-2.301	.389	.845	0.460	.010
სს მუშაობის წლები 7-8	-1.532	.421	-3.638	4.479	.821	5.455	.006
სს მუშაობის წლები 9 და მეტი	.565	.398	1.419	.262	.778	0.336	.574
დაბ. ადგილი თბილისი	-.391	.127	-3.078	.692	.451	1.534	.072
დაბ. ადგილი სხვა ქალაქი	.214	.343	.623	.886	.674	1.314	.457
დაბ. ადგილი დაბა ან სოფელი	.668	.550	1.214	.198	1.063	0.186	.407
წლები ადგილზე თბილისი	-.178	.197	.903	.756	.381	1.984	.119
წლები ადგილზე სხვა ქალაქი	-.200	.660	-.303	-.390	1.063	-.366	.798
წლები ადგილზე დაბა ან სოფელი	.281	.794	.353	-1.180	1.587	-.743	.718

გულისხმობს, რომ განაწილება ნორმალურია (Shapiro & Wilk, 1965; Razali & Wah, 2011). სხვა შემთხვევებში კი ასიმეტრიის (skewness) ან აბსცისას (kurtosis) z-მნიშვნელობა (z-value) იყო -1.96-ზე ნაკლები ან +1.96-ზე მეტი, რაც ასევე მიუთითებს, რომ განაწილება არ არის ნორმალური (Cramer, 1998; Cramer & Howitt, 2004; Doane & Seward, 2011). ყველა ასეთი შემთხვევა ცხრილში გამოყოფილია წითელი ფერით.

არაპარამეტრული ტესტების ერთ-ერთი წინაპირობაა შერჩევაში დისპერსიის ჰომოგენურობა. იმის შესამოწმებლად, რომ კვლევაში გამოყენებული მონაცემები აკმაყოფილებდა ამ წინაპირობას, გაკეთდა ლევენის არაპარამეტრული ტესტი (Non-parametric Levene's test). მოცემული ტესტის ნულოვანი ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ დამოუკიდებელ ცვლადებში თითოეულ კატეგორიას შორის არის თანაბარი დისპერსია (Nordstokke & Zumbo, 2010; Nordstokke, Zumbo, Cairus and Saklofske, 2011). ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა ვერ მოხერხდა ვერც ერთი დამოკიდებული ცვლადისათვის (ყველგან $p > .05$) (იხ. ცხრილი N4). ამით დაკმაყოფილდა არაპარამეტრული ტესტის მოცემული წინაპირობა და გადაწყდა არაპარამეტრული ტესტების გაკეთება.

ცხრილი N4. ლევენის არაპარამეტრული ტესტის შედეგები. დამოკიდებული ცვლადი: კორუფციის აღქმა.		
ცვლადი	F	Sig.
სქესი	1.976	.161
ასაკი	1.172	.320
განათლება	.587	.788
სამუშაოს ტიპი	2.105	.055
საჯარო სამსახურში მუშაობის ხანგრძლივობა	.547	.701
დაბადების ადგილი	.762	.468
დრო დაბადების ადგილზე	.953	.416


გაკეთდა შემდეგი არაპარამეტრული ტესტები: მენ ვიტნისა და კრუსკალ ვოლისის ტესტები (დამოუკიდებელი ჯგუფებისათვის), ასევე ვილკიქსონის ტესტი (დამოკიდებული ჯგუფებისათვის), რომელთა მიზანი იყო ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოვლენა (კისი, 2008; Salkind, 2010). მენ-ვიტნის ტესტი გაკეთდა სახელობითი დიქტომიური ცვლადის, სქესისათვის, ხოლო კრუსკალ ვოლისის ტესტი გაკეთდა დანარჩენი ცვლადის შემთხვევაში, რომელთაგან ყველა იყო პოლიტომიური. ვილკიქსონის ტესტის შემთხვევაშიც ცვლადები იყო პოლიტომიური.

თავი VI. კვლევის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია

შერჩევის მიმოხილვა

ამ ქვეთავში განვიხილავთ შერჩევაში მოხვედრილი რესპონდენტების მახასიათებლებს კვლევაში წარმოდგენილი დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით. ქვემოთ განხილულია როგორც თითოეული ცვლადის კატეგორიებს შორის პროცენტული განაწილება, ასევე თითოეულ კატეგორიაში მოხვედრილ რესპონდენტთა რაოდენობაც.

კვლევაში წარმოდგენილი კითხვარი შეავსო ჯამში 196-მა საჯარო მოხელემ და 216-მა მოქალაქემ, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელეები, ანუ ჯამში 414-მა რესპონდენტმა. ამ რაოდენობაში არ ითვლება ის რესპონდენტები, რომელთაც არ უპასუხეს დასმულ შეკითხვას მუშაობის ადგილის შესახებ და




მათი პასუხები არ იქნა გათვალისწინებული.

სქესი და ასაკი

ნახაზში N 1 წარმოდგენილია საჯარო მოხელეთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით. ნახაზის Y ღერძზე ნაჩვენებია პროცენტული განაწილება, X ღერძზე ნაჩვენებია ცვლადი „სქესი“, რომელიც დაყოფილია ორ სვეტად: „მდედრობითი“ და „მამრობითი“, ხოლო თითოეულ სვეტში მოცემულია

განათლების მიხედვით რესპონდენტთა განაწილება. მდედრობითი სქესის რესპონდენტთა რაოდენობაა 64.8%, ხოლო მამრობითისა - 35.2%. რაც შეეხება ასაკს, როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს შორის, ყველაზე მეტი რესპონდენტი, 22.05% - ქალი და 11.28% - მამაკაცი, მოხვდა კატეგორიაში - „25-29 წელი“, ხოლო ყველაზე ნაკლები ქალებს შორის კატეგორიებში „50-59 წელი“



და „60 წელი და მეტი“ (4.10%), მამაკაცებს შორის კი კატეგორიაში „20 წლის და ნაკლების“ (0.51%). ასეთი განაწილება ბუნებრივია, რადგან ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ასაკოვანი ადამიანების რაოდენობა საჯარო სექტორში შუა ხნის ადამიანებთან შედარებით გაცილებით მცირეა.


სქესის მიხედვით განაწილება თითქმის თანაბარი იყო იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელეები (იხ. ნახაზი 2). რაც შეეხება ასაკს, აქაც, ისევე როგორც საჯარო მოხელეების შემთხვევაში, ყველაზე მცირე რაოდენობის რესპონდენტები ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ კატეგორიებში არიან წარმოდგენილი, თუმცა მთლიანობაში განაწილება ასაკის მიხედვით კატეგორიებს შორის ოდნავ უფრო თანაბარია.

განათლება და სამუშაოს ტიპი

განათლებისა და სამუშაოს ტიპის მიხედვით საჯარო მოხელეების განაწილება წარმოდგენილია ნახაზში N3. X ლერძზე წარმოდგენილია 9 სვეტი; თითოეული აჩვენებს განათლების მოცემულ კატეგორიაში რესპონდენტების რაოდენობას. თითოეულ სვეტში კი გამოსახულია გადანაწილება სამუშაოს ტიპის მიხედვით. რადგან ცხრილში მთლიანობაში საკმაოდ ბევრი კატეგორიაა ნაჩვენები, აღქმის გაადვილების მიზნით, მითითებულია მხოლოდ შედარებით დიდი მოცულობის მქონე კატეგორიების პროცენტები.

განათლების მიხედვით რესპონდენტთა დაახლოებით 90% პროცენტი მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილებულია ზედა ოთხ კატეგორიას შორის: „15 წელი“, „16 წელი“, „17 წელი“ და „18 წელი და მეტი“ (ოთხი ყველაზე მაღალი სვეტი), რაც ბუნებრივია, რადგან საჯარო სექტორში სამუშაოზე მიღებისას უმაღლესი განათლება უმეტეს შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნაა, 15 წელი კი შეესაბამება ბაკალავრის დიპლომს. დანარჩენი 10%-ს (ხუთი ყველაზე დაბალი სვეტი), როგორც ჩანს, არ აქვს სრული უმაღლესი განათლება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი უმრავლეს შემთხვევაში შტატგარეშე ან ტექნიკურ მოსამსახურედ მუშაობენ.


ნახაზი 3. განაწილება განათლებისა და სამუშაოს ტიპის მიხედვით, საჯარო მოხელეები



სამუშაოს ტიპის მიხედვით, რაც გულისხმობდა კარიერული წარმატებიდან გამომდინარე პოზიციების რანჟირებას, როგორც მოსალოდნელი იყო, საჯარო მოხელეებს შორის ყველაზე დიდი რაოდენობა, დაახლოებით 55%, მოგროვდა კატეგორიაში „აკადემიური განათლების მქონე პროფესიონალი“ (ყვითელი ფერით აღნიშნული კატეგორია). როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ ადამიანთა უმრავლესობას ასევე მიღებული აქვს 15 წელზე მეტი ფორმალური განათლება. ყველაზე მცირე რაოდენობის რესპონდენტები, დაახლოებით 1.5%, მოგროვდა კატეგორიაში „ერთი ან მეტი მენეჯერის მენეჯერი“ (ცისფერი ფერით აღნიშნული კატეგორია), რაც ასევე მოსალოდნელი იყო, რადგან ამგვარი მაღალი თანამდებობები საჯარო სექტორში უფრო დაბალ თანამდებობებთან შედარებით ნაკლებადაა

წარმოდგენილი. როგორც ცხრილში ვხედავთ, ამ ადამიანებს ასევე აქვთ მიღებული 16-18 წლიანი განათლება.

ნახაზი 4. განაწილება განათლებისა და სამუშაოს ტიპის მიხედვით, არა საჯარო მოხელეები



რთულია, ავხსნათ, საჯარო მოხელეთა შორის რატომ აღმოჩნდა რესპონდენტთა 3.68%, რომელთაც მიუთითეს, რომ აქვთ არაანაზღაურებადი სამუშაო. შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მათ მუშაობა ახალი დაწყებული აქვთ და ხელფასი ჯერ არ მიუღიათ, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, მათი სამუშაო არაანაზღაურებადად არ ჩაითვლებოდა.

რაც შეეხება რესპონდენტებს, რომლებიც მოცემულ მომენტში არ არიან საჯარო მოხელეები, მათ შორის განათლების კატეგორიებს შორის განაწილება უფრო მეტად თანაბარია (იხ. ნახაზი 4), თუმცა რესპონდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა, დაახლოებით 24%, არის კატეგორიაში: „15 წელი“ (ყველაზე

მაღალი სვეტი). ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ საჯარო სექტორში მთლიანობაში განათლების მიხედვით საშუალო მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნებოდა, ვიდრე მის გარეთ, რადგან საჯარო სექტორში მუშაობისათვის უმაღლესი განათლება უმეტეს შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნაა.

სამუშაოს ტიპის მიხედვით მონაცემები ასე განაწილდა: როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც კატეგორიებს შორის უფრო მეტი თანაბრობაა, ვიდრე საჯარო მოხელეების შემთხვევაში, თუმცა აქაც, კატეგორიაში „აკადემიური განათლების მქონე პროფესიონალი“, ყველაზე მეტი, 23% მოგროვდა (ყვითელი ფერით აღნიშნული კატეგორია), ხოლო ყველაზე ნაკლები, 4% კი - კატეგორიაში „ერთი ან მეტი მენეჯერის მენეჯერი“ (ცისფერი ფერით აღნიშნული კატეგორია).

საჯარო სამსახურში მუშაობის ხანგრძლივობა


საჯარო სამსახურში მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით რესპონდენტების რაოდენობა მოცემულ კატეგორიებში მეტ-ნაკლებად თანაბარია (იხ. ნახაზი 5) და მერყეობს 16.58%-დან 26.2%-მდე. ყველაზე მეტი რაოდენობის რესპონდენტები, 26.2%, მოხვდა კატეგორიაში „3-4“ წელი.

დაბადების ადგილი და ცხოვრების ყველაზე მეტი ნაწილის გატარების ადგილი

დაბადების ადგილის მიხედვით განაწილება თითქმის იდენტურია ორივე ჯგუფში, საჯარო და არასაჯარო მოხელეებში. რესპონდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა (≈61%, ≈64%) დაბადებულია თბილისში, ხოლო ყველაზე მცირე (≈8%, ≈9%) - დაბასა თუ სოფელში.

ცხოვრების უდიდესი ნაწილის გატარების ადგილის მიხედვითაც, განაწილება ორივე ჯგუფში თითქმის იდენტურია. რესპონდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა (≈86%, ≈83%) მოხვდა კატეგორიაში „თბილისი“, ხოლო ყველაზე მცირე (≈4%, ≈3%) - კატეგორიაში „დაბა ან სოფელი“.

ნახაზი N5. განაწილება საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით



კორუფციის აღქმები

კვლევის პირველი სამი შეკითხვის ინტერესის საგანია, თუ:

1. კორუფციის როგორი აღქმები აქვთ საქართველოში საჯარო მოხელეებსა და მოქალაქეებს? რა ტიპის ქმედებებს მიიჩნევენ ისინი უფრო მეტად ან ნაკლებად კორუფციულად?
2. საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეების აზრით, რა ტიპის ქმედებებია საზოგადოებისათვის უფრო მეტად ან ნაკლებად მისაღები?
3. რამდენად ჰომოგენურია კორუფციის შესახებ მოქალაქეებისა და საჯარო მოხელეების აღქმები?

განვიხილოთ კვლევის ამ შეკითვებზე მიღებული პასუხები, პირველ რიგში, საჯარო მოხელეებისათვის.

კორუფციის აღქმები, საჯარო მოხელეები

რესპონდენტების მიერ თითოეული პოტენციურად კორუფციული ქმედების შემცველი ქეისის შეფასებების საფუძველზე (0 = სრულიად არაკორუფციული, 1 = ოდნავ კორუფციული), 2 = კორუფციული, 3 = არაკორუფციული) გამოთვლილი იქნა, თუ საშუალოდ რამდენად მკაცრად აფასებენ რესპონდენტები ამა თუ იმ ქმედებას, ანუ რამდენად ტოლერანტულები არიან ამა თუ იმ პოტენციურად კორუფციული ქმედების მიმართ. რესპონდენტებს შესაძლო პასუხებს შორის ჰქონდათ ვარიანტი „მიჭირს პასუხის გაცემა“. ბუნებრივია, კორუფციის მიმართ ტოლერანტობის გაზომვისას ასეთი პასუხები გამოტოვებული იქნა.

თითოეულ სიტუაციას და დემოგრაფიულ შეკითხვებს მიენიჭა პირობითი კოდი. მაგალითად, სიტუაციას, სადაც აღწერილი იყო, რომ საჯარო მოხელემ სამსახურეობრივი მივლინების დროს ორგანიზაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა პირადი მიზნებისათვის გამოიყენა, პირობითად ეწოდა „მოგზაურობა“, „TRAVEL“; სიტუაციას, სადაც მოთხრობილი იყო, რომ მოსამართლე განიხილავს იმ კორპორაციის საქმეს, რომელშიც აქვს წილი, ეწოდა „მოსამართლე“, „JUDGE“ და ა.შ. შემდგომ ტექსტსა და ცხრილებში, რომლებიც პროგრამა SPSS-ის მიერაა შემუშავებული, გამოყენებული იქნება მოცემული კოდების ქართული და ინგლისური ვარიანტები. კოდების სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში N3.

ცხრილი N5. ქეისების შეფასება კორუფციის აღქმების მიხედვით, საჯარო მოხელეები					
ცვლადი	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	გაუჭირდა პასუხის გაცემა
მოსამართლე	2.59	3.00	3	0.574	4.1%
პარლამენტარი	2.23	2.00	2	0.776	3.6%

გამოცდა	2.23	2.00	2	0.738	1.5%
პარტია	2.08	2.00	2	0.854	4.6%
თანამშრომელი	2.06	2.00	2	0.831	5.1%
საკრებულო	2.04	2.00	2	0.786	3.1%
ნათესავი	1.98	2.00	2	0.709	2.6%
მოგზაურობა	1.90	2.00	2	0.837	4.6%
მერი	1.88	2.00	2	0.894	3.1%
მეგობარი	1.87	2.00	2	0.86	4.6%
სკოლა	1.67	2.00	2	0.776	7.7%
რესტორანი	1.62	2.00	2	0.946	12.2%
ტელეფონი	1.43	1.00	1	0.869	7.1%
რეგისტრაცია	1.47	1.00	1	0.856	4.1%
საჩუქარი	1.16	1.00	2	0.878	5.6%
საათი	0.89	1.00	0	1.000	11.2%
დიპლომი	0.88	1.00	1	0.816	6.6%
კაფე	0.61	0.00	0	0.817	10.7%
0 = სრულიად არაკორუფციული					
1 = ოდნავ კორუფციული					
2 = კორუფციული					
3 = ძალიან კორუფციული					

კორუფციის აღქმები გამოითვალა თითოეული ქეისისათვის საშუალოსა და ცენტრალური ტენდენციის სხვა საზომების მეშვეობით. თეორიულად ყველაზე დაბალი საშუალო იქნებოდა 0 (თუკი ყველა რესპონდენტი უპასუხებდა, რომ მოცემული ქმედება სრულიად არაკორუფციულია), ხოლო ყველაზე მაღალი - 3 (თუკი ყველა რესპონდენტი უპასუხებდა, რომ მოცემული ქმედება ძალიან კორუფციულია).

ცხრილში N5 წარმოდგენილია საჯარო მოხელეების მიერ თითოეული სიტუაციის შეფასება მათი კორუფციულობიდან გამომდინარე. ცხრილში ცვლადები დალაგებულია თითოეული ქეისის შეფასების სიმკაცრის მიხედვით. წითელ ფერში მოცემულია ცვლადები, რომლებიც მთლიანობაში მკაცრად შეფასდა (საშუალო > 1.5), რაც იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ ქეისში წარმოდგენილი ქმედება კორუფციულად ან ძალიან კორუფციულად შეაფასა). ცხრილში ჩანს, რომ საჯარო მოხელეებმა

წარმოდგენილი სიტუაციების უმრავლესობა, 18 ქეისიდან 12, მკაცრად შეაფასეს.

საჯარო მოხელეებმა ყველაზე მკაცრად შეაფასეს სამი ცვლადი: „მოსამართლე“ (საშუალო: 2.59), „პარლამენტარი“ (საშუალო: 2.23) და „გამოცდა“ (საშუალო: 2.23). ცვლადში „მოსამართლე“ წარმოდგენილი იყო სიტუაცია, სადაც ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს: მოსამართლე განიხილავს საქმეს კორპორაციასთან დაკავშირებით, სადაც იგი ფლობს წილს 100,000 აშშ დოლარის ოდენობით. რესპონდენტთა 97.8% ჩათვალა, რომ მოცემული ქმედება არის კორუფციული ან ძალიან კორუფციული და მხოლოდ 1.1%, რომ ის სრულიად არაკორუფციულია (იხ. ცხრილი N6). მედიანა და მოდა მოცემული ცვლადისათვის ერთმანეთს ემთხვევა და არის 3, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხი „ძალიან კორუფციული“ „მოსამართლის“ შემთხვევაში იყო ყველა პასუხს შორის შუა და ყველაზე ხშირად განმეორებადიც. საინტერესოა, რომ ამ ცვლადის სტანდარტული გადახრა, 0.574 არის ყველაზე დაბალი კორუფციულობის შეფასებისას ყველა ცვლადს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხები ამ შეკითხვაზე ყველაზე ჰომოგენური იყო - რესპონდენტებს შორის ყველაზე მაღალი დონის თანხმობა სწორედ ამგვარი ქმედების შეფასებისას არსებობს.

ქეისში აღწერილი ქმედება იკრძალება საქართველოს კანონმდებლობითაც. საქართველოს კანონი ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ მიუთითებს, რომ თანამდებობის პირს, რომელშიც მოსამართლეს იგულისხმება (მუხლი 2¹), არ აქვს უფლება, „ფლობდეს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება“ (მუხლი 13⁵). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საჯარო მოხელეთა უმრავლესობა იცნობს მოცემულ კანონს და ეთანხმება კიდევ მას.

ცხრილი N6. Judge Corruption

Public Servant			Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Yes	Valid	Not at all corrupt	2	1.0	1.1	1.1
		A bit corrupt	2	1.0	1.1	2.2
		Corrupt	65	33.2	35.1	37.3
		Very corrupt	116	59.2	62.7	100.0
		Total	185	94.4	100.0	
Missing	I do not know		8	4.1		
		99	3	1.5		
		Total	11	5.6		
Total			196	100.0		

შეფასებების სიმკაცრის მიხედვით შემდეგი ორი ცვლადი, „პარლამენტარი“ და „გამოცდა“ ერთნაირად შეფასდა (საშუალო 2.23) (იხ. ცხრილი 5). ცვლადში „პარლამენტარი“ წარმოდგენილი იყო სიტუაცია, როდესაც პარლამენტის წევრი ლობიერებს კანონის მიღებას, რომელმაც დადებითად უნდა იმოქმედოს საწარმოს შემოსავლებზე, სადაც მისი სიმამრი ფლობს დიდი რაოდენობით აქციებს. ამ ქმედებას კორუფციულად ან ძალიან კორუფციულად თვლის გამოკითხულთა 87.3%, ხოლო სრულიად არაკორუფციულად - 4.2% (იხ. ცხრილი N7).

ცხრილი N7. MP Corruption

Public Servant			Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Yes	Valid	Not at all corrupt	8	4.1	4.2	4.2
		A bit corrupt	16	8.2	8.5	12.7
		Corrupt	90	45.9	47.6	60.3
		Very Corrupt	75	38.3	39.7	100.0
		Total	189	96.4	100.0	
Missing	I do not know	7	3.6			
Total			196	100.0		

თავისთავად, პარლამენტარის მიერ ისეთი კანონპროექტის ხელშეწყობა, რომელმაც კერძო საწარმოს (და თეორიულად, არა მარტო ერთის), მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს, არ უნდა იყოს ნეგატიურად აღქმული. სავარუდოდ, რესპონდენტებმა მოცემული ქეისი აღიქვეს ისე, რომ პარლამენტარი ცდილობს საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუმცა საქართველოს კანონი ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კრძალავს თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრისათვის აქციების ან საწესდებო კაპიტალის ფლობას იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება (მუხლი 13⁵), მოცემული კანონი არ განსაზღვრავს სიმამრს, როგორც ოჯახის წევრს, თუკი იგი თანამდებობის პირთან მუდმივად არ ცხოვრობს (მუხლი 4). ანუ, მოცემული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაშიც, ფორმალურად პარლამენტარი მოცემულ კანონს არ დაარღვევდა. მიუხედავად ამისა, მოცემული ქმედება რესპონდენტთა დიდი უმრავლესობის მიერ საკმაოდ მკაცრადაა შეფასებული. როგორც ჩანს, ეს შეფასებები გამომდინარეობს არა კანონიდან, არამედ რესპონდენტთა შინაგანი რწმენიდან.

საინტერესოა, რომ შეფასებების სიმკაცრით, მეორე ადგილზე, ცვლად „პარლამენტართან“ ერთად დგას ცვლადი „გამოცდა“. ამ ქეისში მოთხრობილია, რომ საჯარო მოხელე თავის მეგობარს წინასწარ უმხელს ტესტის საკითხებს, რომელიც მან უნდა ჩააბაროს, რათა მიღებული იქნას საჯარო სამსახურში გამოცხადებულ ვაკანიაზე. მოცემულ სიტუაციაში არ ჩანს, რომ საჯარო მოხელე პირადად იღებს რაიმე სახის პირდაპირ სარგებელს - იგი ეხმარება მეგობარს. თუმცა კითხვარში მოცემული იყო კიდევ 15 პოტენციურად კორუფციული ქმედების შემცვლელი სიტუაცია, სადაც ქეისში წარმოდგენილი პირის პირადი სარგებელი უფრო აშკარა და პირდაპირი იყო, რესპონდენტებმა მოცემული სიტუაცია უფრო მკაცრად შეაფასეს, ვიდრე დანარჩენები. მათ შორის, სიტუაცია, სადაც პოლიტიკური პარტია საარჩევნო

კამპანიის დროს იღებს ფინანსურ შემოწირულობას იმის სანაცვლოდ, რომ მხარს დაუჭერს შემომწირველისათვის სასურველ კანონპროექტს მომავალში (ცვლადი „პარტია“), რესპონდენტებმა ნაკლებად მკაცრად შეაფასეს, ვიდრე ცვლადი „გამოცდა“. თუმცა „პარტია“-ში არ ჩანს, რა კანონპროექტზე შეიძლება იყოს საუბარი, ამკარაა, რომ „პარტია“-ში აღწერილი სიტუაციით პოტენციურად უფრო დიდი ზიანი შეიძლება მიადგეს მთლიანად საზოგადოებას, თუკი არცთუ სასარგებლო კანონის მიღება მოხდება, ვიდრე „გამოცდაში“, სადაც საქმე ეხება ერთი ადამიანის საჯარო სამსახურში მიღებას. ამისდა მიუხედავად, რესპონდენტები „პარტიაში“ განხილული სიტუაციისადმი უფრო ტოლერანტულები არიან, ვიდრე „გამოცდაში“ განხილულისადმი. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ, პირველი, მიღებული ზიანი ამკარაა და უკვე სახეზეა. მეორე, ამგვარი ზიანის შესაძლო ნეგატიური შედეგები უფრო ადვილად საგრძნობი და წარმოსადგენია თითოეული ადამიანისათვის, ვიდრე პოლიტიკური კონტრიბუციების შედეგად მიღებული შესაძლო ზიანი. და მესამე, შესაძლოა რესპონდენტთა სიმკაცრე გამოწვეული იყოს იმით, რომ ამ ქეისში ნეპოტიზმთან ერთად ხდება სხვა დარღვევაც: საჯარო მოხელე ამჟღავნებს სამსახურეობრივ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რაც იკრძალება კანონის მიხედვით ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ (მუხლი 8). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი ძალაში შევა მხოლოდ 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოცემულ ცვლადში საშუალო შეფასება იყო 2.23, ხოლო გამოკითხულთა 87.1% თვლის, რომ აღწერილი ქმედება კორუფციული ან ძალიან კორუფციულია, სრულიად არაკორუფციულად კი მას მიიჩნევს მხოლოდ 2.6% (იხ. ცხრილი N8). ეს ქეისი იმითაა გამორჩეული, რომ მისი შეფასებისას ყველაზე ნაკლები იყო იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც შემოხაზეს პასუხი „მიჭირს პასუხის გაცემა“ და ის შეადგენდა გამოკითხული საჯარო მოხელეების მხოლოდ 1.5%. ანუ, ამ ქეისში კორუფციულობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა ყველაზე

ნაკლებ ადამიანს, ვიდრე ყველა დანარჩენ ქეისში (იხ. ცხრილი N5). მთლიანობაში იმ საჯარო მოხელეთა რაოდენობა, რომელთაც გაუჭირდათ ამა თუ იმ შეკითხვაზე პასუხის გაცემა წარმოდგენილი ქმედებების კორუფციულობის შეფასებისას, მერყეობდა 1.5%-დან 12.2%-მდე.

ცხრილი N8. Exam Corruption

Public Servant			Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Yes	Valid	Not at all corrupt	5	2.6	2.6	2.6
		A bit corrupt	20	10.2	10.4	13.0
		Corrupt	93	47.4	48.2	61.1
		Very Corrupt	75	38.3	38.9	100.0
		Total	193	98.5	100.0	
Missing	I do not know	3	1.5			
Total			196	100.0		

ზემოთ განხილულ სამ ცვლადთან ერთად ყველაზე მკაცრად შეფასებულ ქეისთა რიცხვში მოხვდა შემდეგი ცვლადები: „პარტია“, „საკრებულო“, „თანამშრომელი“, „ნათესავი“, „მოგზაურობა“, „მერი“, „მეგობარი“, „სკოლა“ და „რესტორანი“. ეს ცვლადები შეიცავდა შემდეგ ქმედებებს: არამართლზომიერი პოლიტიკური კონტრიბუცია („პარტია“), ნეპოტიზმი („საკრებულო“, „თანამშრომელი“, „ნათესავი“, „მეგობარი“, „სკოლა“), ორგანიზაციული რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის („მოგზაურობა“), გავლენის გამოყენება სარგებლის მიღების მიზნით („მერი“), და სიტუაცია, რომელიც პოტენციურად შეიძლება შეიცავდეს მექრთამეობას („რესტორანი“) (იხ. ცხრილი N5). ყველა ამ ცვლადში ყველაზე ხშირად გამეორებული შეფასება იყო „კორუფციული“ (მოდა = 2).

აღსანიშნავია, თუ როგორ შეაფასეს რესპონდენტებმა ორი მსგავსი ცვლადი: „თანამშრომელი“ და „მეგობარი“.

ცხრილი N9. Employee Corruption

Public Servant			Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Yes	Valid	Not at all corrupt	12	6.1	6.5	6.5
		A bit corrupt	22	11.2	12.0	18.5
		Corrupt	93	47.4	50.5	69.0
		Very Corrupt	57	29.1	31.0	100.0
		Total	184	93.9	100.0	
Missing	I do not know		10	5.1		
			99	2	1.0	
		Total	12	6.1		
Total			196	100.0		

პირველ შემთხვევაში, მოთხოვნილი იყო, რომ პოლიციელმა საგზაო წესების დარღვევის გამო არ დააჯარიმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ხოლო მეორეში - მეგობარი. რესპონდენტებმა პირველი შემთხვევა უფრო მკაცრად შეაფასეს (საშუალო: 2.06), ვიდრე მეორე (საშუალო: 1.87). პირველ შემთხვევაში, რესპონდენტთა 81.5% შეაფასა სიტუაცია, როგორც კორუფციული ან ძალიან კორუფციული (იხ. ცხრილი N9), მეორეში კი - 71.7% (იხ. ცხრილი N10). როგორც ჩანს, რესპონდენტები სარგებლის გაცემას პოლიციელის მიერ საჯარო მოხელეზე უფრო მკაცრად აფასებენ, ვიდრე მეგობარზე.

ცხრილი N10. Friend Corruption

Public Servant			Frequency	Percent	Valid Percent	Cumulative Percent
Yes	Valid	Not at all corrupt	15	7.7	8.0	8.0
		A bit corrupt	38	19.4	20.3	28.3
		Corrupt	91	46.4	48.7	77.0
		Very Corrupt	43	21.9	23.0	100.0
		Total	187	95.4	100.0	
Missing	I do not know		9	4.6		
		Total	196	100.0		

ცვლადებში „საკრებულო“ და „ნათესავი“ აღწერილი იყო ნეპოტიზმის შემცველი სიტუაციები, რომლებიც უკავშირდება სამსახურში აყვანის თემას. პირველ სიტუაციაში მოთხოვნილია, რომ ქალაქის საკრებულოს წევრი თხოვს საკონკურსო კომისიის წევრებს, ყურადღება მიაქციონ მის შვილს, რომელსაც საბუთები აქვს შეტანილი მერიაში გამოცხადებულ ვაკანსიაზე, რის შედეგადაც მას სამსახურში იღებენ. მეორე შემთხვევაში კი საჯარო სამსახურში მიმღები საკონკურსო კომისიის წევრმა გასაუბრებაზე საკუთარ ნათესავს დაუწერა ოდნავ უფრო მაღალი ქულა, ვიდრე იმავე მონაცემების მქონე სხვა პირს. ორივე ქეისი რეპონდენტებმა მკაცრად შეაფასეს (საშუალო: 2.04; 1.98).

საინტერესოა ამ ქეისების განხილვა იმ მოვლენების ფონზე, რომლებიც 2015 წელს საქართველოში განვითარდა: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ინიციატივას, რომ მომხდარიყო საჯარო სამსახურში ნეპოტიზმის კრიმინალიზაცია, უმრავლესობის დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2015a). ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ორი ძირითადი არგუმენტი ისმოდა: ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი უკვე ითვალისწინებს ასეთ დანაშაულს და მეორე, რომ საქართველო მცირერიცხოვანი ქვეყანაა და ნაცნობების, მეგობრებისა და ნათესავებისათვის ხელის გამართვა არსებული კულტურის ნაწილია, მასთან ბრძოლა კი შედეგს არ მოიტანს (იმედი TV). აღსანიშნავია, რომ კოდექსის 332-ე მუხლი მართლაც ეხება სამოხელეო დანაშაულს, თუმცა ის ძალიან ზოგადია და მოცემული მუხლით ნეპოტიზმის გამო არასოდეს მიცემულა პასუხისგებაში საჯარო მოხელე (სისხლის სამართლის კოდექსი; აჭარა TV). მეორე არგუმენტის წინააღმდეგ კი ამ კვლევის შედეგები მეტყველებს, სადაც ჩანს, რომ რესპონდენტები ნეპოტიზმის შემთხვევას მკაცრად აფასებენ. ეს შედეგები ასევე თანხვედრაშია საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივ გამოკითხვასთან, რომელმაც ასევე აჩვენა, რომ მოქალაქეები ნეპოტიზმს საჯარო სამსახურში საკმაოდ ნეგატიურად აფასებენ (საერთაშორისო გამჭვირვალობა, 2015b).

ცვლადი „რესტორანი“ წარმოადგენს შეკითხვას, რომელზეც ყველაზე დიდი რაოდენობის საჯარო მოხელეებს, 12.2%, გაუჭირდა პასუხის გაცემა, სხვა შეკითხვებთან შედარებით (იხ. ცხრილი N5). მოცემულ ქეისში წარმოდგენილი იყო სიტუაცია, სადაც მერიის თანამშრომელი მიჰყვება მვირადღირებულ რესტორანში კერძო კომპანიის დირექტორს, რომელიც აპირებს, მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში. აღსანიშნავია, რომ ეს სიტუაცია, ისე როგორც ის არის აღწერილი, არ შეიცავს ქრთამის აღების აქტს, თუმცა თეორიულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი შეხვედრა ტენდერის პირობებზე გარკვეულ მოლაპარაკებას შეიძლება შეიცავდეს, მერიის თანამშრომლის მიერ სარგებლის მიღების მიზნით. როგორც ჩანს, საჯარო მოხელეებმა ამ სიტუაციაში არსებული პოტენციური რისკები საკმაოდ არსებითად წარმოიდგინეს და მკაცრადაც შეაფასეს. შესაძლოა, რომ სწორედ ამ სიტუაციის არაერთგვაროვნებით (კორუფციული აქტი ჯერ არ არის სახეზე) იყო გამოწვეული ის, რომ რესპონდენტთა 12.2% გაუჭირდა ამ ქეისის შეფასება. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ქეისში სტანდარტული გადახრა არის სიდიდით მეორე სხვა ქეისებთან შედარებით და შეადგენს 0.946, რაც მეტყველებს იმაზე, რომ რესპონდენტთა შორის ამ ქმედების შეფასებისას უფრო ნაკლები თანხმობა იყო, ვიდრე დანარჩენი 16 ქეისის შეფასებისას.

ყველაზე ტოლერანტულები საჯარო მოხელეები შემდეგ ცვლადებში წარმოდგენილი ქმედებების მიმართ იყვნენ: „ტელეფონი“, „რეგისტრაცია“, „საჩუქარი“, „საათი“, „დიპლომი“ და „კაფე“. ყველა ამ ცვლადში საშუალო არის 1.50-ზე ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ კორუფციულობის მიხედვით ქმედებების შეფასებისას გაცემული პასუხის ურმაველესობა იყო „ოდნავ კორუფციული“ ან „სრულიად არაკორუფციული“. მოცემულ ცვლადებში აღწერილი იყო შემდეგი ქმედებების შემცველი სიტუაციები: ორგანიზაციული რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის მცირე რაოდენობით

(„ტელეფონი“, „დიპლომი“), საჩუქრის მიღება („საჩუქარი“, „საათი“, „კაფე“) და ნეპოტიზმი („რეგისტრაცია“).

საინტერესოა შემდეგი სამი ცვლადის: „მოგზაურობა“, „ტელეფონი“ და „დიპლომი“ შედარება. თუმცა სამივე მათგანი გულისხმობდა ორგანიზაციული რესურსების გამოყენებას პირადი მიზნებისათვის, პირველი, „მოგზაურობა“, რესპოდენტებმა გაცილებით უფრო მკაცრად შეაფასეს (საშუალო: 1.90), ვიდრე შემდეგი ორი (საშუალო: 1.43 და 0.88) (იხ. ცხრილი 5). ეს, შესაძლოა, მოხდა გამოყენებული რესურსების სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე: რესპოდენტებმა იგულისხმეს, რომ მივლინების დროს დახარჯული თანხა უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე გაკეთებული სატელეფონო ზარისა („ტელეფონი“) და ამობეჭდილი დიპლომის („დიპლომი“) დანახარჯები, მიღებული სარგებლის რაოდენობა კი, როგორც ჩანს, მოქმედებს შეფასების სიმკაცრეზე.

კითხვარში სამი ქეისი იყო წარმოდგენილი, რომლებიც გულისხმობდა საჩუქრის ჩუქებას: „საჩუქარი“, „საათი“ და „კაფე“ და სამივე მოხვდა ნაკლებად მკაცრად შეფასებულ სიტუაციათა შორის (საშუალო: 1.16; 0.89; 0.61). პირველ შემთხვევაში მერიის თანამდებობის პირი იღებს 100 ლარიან საახალწლო საჩუქარს კომპანიისაგან, რომლისგანაც მერია იძენს პროდუქციას. მეორე ქეისში თანამშრომლები ჩუქნიან მინისტრის მოადგილეს ძვირფას საათს დაბადების დღის აღსანიშნავად. მესამე შემთხვევაში კი პოლიციელს კაფეში უმასპინძლებიან უფასო ყავითა და ბუტერბროდით. სწორედ ამ ბოლო ქეისის შეფასება იყო ყველაზე უფრო რბილი, ყველა სხვა ქეისთან შედარებით (საშუალო 0.54).

შესაძლოა, საჯარო მოხელეები იცნობენ საქართველოს კანონს ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ და ჩათვალეს, რომ ამ ქეისებში აღწერილი საჩუქრების შესაძლო ღირებულება არ აღემატება კანონით დადგენილს. კანონის მიხედვით, საჯარო მოსამსახურის მიერ ერთჯერადად მიღებული საჩუქრის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი

თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს (მუხლი 5²). თუმცა ქეისში აღნიშნულია, რომ საათი ძვირფასია, ძვირფასი საათის ღირებულება კი შეიძლება 50 ან 100 ათასი აშშ დოლარსაც კი შეადგენდეს, სავარაუდოდ, საჯარო მოხელეებმა რეალურად არ ჩათვალეს ასეთი დიდი თანხების მოგროვება სამინისტროს თანამშრომლების მიერ.

მოცემულ ქეისთან დაკავშირებით საინტერესო ისაა, რომ განხილულ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, რომლებიც ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვრიდან, „საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე“ (მუხლი 13⁵). მინიმუმ ორი ქეისი, „საჩუქარი“ და „საათი“, პოტენციურად ექცევა ამ მუხლის მოქმედების ქვეშ. ჩვენთვის არ არის ცნობილი, საჯარო მოხელეები შეკითხვებს პასუხობდნენ ამ მომენტში არსებული კანონიდან გამომდინარე, თუ მათ შინაგან რწმენაზე დაყრდნობით, ამა თუ იმ აქტის კორუფციულობასთან დაკავშირებით. მეორე შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული ნორმა არ არის თანხვედრაში საჯარო მოხელეთა აღქმებთან.

საინტერესოა, რომ ცვლადები „საათი“ და „კაფე“ არის მეორე და მესამე ადგილზე იმ რესპონდენტთა რაოდენობით, ვისაც გაუჭირდა მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა (11.2% და 10.7%), ცვლადი „რესტორნის“ შემდეგ (იხ. ცხრილი N5). როგორც ჩანს, საჩუქრებთან დაკავშირებული სიტუაციების შეფასება ერთგვარ დაბნეულობას იწვევს რესპონდენტებში და ისინი ნაკლებად არიან დარწმუნებული საკუთარ შეფასებებში, ვიდრე სხვა სიტუაციების შემთხვევაში. ასევე, ცვლადი „საათი“ არის პირველ ადგილზე სტანდარტული გადახრის მიხედვით (1.000), რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემულ ცვლადში აღწერილი ქმედების შეფასებისას რესპონდენტებს შორის იყო ყველაზე დიდი აზრთა სხვადასხვაობა, სხვა ცვლადებთან შედარებით.

კორუფციის აღქმები, მოქალაქეები

არასაჯარო მოხელეების მიერ კორუფციულობის მიხედვით ქეისების შეფასება მოცემულია ცხრილში N9. ქეისების რანჟირება მათი შეფასების სიმკაცრის მიხედვით თითქმის იგივეა, რაც საჯარო მოხელეების შემთხვევაში. ადგილი შეიცვალეს მხოლოდ შემდეგმა ცვლადებმა: ცვლადი „ნათესავი“ საჯარო მოხელეების შეფასებაში სიმკაცრის მიხედვით იყო N7, ცვლადი „მოგზაურობა“ კი - N8. არასაჯარო მოხელეების შეფასებაში კი ამ ორმა ცვლადმა ადგილი გაცვალა. იგივე მოხდა ცვლადების შემთხვევაში „რესტორანი“ და „ტელეფონი“: საჯარო მოხელეების შეფასებაში „რესტორანი“ იყო რიგით 12, „ტელეფონი“ კი 13. არასაჯარო მოხელეების შეფასებაში ამ ორმა ცვლადმა ადგილი შეიცვალა.

ცხრილი N11. ქეისების შეფასება მათი კორუფციულობის მიხედვით, არა საჯარო მოხელეები					
ცვლადი	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა	გაუჭირდა პასუხის გაცემა
მოსამართლე	2.64	3.00	3	0.608	4.6%
პარლამენტარი	2.40	3.00	3	0.701	3.2%
გამოცდა	2.34	2.00	3	0.703	6.4%
პარტია	2.21	2.00	2	0.727	8.7%
საკრებულო	2.10	2.00	2	0.786	6.0%
თანამშრომელი	2.06	2.00	2	0.853	7.3%
მოგზაურობა	2.06	2.00	2	0.784	6.0%
ნათესავი	2.00	2.00	2	0.807	6.0%
მერი	1.71	2.00	2	0.886	10.1%
მეგობარი	1.68	2.00	2	0.955	5.5%
სკოლა	1.53	2.00	2	0.931	8.7%
ტელეფონი	1.45	2.00	2	0.843	9.68%
რესტორანი	1.42	2.00	2	0.966	12.8%
რეგისტრაცია	1.34	1.00	1	0.861	8.3%
საჩუქარი	0.95	1.00	0	0.919	9.6%
საათი	0.82	0.00	0	0.958	13.8%
დიპლომი	0.77	1.00	0	0.784	11.0%
კაფე	0.54	0.00	0	0.759	9.6%

0 = სრულიად არაკორუფციული			
1 = ოდნავ კორუფციული			
2 = კორუფციული			
3 = ძალიან კორუფციული			

მთლიანობაში საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეების პასუხები კორუფციულობის მიხედვით ქეისების შედარებისას (იხ. ცხრილი N5 და ცხრილი N9) მსგავსია. ყველაზე ნაკლებად მკაცრად შეფასებულ ქეისთა რიცხვში (საშუალო ≤ 1.50) მოხვდა იგივე სიტუაციები, რაც საჯარო მოხელეების შემთხვევაში, თუმცა ამ ჯგუფს დაემატა კიდევ ერთი ცვლადი - „რესტორანი“. როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფში სტანდარტული გადახრა ყველაზე დაბალია ცვლადისათვის „მოსამართლე“, ორი ყველაზე მაღალი სტანდარტული გადახრა კი ორივე ჯგუფში აქვს ცვლადებს „საათი“ და „რესტორანი“. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტუაციები, სადაც ჯგუფებში ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები თანხმობა იყო გაკეთებული შეფასებების მიხედვით, ერთი და იგივეა.

მთლიანობაში, ამ ორ ჯგუფში აღწერილობითი სტატისტიკის შეფასებისას, შეიძლება გამოვიტანოთ რამდენიმე მთავარი დასკვნა:

1. რესპონდენტები მთლიანობაში მკაცრად აფასებენ კორუფციულობის მიხედვით სიტუაციებს, მათი ტოლერანტულობა პოტენციურად კორუფციული აქტების მიმართ არცთუ მაღალია: წარმოდგენილი 18 სიტუაციებიდან საჯარო მოხელეების შემთხვევაში 12, მოქალაქეებისა კი - 11, შეფასდა, როგორც კორუფციული ან ძალიან კორუფციული (საშუალო ≥ 1.50).
2. საჯარო და არასაჯარო მოხელეების შეფასებები, მთლიანობაში, ერთმანეთის მსგავსია.
3. რესპოდენტები არატოლერანტულები არიან ისეთი ქმედებების შემცველი სიტუაციების მიმართ, როგორებიცაა დიდი რაოდენობით საჯარო ორგანიზაციის რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის,

გავლენის გამოყენება სარგებლის მიღების მიზნით, ინტერესთა კონფლიქტი და არამართლზომიერი პოლიტიკური კონტრიბუცია.

4. რესპოდენტები არატოლერანტულები არიან ისეთი ქმედების შემცველი სიტუაციების მიმართ, როგორც ნეპოტიზმია. ექვსი ასეთი სიტუაციიდან ხუთი შეფასდა, როგორც კორუფციული ან ძალიან კორუფციული.
5. რესპოდენტები ტოლერანტულები არიან ისეთი ქმედებების შემცველი სიტუაციების მიმართ, როგორებიცაა საჩუქრის ჩუქება და საჯარო ორგანიზაციის რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის მცირე რაოდენობით პირადი მოხმარებისათვის საჯარო მოხელის მიერ.
6. მთლიანობაში, შეფასებები საკმაოდ ერთგვაროვანია. სტანდარტული გადახრების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ შეფასებებში არ არის მაღალი გაფანტულობა.

რაც შეეხება კვლევის პირველ შეკითხვასთან დაკავშირებული ჰიპოთეზების შემოწმების შედეგებს, ისინი განხილული იქნება ქვემოთ. პირველი ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში:

H1: მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი პოტენციურად კორუფციული ქმედებები უფრო მკაცრად იქნება შეფასებული საჯარო მოხელეების მიერ, ვიდრე მაღალი თანამდებობის არმქონე საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი პოტენციურად კორუფციული ქმედებები.

მივიჩნიეთ, რომ კითხვარში მოცემულ ქეისებში ყველაზე მაღალი თანამდებობის მქონე პირები არიან მოსამართლე და პარლამენტარი. რთულია, ამ ორს შორის უფრო მაღალი თანამდებობის მქონე პირის შერჩევა, რადგან პირველი სასამართლო ხელისუფლებას წარმოადგენს, მეორე - საკანონმდებლოს.

მოცემულმა ჰიპოთეზამ მიიღო დადასტურება ორივე ქეისში: „მოსამართლე“ და „პარლამენტარი“. ვილკოქსონის ტესტის შედეგების მიხედვით (Wilcoxon Signed-Rank test), განსხვავებები შეფასებებში „მოსამართლესა“ და დანარჩენ 16 ქეისს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია საჯარო მოხელეებში. „მოსამართლესა“ და დანარჩენი 16 ქეისის სხვაობების შედეგად (მოსამართლეს საშუალოს მინუს სხვა ქეისის საშუალო), ის შემთხვევები, როდესაც „მოსამართლის“ საშუალო იყო უფრო მაღალი, ვიდრე დანარჩენი 16 ქეისისა, აღემატება რაოდენობით შემთხვევებს, როდესაც „მოსამართლის“ საშუალო უფრო ნაკლები იყო (იხ. დანართი N4). ცხრილში N12 ვხედავთ, რომ ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 16-ვე შემთხვევაში: $Z = -5.347; -5.550; -7.073; -6.546; -7.953; -7.962; -8.005; -7.690; -9.074; -8.628; -9.906; -9.760; -10.198; -9.939; -10.863; -10.738;$ $p = .000$ ყველა ქეისში. მოცემული ჰიპოთეზა „მოსამართლესთან“ მიმართებაში დადასტურებული იქნა 16-ვე ქეისში.

თითქმის იგივე შედეგები მივიღეთ „პარლამენტარისა“ და დანარჩენი 16 ქეისის შედარებისას: ჰიპოთეზა დადასტურდა 16 ქეისიდან 14-ში (იხ. დანართი N5 და ცხრილი N13). რადგან როგორც ტესტის შედეგები, ასევე სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონე განსხვავებულია ქეისების მიხედვით, განვიხილოთ ტესტის შედეგები თითოეული ქეისისათვის ცალცალკე. ჰიპოთეზამ ჰპოვა დადასტურება შემდეგი ქეისების შემთხვევაში: „პარტია“, „საკრებულო“, „ნათესავი“, „მოგზაურობა“, „მერი“, „მეგობარი“, „სკოლა“, „რესტორანი“, „ტელეფონი“, „რეგისტრაცია“, „საჩუქარი“, „საათი“, „დიპლომი“ და „კაფე“. ამ ცვლადებში Z მერყეობდა - 1.989-დან - 10.467-მდე, ხოლო p .000-დან .047-მდე. ჰიპოთეზა არ დადასტურდა შემდეგ ცვლადებში: „გამოცდა“ და „თანამშრომელი“.

ცხრილი N12. Wilcoxon Test Statistics ^a																	
Public Servant		Exam Corruption - Judge Corruption	Party Corruption - Judge Corruption	Council Corruption - Judge Corruption	Employee Corruption - Judge Corruption	Relative Corruption - Judge Corruption	Travel Corruption - Judge Corruption	Mayor Corruption - Judge Corruption	Friend Corruption - Judge Corruption	School Corruption - Judge Corruption	Restaurant Corruption - Judge Corruption	Telephone Corruption - Judge Corruption	Registration Corruption - Judge Corruption	Gift Corruption - Judge Corruption	Watch Corruption - Judge Corruption	Diploma Corruption - Judge Corruption	Cafe Corruption - Judge Corruption
Y e s	Z	-5.347 ^b	-5.550 ^b	-7.073 ^b	-6.546 ^b	-7.953 ^b	-7.962 ^b	-8.005 ^b	-7.690 ^b	-9.074 ^b	-8.628 ^b	-9.906 ^b	-9.760 ^b	-10.198 ^b	-9.939 ^b	-10.863 ^b	-10.738 ^b
	Asymp. Sig. (2-tailed)	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000
a. Wilcoxon Signed Ranks Test																	
b. Based on positive ranks.																	
c. The sum of negative ranks equals the sum of positive ranks.																	

ცხრილი N13. Wilcoxon Test Statistics ^a																	
Public Servant		Exam Corruption - MP Corruption	Council Corruption - MP Corruption	Employee Corruption - MP Corruption	Relative Corruption - MP Corruption	Travel Corruption - MP Corruption	Mayor Corruption - MP Corruption	Friend Corruption - MP Corruption	School Corruption - MP Corruption	Restaurant Corruption - MP Corruption	Telephone Corruption - MP Corruption	Registration Corruption - MP Corruption	Gift Corruption - MP Corruption	Watch Corruption - MP Corruption	Diploma Corruption - MP Corruption	Cafe Corruption - MP Corruption	Party Corruption - MP Corruption
Y e s	Z	-.054 ^b	-2.712 ^b	-1.864 ^b	-3.390 ^b	-3.814 ^b	-4.674 ^b	-4.092 ^b	-6.036 ^b	-6.679 ^b	-7.836 ^b	-8.065 ^b	-8.791 ^b	-9.348 ^b	-10.292 ^b	-10.467 ^b	-1.989 ^b
	Asymp. Sig. (2-tailed)	.957	.007	.062	.001	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.047
a. Wilcoxon Signed Ranks Test																	
b. Based on positive ranks.																	
c. The sum of negative ranks equals the sum of positive ranks.																	

ამგვარად, მოცემული ჰიპოთეზა დადასტურდა მთლიანობაში 32-დან 30 შემთხვევაში. როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტებმა უფრო მკაცრად შეაფასეს ის პოტენციურად კორუფციული ქმედებები, რომლებიც მაღალი თანამდებობის პირების მიერ იყო ჩადენილი, ვიდრე ის სიტუაციები, სადაც მაღალი თანამდებობის არმქონე საჯარო მოხელეები ფიგურირებდნენ. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ მაღალი თანამდებობა დიდ ძალაუფლებასთანაა დაკავშირებული, დიდი ძალაუფლების მქონე ადამიანების მიერ ჩადენილი კორუფციული ქმედებები კი პოტენციურად მეტი საფრთხისა თუ ზიანის შემცველია საზოგადოებისათვის, რადგან ამგვარი ქმედებების მასშტაბიც თეორიულად უფრო დიდია. ამ მიზეზის გამო, საზოგადოების დანარჩენი წევრები უფრო მეტ პასუხისმგებლობას და კეთილსინდისიერებას მოითხოვენ მაღალი თანამდებობის მქონე პირებისაგან და უფრო მკაცრადაც აფასებენ მათ მიერ ჩადენილ ქმედებებს.

კვლევის მეორე ჰიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში:

H2: რაც უფრო მაღალია ფსონი (ანუ, რაც უფრო დიდია მისაღები სარგებელი), მით უფრო მკაცრი იქნება შეფასებები.

ჩავთვალეთ, რომ კითხვარში მოცემულ ქეისებში სამი ისეთი ქეისი, რომლებშიც ფსონი, ანუ კორუფციის შედეგად მისაღები სარგებელი სხვა შემთხვევებზე მაღალი იყო, შემდეგი სიტუაციებია: „მოსამართლე“, „პარლამენტარი“ და „პარტია“. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება მოსამართლის მიერ იმ კორპორაციის საქმის განხილვას, სადაც მას 100,000 აშშ დოლარი ოდენობის წილის აქვს; მეორე შემთხვევაში პარლამეტარი ლობირებს კანონის მიღებას, რომელმაც დადებითად უნდა იმოქმედოს საწარმოს შემოსავლებზე, სადაც მისი სიმამრი ფლობს დიდი რაოდენობით წილს და მესამე შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია იღებს ფინანსურ შემოწირულობას იმის სანაცვლოდ, რომ მხარს დაუჭერს შემომწირველისათვის სასურველი კანონპროექტის მიღებას მომავალში. ვთვლით, რომ პოტენციური სარგებელი სამივე ამ ქეისში

აშკარად უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქეისებში. სამივე ქეისში მოსალოდნელი სარგებლის უფრო დიდი ოდენობა იმაშიც გამოიხატება, რომ სარგებლის მიღება თეორიულად არ არის ერთჯერადი, როგორც ყველა დანარჩენ ქეისში, არამედ უფრო ხანგრძლივ დროსთანაა დაკავშირებული.

მოცემული ჰიპოთეზა დადასტურდა უმრავლეს შემთხვევაში. ცვლადების: „მოსამართლე“ და „პარლამენტარი“ შედეგები იხილეთ ცხრილებში N12-N13. ის, რომ მოცემული ცვლადებში ქმედებების შეფასებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენ ცვლადთან შედარებით, უკვე განვიხილეთ ზემოთ. აქ ყურადღებას გავამახვილებთ ჰიპოთეზაზე ცვლადთან - „პარტია“ - მიმართებაში. მოცემული ჰიპოთეზა „პარტიასთან“ მიმართებაში დადასტურდა 15-დან 11 შემთხვევაში (იხ. დანართი N4 და ცხრილი N14). ცვლადები, სადაც ჰიპოთეზა დადასტურდა, შემდეგია: „მოგზაურობა“, „მერი“, „მეგობარი“, „სკოლა“, „რესტორანი“, „ტელეფონი“, „რეგისტრაცია“, „საჩუქარი“, „საათი“, „დიპლომი“ და „კაფე“. ამ ცვლადებში Z მერყეობდა -2.151-დან -9.531-მდე, ხოლო p - .000-დან .031-მდე. ჰიპოთეზამ ვერ მოიპოვა დადასტურება შემდეგ ცვლადებში: „გამოცდა“, „საკრებულო“, „თანამშრომელი“, „ნათესავი“, ანუ ამ ცვლადების საშუალო შეფასებები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავებული არ იყო „პარტიის“ საშუალო შეფასებისაგან.

ვფიქრობთ, მოცემული ჰიპოთეზის დადასტურება იმით აიხსნება, რომ სარგებლის დიდი რაოდენობა, ასევე პოტენციურად ამ სარგებლის მიღების მაღალი ხანგრძლივობა (ერთჯერადია ის თუ არა), დაკავშირებულია უფრო დიდ საზოგადოებისათვ დანახარჯებთან, რაც უბიძგებს რესპონდენტებს, უფრო მკაცრად შეაფასონ ასეთი ქეისები.

ცხრილი N14. Wilcoxon Test Statistics ^a																
Public Servant		Exam Corruption - Party Corruption	Council Corruption - Party Corruption	Employee Corruption - Party Corruption	Relative Corruption - Party Corruption	Travel Corruption - Party Corruption	Mayor Corruption - Party Corruption	Friend Corruption - Party Corruption	School Corruption - Party Corruption	Restaurant Corruption - Party Corruption	Telephone Corruption - Party Corruption	Registration Corruption - Party Corruption	Gift Corruption - Party Corruption	Watch Corruption - Party Corruption	Diploma Corruption - Party Corruption	Cafe Corruption - Party Corruption
Y es	Z	-1.868 ^b	-.582 ^c	-.079 ^c	-1.689 ^c	-2.325 ^c	-2.464 ^c	-2.151 ^c	-4.999 ^c	-4.693 ^c	-6.536 ^c	-6.754 ^c	-7.996 ^c	-8.763 ^c	-9.531 ^c	-9.930 ^c
	Asymp. Sig. (2-tailed)	.062	.560	.937	.091	.020	.014	.031	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000	.000
a. Wilcoxon Signed Ranks Test																
b. Based on negative ranks.																
c. Based on positive ranks.																
d. The sum of negative ranks equals the sum of positive ranks.																

ის, თუ რატომ არ დადასტურდა მოცემული ჰიპოთეზა სამ ცვლადში (სულ ოთხი ასეთი ცვლადი იყო), შესაძლოა ასე ავხსნათ: სამი ცვლადი, „გამოცდა“, „საკრებულო“ და „თანამშრომელი“ ერთმანეთს გავს იმ თვალსაზრისით, რომ სამივეში აღწერილია ნეპოტიზმის შემთხვევა, რომლის შედეგადაც საჯარო სამსახურში მუშაობას იწყებს ან შესაძლოა, მუშაობა დაიწყოს ადამიანი, რომელიც, ალბათ არ ფლობს შესაბამის კვალიფიკაციას. შესაძლოა, რესპონდენტებმა ჩათვალეს, რომ ასეთ შემთხვევებში პოტენციური საზოგადოებრივი დანახარჯი არანაკლებ მაღალია, ვიდრე ზევით განხილულ სამ შემთხვევაში. არაკვალიფიციური ადამიანის მუშაობა სავარაუდოდ საზოგადოებას საკმაოდ დიდი ზაიანს მიაყენებს, რომელიც არ იქნება ერთჯერადი.

ვთვლით, რომ ცვლადები „მოსამართლე“, „პარლამენტარი“ და „პარტია“ შეფასებების სიმკაცრის მიხედვით პირველ ოთხეულში მოექცნენ, რადგან H₁ და H₂ ერთმანეთთან დაკავშირებულია: რაც უფრო მაღალი თანამდებობა უჭირავს საჯარო მოხელეს, პოტენციურად მეტია მის მიერ ჩადენილი კორუფციული ქმედების შედეგად მოტანილი საზოგადოებრივი დანახარჯები. შესაბამისად, ასეთი ქეისები უფრო მკაცრად ფასდება რესპონდენტების მიერ. მართალია, ცვლადში „პარტია“ მაღალი თანამდებობის მქონე პირი არ ჩანს, თუმცა რესპონდენტებმა შესაძლოა ჩათვალეს, რომ რადგან პარტიას ფინანსურ შემოწირულობას აძლევენ საკუთარი ინტერესების წინ წამოწევის მიზნით, სავარაუდოდ, ასეთ პარტიას არჩევნებში გამარჯვების მაღალი შანსები აქვს და, შესაბამისად, პარტიაში მაღალი დონის ძალაუფლება არის კონცენტრირებული.

კორუფციის მისაღებობა

კვლევის N4 შეკითხვა იყო: საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეების აზრით, რამდენად მისაღებია პოტენციურად კორუფციული ქმედებების

შემცველი ქმედებები საზოგადოებისათვის? განვიხილოთ კვლევის ამ შეკითხვაზე მიღებული პასუხები, პირველ რიგში, საჯარო მოხელეებისათვის.

კორუფციის მისაღებობა, საჯარო მოხელეები

საჯარო მოხელეების მიერ კითხვარში წარმოდგენილი სიტუაციების მიმართ საზოგადოების მიმდებლობის შეფასებების საფუძველზე (0 = სრულიად მისაღებია, 1 = მისაღებია, 2 = მეტ-ნაკლებად მისაღებია, 3 = მიუღებელია, 4 = სრულიად მიუღებელია) გამოთვლილი იქნა, თუ რესპონდენტთა აზრით, რამდენად მკაცრად აფასებს საზოგადოება ამა თუ იმ ქმედებას. შეფასებების მიხედვით ქეისები პირობითად დაიყო ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შევიდა ქეისები, რომელში წარმოდგენილ ქმედებებსაც, რესპონდენტების აზრით, საზოგადოება მკაცრად აფასებს და ისინი მიუღებელია. ამ ქეისთა უმრავლესობაში რესპონდენტთა 50%-ზე მეტმა შემოხაზა პასუხები „მიუღებელია“ ან „სრულიად მიუღებელია“ და მათი საშუალო იყო 2.35 და მეტი. მეორე ჯგუფში კი გაერთიანდა ქეისები, რომლებშიც რესპონდენტთა უმრავლესობამ შემოხაზა პასუხები „მეტ-ნაკლებად მისაღებია“, „მისაღებია“ ან „სრულიად მისაღებია“ და მათი საშუალო ქულა იყო 2.35-ზე ნაკლები. პირველ ჯგუფში მოხვდა 12 ქეისი და შეფასებების სიმკაცრის მიხედვით ასე განლაგდა: „მოსამართლე“, „პარლამენტარი“, „გამოცდა“, „თანამშრომელი“, „ნათესავი“, „პარტია“, „საკრებულო“, „მერი“, „სკოლა“, „მოგზაურობა“, „მეგობარი“ და „რესტორანი“ (იხ. ცხრილი N15). პირველ ჯგუფში მოხვედრილი ქეისები ცხრილში N15 მოცემულია წითლად. მეორე ჯგუფში კი მოხვდა დანარჩენი 6 ქეისი: „რეგისტრაცია“, „ტელეფონი“, „საჩუქარი“, „საათი“, „დიპლომი“ და „კაფე“.

ცხრილი N15. ქეისების შეფასება მათი მისაღებობის მიხედვით, საჯარო მოხელეები				
ცვლადი	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა

მოსამართლე	3.35	3.00	3	0.652
პარლამენტარი	2.99	3.00	3	0.859
გამოცდა	2.98	3.00	3	0.909
თანამშრომელი	2.90	3.00	3	0.930
ნათესავი	2.77	3.00	3	0.862
პარტია	2.74	3.00	3	0.935
საკრებულო	2.69	3.00	3	0.979
მერი	2.55	3.00	3	0.998
სკოლა	2.55	2.00	3	0.962
მოგზაურობა	2.54	3.00	3	0.975
მეგობარი	2.52	3.00	3	1.107
რესტორანი	2.35	3.00	3	0.986
რეგისტრაცია	2.28	2.00	2	1.047
ტელეფონი	2.11	2.00	2	1.071
საჩუქარი	1.95	2.00	2	1.066
საათი	1.57	2.00	2	1.100
დიპლომი	1.54	2.00	2	1.066
კაფე	1.26	1.00	2	1.052
0 = სრულიად მისაღებია				
1 = მისაღებია				
2 = მეტ-ნაკლებად მისაღებია				
3 = მიუღებელია				
4 = სრულიად მიუღებელია				

აღსანიშნავია, რომ ქეისები ორ ჯგუფად დაიყო სიმკაცრის მიხედვით საჯარო მოხელეების მიერ მათი კორუფციულობის შეფასებებშიც (იხ. ცხრილი N5). ამ ორ შემთხვევაში (კორუფციის აღქმები და კორუფციის მისაღებობა) ჯგუფებში შესული ქეისები ერთმანეთს სრულიად ემთხვევა, ანუ უფრო კორუფციული ქეისების ჯგუფში შესული ქეისები იგივეა, რაც უფრო მიუღებელი ქეისების ჯგუფში შესული ქეისები; შესაბამისად, ნაკლებად კორუფციული ქეისების ჯგუფში შესული ქეისები იგივეა, რაც მისაღები ქეისების ჯგუფში შესული ქეისები (იხ. ცხრილი N5 და ცხრილი N15). ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარო მოხელეების შეფასებები კორუფციის შესახებ

მთლიანობაში ემთხვევა მათ შეფასებებს საზოგადოებისათვის კორუფციული აქტების მისაღებობასთან დაკავშირებით.

განსხვავებები ამ ჯგუფებს შორის მაინც არსებობს და იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის შიგნით რამდენიმე ცვლადმა ადგილი შეიცვალა. მაგალითად, საჯარო მოხელეებმა მიიჩნიეს, რომ კორუფციულობის მიხედვით, ცვლადი „პარტია“ რიგით მეოთხეა, თუმცა ქეისების მიმართ საზოგადოების მიმღებლობის შეფასებისას, ეს ცვლადი მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა, მეოთხე ადგილზე კი გადმოინაცვლა ცვლადმა „თანამშრომელი“, ანუ ამ ორმა ცვლადმა ადგილები გაცვალა. თუმცა, ორივე ჯგუფში, რანჟირებაში ადგილის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა სამი ყველაზე კორუფციული და სამი ყველაზე მიუღებელი ცვლადი: „მოსამართლე“, „პარლამენტარი“ და „გამოცდა“ და ოთხი ყველაზე ნაკლებად კორუფციული და მეტად მისაღები ცვლადი: „საჩუქარი“, „საათი“, „დიპლომი“ და „კაფე“.

ამ ჯგუფებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთლიანობაში, საჯარო მოხელეების მიერ ქმედებების შეფასება მათი კორუფციულობის მიხედვით და მათივე შეფასება ამ ქეისებზე საზოგადოების მიმღებლობის კუთხით, ერთმანეთისაგან მცირედ თუ განსხვავდება.

კორუფციის მისაღებობა, მოქალაქეები

მოქალაქეების შემთხვევაშიც, ისე როგორც საჯარო მოხელეებთან, სიმკაცრის მიხედვით კორუფციულობისა და მისაღებობის შეფასებების რეიტინგში ადგილით ერთმანეთს დაემთხვა სამი ყველაზე მკაცრი და ოთხი ნაკლებად მკაცრი შეფასება (იხ. ცხრილი N16). თუმცა, როგორც ჩანს, შერჩევაში მოხვედრილი მოქალაქეების აზრით, საზოგადოებისათვის მისაღებია რიგი ქმედებები, რომლებსაც ისინი კორუფციულად თვლიან. კერძოდ, ცვლადები: „მერი“, „მეგობარი“ და „სკოლა“, მოქალაქეების მიერ კორუფციულობის მიხედვით უფრო მკაცრად შეფასებულ ქეისთა რიცხვში შევიდა (საშუალო ≥ 1.5), მაგრამ ისინი თვლიან, რომ საზოგადოებისათვის ამ ქეისებში აღწერილი

ქმედებები უფრო მისაღებია, ვიდრე მიუღებელი. კერძოდ, „მერის“ საშუალოა: 2.22, „მეგობრის“: 2.23, ხოლო „სკოლის“: 2.02. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ მოცემულ ქეისებში აღწერილი ქმედებებზე უპასუხა, რომ საზოგადოებისათვის ისინი „მეტ-ნაკლებად მისაღებია“, „მისაღებია“ ან „სრულიად მისაღებია“, მაშინ როცა თავად რესპონდენტების უმრავლესობა ამ ქმედებებს მიიჩნევს „კორუფციულად“ ან „ძალიან კორუფციულად“. აღსანიშნავია, რომ „მერში“ აღწერილია ქმედება, სადაც მაღალი თანამდებობის პირი იყენებ საკუთარ გავლენას პირადი სარგებლის მიღების მიზნით, „სკოლასა“ და „მეგობარში“ კი საჯარო მოხელე იყენებს საკუთარ სამსახურეობრივ მდგომარეობას საკუთარი ნათესავისა და მეგობრისათვის გარკვეული შეღავათის მისანიჭებლად.

მთლიანობაში საზოგადოების წარმომადგენლებმა კორუფციულობის მიხედვით წარმოდგენილი 18 ქეისიდან მკაცრად შეაფასეს 11, ხოლო საზოგადოების მიერ ამ ქმედებების მიმღებლობისას მიიჩნიეს, რომ საზოგადოებისათვის მიუღებელია 18 ქეისიდან მხოლოდ 8.

ამგვარად, საჯარო მოხელეების მიერ ქმედებების შეფასება მათი კორუფციულობის მიხედვით და მათივე შეფასება ამ ქეისებზე საზოგადოების მიმღებლობის კუთხით, ერთმანეთისაგან განსხვავდება - რესპონდენტები პოტენციურად კორუფციის შემცველი ქმედებების მიმართ საზოგადოებას უფრო ტოლერანტულად მიიჩნევენ, ვიდრე საკუთარ თავს.

ცხრილი N16. ქეისების შეფასება მათი მისაღებობის მიხედვით, არა საჯარო მოხელეები				
ცვლადი	საშუალო	მედიანა	მოდა	სტანდარტული გადახრა
მოსამართლე	3.38	3.00	4	0.678
პარლამენტარი	3.05	3.00	3	0.846
გამოცდა	3.00	3.00	3	0.923
თანამშრომელი	2.68	3.00	3	0.978

პარტია	2.76	3.00	3	0.923
მოგზაურობა	2.67	3.00	3	0.952
საკრებულო	2.61	3.00	3	1.002
ნათესავი	2.55	3.00	3	0.957
მეგობარი	2.23	2.00	3	1.084
მერი	2.22	2.00	3	1.002
რესტორანი	2.14	2.00	2	0.961
რეგისტრაცია	2.02	2.00	3	1.043
სკოლა	2.02	2.00	2	1.058
ტელეფონი	1.99	2.00	2	0.979
საჩუქარი	1.54	2.00	2	1.118
საათი	1.50	1.00	1	1.087
დიპლომი	1.30	1.00	1	1.056
კაფე	1.22	1.00	1	0.939
0 = სრულიად მისაღებია				
1 = მისაღებია				
2 = მეტ-ნაკლებად მისაღებია				
3 = მიუღებელია				
4 = სრულიად მიუღებელია				

კორუფციის შეფასების განმსაზღვრელი ფაქტორები

კვლევის მეხუთე, ბოლო შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში:

5. რა ფაქტორებით შეიძლება აიხსნას ვარიაციები კორუფციის შესახებ აღქმებს შორის განსხვავებებში საჯარო მოხელეებში?

სავარაუდო ფაქტორებად დასახელდა ცვლადები: ასაკი, სქესი, განათლება, კარიერული მიღწევები (სამუშაოს ტიპი), საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობა და გეოგრაფიული რეგიონი. თითოეულ ფაქტორთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები. განვიხილოთ თითოეული ჰიპოთეზის ტესტირების შედეგად მიღებული რეზულტატი ცალცალკე.

H₃: არ არსებობს განსხვავებები ქალებისა და მამაკაცების ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

მოცემული ჰიპოთეზის შესამოწმებლად გაკეთდა მენ-ვიტნის ტესტი (Man Whitney Test), რამდენადაც მისი საშუალებით შესაძლებელია, შემოწმდეს

ორ ჯგუფს შორის (ამ შემთხვევაში, მამრობითი და მდედრობითი სქესი) განსხვავება, როდესაც გვაქვს ნომინალური და ინტერვალური ცვლადები (სქესი და კორუფციის შეფასებები).

ტესტის შედეგებით ვერ მოხერხდა ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა, ანუ დადასტურდა ჩვენი მოლოდინი, რომ საჯარო მოხელეებში, ქალებისა და მამაკაცების ჯგუფებს შორის არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები კორუფციის შეფასებებში: $df = 194$, $U = 3843.500$, $p > .05$.

თუმცა ლიტერატურაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ქალები უფრო მკაცრი იყვნენ კორუფციული ქმედებების შეფასებისას, ვიდრე მამაკაცები (Jackson & Smith, 1995; Peters & Welch, 1978), ასეთ კვლევებში საქმე ეხებოდა პარლამენტარ ქალებს, რომლებიც პოლიტიკაში წავიდნენ და ერთგვარ როლურ მოდელს წარმოადგენენ. ისინი არიან განსაკუთრებული მიზანდასახულობითა და პოზიციების სიმძაფრით გამორჩეული ქალები, ერთგვარი რეფორმატორები, რომლებიც გზას უხსნიან სხვა ქალებს პოლიტიკაში. მოცემულ ნაშრომში კი საქმე გვაქვს სხვადასხვა, უმთავრესად დაბალ და საშუალო კარიერულ საფეხურზე მყოფ საჯარო მოხელეებთან და ამდენად, არ მოველოდით სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს ამ ორი ჯგუფის აღქმებს შორის.

H₄: არ არსებობს განსხვავებები ასაკობრივ ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

მოცემული და ყველა შემდეგი ჰიპოთეზის შესამოწმებლად გაკეთდა კურსკალ-ვოლისის ტესტი (Kruskal-Wallis test), რომლის მიზანია, შეამოწმოს, განსხვავებების მნიშვნელოვნება ორზე მეტ ჯგუფს შორის. მოცემული ჰიპოთეზის შემთხვევაში, ეს არის განსხვავებული ასაკობრივი კატეგორიების მქონე ჯგუფები.

ჩვენი მოლოდინი გამართლდა ამ შემთხვევაშიც: ვერ მოხერხდა ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ კორუფციული ქმედებების შეფასებებში არ არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიების მქონე ჯგუფებს შორის. იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი წლის არიან რესპონდენტები, ისინი ერთნაირად აფასებენ ქმედებებს მათი კორუფციულობის მიხედვით. ტესტის შედეგები ასეთია: $H = 3.887, p > .05$.

მოცემული შედეგები თანხვედრაშია არსებულ ამ თემაზე არსებულ ლიტერატურასთან. სხვა კვლევებშიც (Jackson & Smith, 1995; Atkinson & Mancuso, 1985), ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოიკვეთა კორუფციულობის მიხედვით სიტუაციების შეფასებისას.

H_5 : არსებობს განსხვავებები სხვადასხვა განათლების მქონე ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები კორუფციულობის მიხედვით ქმედებების შეფასებისას სხვადასხვა განათლების მქონე ჯგუფებს შორის. ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა ვერ მოხერხდა. ტესტის შედეგები ასეთია: $H = .574; p > .05$.

ლიტერატურაში მოცემულ თემაზე ერთმანეთის საპირისპირო და და ამის გამო ბუნდოვანი დასკვნები არსებობს. ავსტრალიის პარლამენტარებს შორის (Jackson & Smith, 1995), უფრო განათლებული ჯგუფები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები აღმოჩნდნენ კორუფციის მიმართ, ვიდრე ნაკლებად განათლებული, ხოლო აშშ-ში საპირისპირო მოხდა (Peters & Welch, 1978): უფრო განათლებული კანონმდებლები მეტად ტოლერანტულები იყვნენ. ორივე კვლევის ავტორები, ჰიპოთეზების ფორმულირებისას, იზიარებენ ლოგიკას, რომ განათლება აძლევს ადამიანებს უფრო ფართო წარმოდგენას და

უფრო ღრმად ჩაწვდომის საშუალებას კორუფციის უარყოფითი შედეგების შესახებ როგორც მისი ჩამდენის, ასევე სისტემისა და ქვეყნისათვის. თუმცა ეს ჰიპოთეზა ვერ ჰპოვებს ცალსახა დამტკიცებას. როგორც ვხედავთ, შედეგები ერთმანეთის საპირისპიროა, ჩვენს კვლევაში კი ამგვარი განსხვავება საერთოდ არ აღმოჩნდა. შესაძლოა, ამგვარი შედეგების მიზეზი ის იყოს, რომ საქართველოში კორუფციის დონე, აშშ-სა და ავსტრალიასთან შედარებით, გაცილებით მაღალია და ამიტომ, განათლების მიუხედავად, ადამიანები თანაბრად სენსიტიურები არიან მისი შეფასებისას, ანუ განათლების, როგორც ფაქტორის როლი, შესუსტებულია უფრო მაღალი დონის კორუფციის გამო.

H₆: არსებობს განსხვავებები სხვადასხვა კარიერული მიღწევების (სამუშაოს ტიპის) მქონე ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

მოცემულ ჰიპოთეზაში მოხერხდა ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა: აღმოჩნდა, სხვადასხვა კარიერულ საფეხურზე მყოფ ჯგუფებს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები კორუფციული ქმედებების შეფასებებში. ტესტის შედეგები ასეთია: $H = 28.441$, $p \leq .000$ (იხ. ცხრილი N 17). ზეგავლენის სიდიდის გამოთვლის შემდეგ (effect size estimate) ($H / n-1$) მივიღეთ 0.156, რაც ნიშნავს, რომ ცვალებადობის (variability) 15 პროცენტზე ცოტა მეტი შეიძლება აიხსნას კარიერული მიღწევის დონით.

ცხრილი N17. Kruskal-Wallis Test		
Test Statistics ^{a,b}		
Public Servant		Corruption Mean
Yes	Chi-Square	28.441
	Df	5
	Asymp. Sig.	.000
a. Kruskal Wallis Test		
b. Grouping Variable: Type of Job		

რადგან კრუსკალ-ვოლისის ტესტის მეშვეობით დგინდება, რომ არსებობს განსხვავება ჯგუფებს შორის, თუმცა ტესტის შედეგები არ

გვიჩვენებს, კონკრეტულად რომელ ჯგუფებს შორისაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები, ამის დასადგენად ჩატარდა post hoc ტესტები. კატეგორიების განცალკევებისა და ყოველ ორ კატეგორიას შორის ტესტის თავიდან ჩატარებამ გვიჩვენა, თუ რომელ ჯგუფებს შორის არსებობს განსხვავებები (იხ. ცხრილი N18). ეს ჯგუფებია:

1. ფიზიკურად მომუშავეთა ჯგუფსა და პროფესიონალთა ჯგუფს შორის (ჯგუფი 1, ჯგუფი 4): $H = 6.985$, $p = .008$;

2. ფიზიკურად მომუშავეთა ჯგუფსა და მენეჯერების ჯგუფს შორის (ჯგუფი 1, ჯგუფი 5): $H = 4.765$, $p = 0.29$;

3. დატრენინგებულ ოფისის თანამშრომელთა ჯგუფსა და პროფესიონალთა ჯგუფს შორის (ჯგუფი 2, ჯგუფი 4): $H = 19.299$, $p = .000$;

4. დატრენინგებულ ოფისის თანამშრომელთა ჯგუფსა და მენეჯერთა ჯგუფს შორის (ჯგუფი 2, ჯგუფი 5): $H = 13.177$, $p = .000$;

5. ტექნიკოსი, IT სპეციალისტი ჯგუფსა და პროფესიონალთა ჯგუფს შორის (ჯგუფი 3, ჯგუფი 4): $H = 10.290$, $p = .001$;

6. ტექნიკოსი, IT სპეციალისტი ჯგუფსა და მენეჯერთა ჯგუფს შორის (ჯგუფი 3, ჯგუფი 5): $H = 7.329$, $p = .007$.

სხვა ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ აღმოჩნდა.

მოცემულ ჯგუფებზე დაკვირვების შედეგად ვხვდებით, რომ განსხვავებები არსებობს ფაქტობრივად პროფესიონალებსა და არაპროფესიონალებს შორის: უფრო მაღალ კარიერულ საფეხურზე მდგომი ჯგუფები უფრო მკაცრად აფასებენ ქეისებს, ვიდრე უფრო დაბალ კარიერულ საფეხურზე მდგომი ჯგუფები.

მოცემულ კვლევაში სწორედ კარიერული საფეხური აღმოჩნდა ფაქტორი, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს კორუფციულობის მიმართ რესპონდენტთა ტოლერანტულობას. ეს შესაძლოა აიხსნებოდეს იმით,

რომ უფრო მაღალ კარიერულ საფეხურზე მყოფ რესპონდენტებს უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ და უფრო დიდ პასუხისმგებლობასაც გრძნობენ და შესაბამისად, უფრო მკაცრად აფასებენ კორუფციულ ქმედებებს. გარდა ამისა, მათ ყოველდღიურ გამოცდილებას, შესაძლოა, მეტი წვლილი შეაქვს მათი წარმოდგენების შექმნაში კორუფციის ნეგატიური შედეგების შესახებ, ვიდრე განათლების წლებს.

ეს შედეგები გარკვეულწილად წინააღმდეგობაშია ლიტერატურაში არსებულ შედეგებთან. აშშ-ს მოსახლეობის გამოკითხვისას (Johnston, 1986), ავტორმა დაასკვნა, რომ სოციალური კლასი (რაც წარმოადგენდა რესპონდენტთა განათლების დონისა და კარიერული მიღწევების საფუძველზე შექმნილ ცვლადს) არ წარმოადგენდა ფაქტორს კორუფციის შესახებ აღქმების ჩამოყალიბებისას. მეორე მხრივ, ეს ორი კვლევა თავისი დიზაინითა და მიდგომებით საკმაოდ განსხვავებულია და შესაძლოა, ამიტომაც მსგავსი შედეგები არ იქნა მიღებული.

H7: არსებობს განსხვავებები საჯარო სექტორში მუშაობის სხვადასხვა ხანგრძლივობის მიხედვით ადამიანების ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

ჩვენი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ვერ გახდა შესაძლებელი ნულოვანი ჰიპოტეზის უარყოფა: არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავებები საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს შორის. საგულისხმოა, რომ ამ ტესტის ჩატარებისას გათვალისწინებულ იქნა იმ რესპონდენტთა პასუხებიც, ვინც მოცემულ მომენტში არ არის საჯარო მოხელე, თუმცა აქვს საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება. ტესტის შედეგებია ასეთია: $H = .537$, $p > .05$. ტესტის შედეგები არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არც ყოფილი საჯარო მოხელეების პასუხების გათვალისწინების გარეშე.

ცხრილი N 18. ჯგუფებს შორის განსხვავებები, სამუშაოს ტიპი									
Group 1 and group 4 Test Statistics ^{a,b}			Group 1, Group 5 Test Statistics ^{a,b}			Group 2, Group 4 Test Statistics ^{a,b}			
Public Servant		Corruption Mean	Public Servant		Corruption Mean	Public Servant		Corruption Mean	
Yes	Chi-Square	6.985	Yes	Chi-Square	4.765	Yes	Chi-Square	19.299	
	Df	1		Df	1		df	1	
	Asymp. Sig.	.008		Asymp. Sig.	.029		Asymp. Sig.	.000	
a. Kruskal Wallis Test			a. Kruskal Wallis Test			a. Kruskal Wallis Test			
b. Grouping Variable: Type of Job			b. Grouping Variable: Type of Job			b. Grouping Variable: Type of Job			
Group 2, Group 5 Test Statistics ^{a,b}			Group 3, Group 4 Test Statistics ^{a,b}			Group 3, Group 5 Test Statistics ^{a,b}			
Public Servant		Corruption Mean	Public Servant		Corruption Mean	Public Servant		Corruption Mean	
Yes	Chi-Square	13.177	No	Chi-Square	10.290	Yes	Chi-Square	7.329	
	Df	1		Df	1		df	1	
	Asymp. Sig.	.000		Asymp. Sig.	.001		Asymp. Sig.	.007	
a. Kruskal Wallis Test			a. Kruskal Wallis Test			a. Kruskal Wallis Test			
b. Grouping Variable: Type of Job			b. Grouping Variable: Type of Job			b. Grouping Variable: Type of Job			

ეს შედეგები გარკვეულწილად თანხმობაშია ლიტერატურაში არსებულ ცოდნასთან, თუმცა სხვა ნაშრომებშიც შედეგები ცალსახაა არ არის. მსგავსი ჰიპოთეზა დადასტურდა კანადისა და აშშ-ს კანონმდებლების შემთხვევაში (Atkinson & Mancuso, 1985; Peters & Welch, 1978), ხოლო ავსტრალიის პარლამენტარების შემთხვევაში კი (Jackson & Smith, 1995) - არა. საჭიროა, ხაზი გაესვას იმას, რომ მსგავსი ჰიპოთეზა დადასტურდა მაღალი თანამდებობის მქონე პირების - პარლამენტარების - შემთხვევაში. აქ თეორია იმაში მდგომარეობდა, რომ ხანგრძლივი პოლიტიკური გამოცდილების ადამიანი ეჩვევა გარემოსა და სისტემას, თუნდაც იგი კორუფციული იყოს, და მეტად ცინიკური და ტოლერანტული ხდება. გარდა ამისა, მაღალი თანამდებობის პირებს დროის გასვლასთან ერთად თეორიულად სულ უფრო მეტი შესაძლებლობები უჩნდებათ, რომ თავად ჩაერთონ კორუფციაში. ჩვენს შემთხვევაში კი საქმე ეხებოდა არა პარლამენტარებს, არამედ რიგით საჯარო მოხელეებს, რომლებსაც სავარაუდოდ კორუფციულ გარიგებებში შესვლისა და სარგებლის მიღების ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე პარლამენტარებს. გარდა ამისა, ისინი, შესაძლოა, ნაკლებად ეჩვევიან კორუფციულ სისტემას, რადგან თავად ნაკლებად ხედავენ და ნაკლებად არიან ჩართული მასში. სწორედ ამით შეიძლება აიხსნებოდეს კვლევის ამ ნაწილში ასეთი შედეგები.

H8: არ არსებობს განსხვავებები სხვადასხვა რეგიონებიდან ადამიანების ჯგუფებს შორის კორუფციის შეფასებისას.

ჰიპოთეზა შემოწმდა ორი სხვადასხვა მიდგომის საშუალებით: პირველი, ჩვენ დავაკვირდით, არსებობდა თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავებები ადამიანებს შორის მათი დაბადების ადგილის მიხედვით: თბილისი, საქართველოს სხვა ქალაქი და საქართველოს დაბა ან სოფელი. საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული რესპონდენტების პასუხები ტესტში არ იყო გათვალისწინებული. მეორე მიდგომაში ჯგუფები დაყოფილი იყო არა დაბადების ადგილის, არამედ იმ ადგილის მიხედვით, სადაც

რეპონდენტმა გაატარა მისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი: თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქში თუ საქართველოს დაბაში ან სოფელში. აქაც არ იყო გათვალისწინებული იმ საჯარო მოხელეთა პასუხები, რომლებსაც ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვთ გათვალისწინებული. ორივე მიდგომის გამოყენების შედეგად რეზულტატი იყო იგივე: როგორც ჩვენი მოლოდინი იყო, არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები ჯგუფებს შორის არც პირველი და არც მეორე მიდგომის გამოყენებით, ანუ არ მოხერხდა ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა. ტესტების შედეგები ასეთია: $H = 2.285, p > .05$; $H = .175, p > .05$.

ლიტერატურაში არსებული ცოდნის თანახმად, კორუფციის შეფასებებში განსხვავებები წარმოშობის რეგიონის მიხედვით ჯგუფებს შორის არსებობს, თუმცა ისინი ხშირად საპირისპიროა: ქალაქელი ამომრჩევლის მყალი ავსტრალიელი პარლამენტარები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები აღმოჩნდნენ კორუფციის მიმართ, ვიდრე სოფლის ამომრჩევლის მყალი (Jackson & Smith, 1995), მაშინ როცა კანადელი და ამერიკელი კანონმდებლების შემთხვევაში შედეგები საპირისპიროა (Atkinson and Mancuso, 1985; Peters & Welch, 1978). ყველა ამ კვლევაში ჰიპოთეზა გამომდინარეობდა თეორიიდან, რომ სოფლის ამომრჩეველი უფრო „მორალისტურია“ და შესაბამისად, უფრო მკაცრიც, კორუფციული ქმედებების შეფასებისას, პარლამენტარები კი ითვალისწინებენ საკუთარი ამომრჩევლის ხედვას. თუმცა მოცემული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ჩვენს კვლევაში ჰიპოთეზის აგება არ ჩავთვალეთ გამართლებულად, რადგან, პირველი, საქმე გვექონდა არა პარლამენტარებთან, არამედ საჯარო მოხელეებთან, რომლებიც არ არიან არჩეული და შესაბამისად, ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენენ რომელიმე რეგიონს. მეორეც, არ გვექონია მოლოდინი, რომ საქართველოში მორალურობის თვალსაზრისით განსხვავებული ადამიანები ცხოვრობენ თბილისში, სხვა ქალაქებში ან დაბასა თუ სოფლებში. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა,

მართლაც, წარმოშობისა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი გატარების ადგილის მიუხედავად, საჯარო მოხელეები ერთნაირად აფასებენ კორუფციულ სიტუაციებს.

თავი VII. დასკვნა

ნაშრომში გამოტანილი მთავარი დასკვნები შეიძლება მოკლედ ასე შევაჯამოთ:

1. მთლიანობაში, რესპონდენტები საკმაოდ მკაცრნი არიან პოტენციურად კორუფციული ქმედებების შეფასებისას, რესპონდენტების ტოლერანტულობა კორუფციული აქტების მიხედვით მაღალი არ არის: წარმოდგენილი 18 შემთხვევიდან საშუალოდ 11.5 შეფასდა, როგორც „კორუფციული“ ან „ძალიან“ კორუფციული. რესპონდენტებმა მკაცრად შეაფასეს ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: დიდი რაოდენობით საჯარო ორგანიზაციის რესურსების გამოყენება პირადი მიზნებისათვის, გავლენის გამოყენება სარგებლის მიღების მიზნით, ინტერესთა კონფლიქტი, არამართლზომიერი პოლიტიკური კონტრიბუცია და ნეპოტიზმი. რესპონდენტები ნაკლებად მკაცრნი იყვნენ შემდეგი ქმედებების შეფასებისას: საჩუქრის ჩუქება (და მიღება) საჯარო მოხელისათვის და საჯარო ორგანიზაციის რესურსების გამოყენება მცირე რაოდენობით პირადი მიზნებისათვის საჯარო მოხელის მიერ.
2. საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეების მიერ ქმედებების კორუფციულობის შეფასებები, მთლიანობაში, ერთმანეთის მსგავსია.
3. მთლიანობაში, შეფასებები საკმაოდ ჰომოგენურია: როგორც საჯარო მოხელეების, ასევე მოქალაქეების ჯგუფში, კორუფციულობის მიხედვით სიტუაციების შეფასებისას, რესპონდენტების პასუხებს შორის მაღალი შეთანხმებულობაა, ანუ ისინი არ არის ძალიან განსხვავებული.
4. საჯარო მოხელეები მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ კორუფციულ ქმედებებს უფრო მკაცრად აფასებენ, ვიდრე მაღალი თანამდებობის არმქონე საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ კორუფციულ ქმედებებს.

5. რაც უფრო მაღალია კორუფციული ქმედების შედეგად მისაღები სარგებლის რაოდენობა, მით უფრო მკაცრია საჯარო მოხელეების შეფასებები.
6. მთლიანობაში, საჯარო მოხელეების მიერ ქმედებების შეფასება მათი კორუფციულობის მიხედვით და მათივე შეფასება ამ ქეისებზე საზოგადოების მიმღებლობის კუთხით, ერთმანეთისაგან მცირედ თუ განსხვავდება. საპირისპირო შედეგია მოქალაქეების შემთხვევაში: - რესპონდენტები კორუფციის შემცველი ქმედებების მიმართ საზოგადოებას უფრო ტოლერანტულად მიიჩნევენ, ვიდრე საკუთარ თავს.
7. კორუფციული ქმედებების შეფასებებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორია კარიერული საფეხური: უფრო მაღალ კარიერულ საფეხურზე მყოფი საჯარო მოხელეები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები არიან კორუფციული აქტების მიმართ, ვიდრე შედარებით დაბალ კარიერულ საფეხურზე მყოფნი. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სქესი, ასაკი, განათლება, საჯარო სექტორში მუშაობის ხანგრძლიობა და რეგიონი, კორუფციის აღქმების ფორმირებისას მნიშვნელოვანი არ არის.

მოცემული შედეგები მნიშვნელოვანია და გათვალისწინებული უნდა იყოს ანტი-კორუფციული პოლიტიკის შემუშავებისა თუ მოდიფიცირებისას. საჭიროა, ნებისმიერ ხელისუფლებას ესმოდეს: მოსახლეობა, და საჯარო მოხელეებიც, როგორც მოსახლეობის ნაწილი, ამგვარი პოლიტიკის შემუშავებისას შესაძლოა ელოდეს, რომ უსამართლობა აღმოიფხვრება და პოლიტიკა ასახავს იმ პრობლემებს, რომლებიც მათი აღქმით არსებობს კორუფციასთან მიმართებაში. საჯარო მოხელეებისა და მოსახლეობის მიერ მკაცრად შეფასებული ქმედებების არ გათვალისწინება ანტი-კორუფციულ კანონმდებლობაში მიგვიყვანს ფრუსტაციასა და იმედგაცრუებამდე.

მაგალითად, როგორც ჩანს, საზოგადოება საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს ნეპოტიზმის პრობლემებს და მნიშვნელოვანია, რომ ანტი-კორუფციული კანონმდებლობა შეეხოს ამ პრობლემის მოგვარებას. რესპონდენტთა შეფასებები არ არის თანხვედრაში პოპულარულ აზრთან, რომელიც მათ შორის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისგანაც ისმის, რომ ნეპოტიზმი და ფავორიტიზმი საქართველოს კულტურული მახასიათებელია და ამიტომ მასთან ბრძოლას აზრი არ აქვს.

ნეგატიური შედეგები ექნება ასევე იმ ქმედებათა აკრძალვას, რაც, საზოგადოების და მათ შორის საჯარო მოხელეების აღქმით, არ არის კორუფციული და მიუღებელი. ასეთ ქმედებათა რიცხვში, როგორც ჩანს, შედის საჩუქრის ჩუქება და მიღება. ამ თემისადმი მიდგომა, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის ცვლილებების თანახმად, გამკაცრდა (მუხლი 13⁵).

რესპონდენტთა აღქმების ჰომოგენურობა კორუფციის შეფასებისას, მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოება, და მათ შორის საჯარო მოხელეები, მთლიანობაში შეთანხმებულია იმაზე, თუ რა არის კორუფციული და რა - არა. ეს შეთანხმებულობა ფაქტობრივად წარმოადგენს რეცეპტს ანტი-კორუფციული პოლიტიკისათვის და აჩვენებს მზაობასაც ახალი ცვლილებებისათვის. მოცემული შედეგები გარკვეულწილად ამყარებს არსებულ არგუმენტს იმის თაობაზე, რომ საქართველოში 2004 წელს დაწყებული ანტი-კორუფციული რეფორმის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საზოგადოების შეთანხმებულობა იყო ქვეყანაში არსებული კორუფციის შეფასებასა და მასთან ბრძოლის აუცილებლობასთან დაკავშირებით (Kupatadze 2007, ციტირებულია კვლევაში: Light, 2014; Chêne, 2011).

ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ანტი-კორუფციული კანონმდებლობა და მისი იმპლემენტაციის პრაქტიკა დაუახლოვდეს მოქალაქეთა და საჯარო მოხელეთა აღქმებს კორუფციის შესახებ. ცხადია, კითხვარში გაცემული პასუხები არ ნიშნავს, რომ რესპონდენტთა ქცევა რეალურ ცხოვრებაში აუცილებლად შესაბამისი იქნება - ვინც მკაცრად აფასებს კორუფციულ ქმედებებს, ის მათ არასოდეს ჩაიდენს და მზად იქნება, დაიცვას ანტი-კორუფციული კანონმდებლობა. თუმცა, კარგისა და ცუდის აღქმებს შესაძლოა ჰქონდეს ზეგავლენა ადამიანის არჩევანზე, თუნდაც ეს აღქმები ადამიანების მატერიალურ ინტერესთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს (Johnston, 1991, გვ. 7).

კვლევის შედეგების საფუძველზე გაჩნდა ასევე კიდევ ერთი მტკიცებულება იმ არგუმენტის გასამყარებლად, რომ კორუფცია ხელისუფლების მაღალ ეშელონებში უფრო მტკიცებულად აღიქმება, ვიდრე საჯარო სამსახურის უფრო დაბალ საფეხურებზე. ელიტური კორუფცია შესაძლოა, გახდეს არა მარტო ხელისუფლებისადმი ნდობის დაკარგვის მიზეზი საზოგადოებისა და თავად საჯარო მოხელეების მიერ, არამედ საკუთარი არამართლზომიერი ქმედებების გამართლების საშუალებაც - თუკი პასუხი არ მოეთხოვებათ მაღალი თანამდებობის პირებს, რატომ უნდა შეიზღუდონ თავი კარიერული განვითარების დაბალ და საშუალო დონეზე მყოფმა საჯარო მოხელეებმა?

ამრიგად, კვლევის შედეგების საფუძველზე, გარკვეული კონტურები შეიძინა საქართველოში კორუფციის „სოციალურმა დეფინიციამ“, რომელიც კვლევის რესპონდენტებმა - საჯარო მოხელეებმა და მოქალაქეებმა ჩამოაყალიბეს. როგორც სხვა დეფინიციები, არც ეს დეფინიციას ცალსახა და არაორაზროვანი. შედეგები გვიჩვენებს, რომ „სოციალური დეფინიცია“ მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება ქვეყანაში მოქმედ ანტი-კორუფციულ კანონმდებლობას.

ნაშრომში განხილული საკითხები, ცხადია, არ არის ამოწურული ამ კვლევით. მოცემული შედეგებით კორუფციის შესახებ არსებულ ცოდნას, განსაკუთრებით კი საქართველოსთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი ფრაგმენტები დაემატა, თუმცა საჭიროა მუშაობის გაგრძელება და რაოდენობრივთან ერთად თვისებრივი მიდგომების გამოყენებაც უკვე გამოკვლეული საკითხების არსში უფრო ღრმად ჩასაწვდომად.

ბიბლიოგრაფია

- აქარა TV. 2015. ბესელიას კომიტეტმა ნეპოტიზმის კრიმინალიზაციაზე უარი თქვა. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17 ნოემბერი, 2015. <http://ajaratv.ge/beselias-komitetma-nepotizmis-kriminalizatsiaze-uari-tqva>
- დოლიძე, ნ. და ღონღაძე, ნ. 2014. საქართველოს საჯარო სამსახური: პრობლემები და გამოწვევები. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. ბიზნეს გარემოსა და მეწარმეობის გამოკითხვა. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17 ნოემბერი, 2015. <http://ebrd-beeps.com/about/>
- იმედი TV. 2015. ნეპოტიზმის კრიმინალიზება - "საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს" ინიციატივა. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17 ნოემბერი, 2015. <http://www.imeredi.ge/index.php?pg=news&id=46265>
- ინფორმაციის დამუშავების სერვისები. ქვეყნის რისკის შეფასების გლობალური ხედვა. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17 ნოემბერი, 2015. <https://www.ihs.com/products/country-risk-analysis-forecasting.html>
- კისი, ჰ. (2008). სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
- მსოფლიო ბანკი. ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17 ნოემბერი, 2015. <http://data.worldbank.org/indicator/IQ.CPA.TRAN.XQ>
- მსოფლიო ბანკი. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები. მონაცემების ანგარიში - საქართველო, 1996-2014. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 17 ნოემბერი, 2015. <file:///C:/Users/Nino/Desktop/PhD%20samushao%20files/WB%20Indices.pdf>

საერთაშორისო გამჭვირვალობა. კორუფციის აღქმის ინდექსი. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული: 30 სექტემბერი, 2015.

<http://www.transparency.org/research/cpi/overview>

